№215
(12 285)

12 სექტემბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გრანდების შიში დაძლეულია

არგენტინა-საქართველო. ი. გიორგაძე, კვირიკაშვილი, ლაბაძე და ხამაშურიძე გონსალო ტიესის წინააღმდეგ

11 სექტემბერი. ლიონი. D

არგენტინა-საქართველო 33:3

არგენტინა: (15-9) კორლეტო, ბორხესი (სენილიოსა 69), ტიესი, ფ. კონტეპომი (კაპ) (ტოდესკინი 74), მარტინ-არამბურუ, ერნანდესი, ნ. ფერნანდეს მირანდა; (1-8) აიერსა, ლედესმა (ვერნეტი 68), გონსალეს-ბონორინო (პასანი 45), ალვარესი (ლოსადა 68), ალბასეტე, დურანი, ხ. ფერნანდეს ლობე, ლეგისამონი (შუსტერმანი 61)- *4ლ (ბორხესი 2 ალბასეტე, არამბურუ); 2გ (კონტეპომი, ენრანდესი); 3ს (კონტეპომი)*

საქართველო: (15-9) ჯიმშელაძე (შკინინი 59), მაჩხანელი, ურჯუკაშვილი (გგაური 74), ი. გიორგაძე, ხამაშურიძე, კვირიკაშვილი, აბუსერიძე (სამხარაძე 64); (1-8) ხინჩაგიშვილი (შველიძე 63), ა. გიორგაძე, ზირაქაშვილი (კოპალიანი 41), ზედგინიძე (კაპ), გორგოძე, ჩხაიძე (ზ.მაისურაძე 50), ლაბაძე, უდესიანი (დიდებულიძე 65)- *ს (კვირიკაშვილი)*

მსაჯი: ნაიჯელ ოუენსი (უელ)

D ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	პ	ქ
არგენტინა	2	2	0	0	50-15	1	9
ირლანდია	1	1	0	0	32-17	1	5
საფრანგეთი	1	0	0	1	12-17	1	1
ნამიბია	1	0	0	1	17-32	-	0
საქართველო	1	0	0	1	3-33	-	0

15.09. 23:00. **ირლანდია-საქართველო**

ირლანდია	სტატისტიკა	საქართველო
6/0	შერკინება	10/3
18/0	დერეფანი	15/2
3	თერნოვერი	3
71/78	ბოჭვა	107/131
3	ხაზის სუფთად გაჭრა	0
57%	ბურთი	43%
67%	ტერიტორია	33%
10:34	მეტოქის 22-ში	3:48
14 (12)	შეცდომა (ხელით თამაშისას)	7 (5)
19	ფეხით	29
6	ჯარიმა	6

ნიკოლოზ აბაშიძე

არგენტინის ნაკრებმა ბოლო, მე-80 წუთზე შეასრულა თავისი მიზანი ამ მატჩში - მეოთხე ლელოს გატანა და პრემიალური ქულის აღება. ასე რომ არ მომხდარიყო, ჩვენც უფრო კმაყოფილები დავრჩებოდით და მეტოქეს კი შეიძლებოდა ძალიან ძვირად, ჯგუფში ჩარჩენად დასჯდომოდა საქართველოსთან თამაში. არის ასეთი ვარიანტიც - თუ "პუმები" ირლანდიასთან დამარცხდნენ და ირლანდია - საფრანგეთთან, მაშინ სწორედ პრემიალური ქულების რაოდენობა გახდება მთავარი.

არა უშავს, მსგავსი შანსი მოგვეცემა ამ შაბათს, ირლანდიის წინააღმდეგაც. ბორჯღალოსნებმა ალბათ უკვე იწამეს, რომ გრანდების წინააღმდეგაც შეუძლიათ ძალიან ღირსეულად ბრძოლა და ირლანდიასთან შეტევაში გაცილებით უფრო ლაღად ითამაშებენ. საკმაო საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ "ბობოლების კომპლექსი", რაც გუშინ **მალხაზ ჭეიშვილმა** ახსენა "ლელოსთან" ინტერვიუში, დაძლეულია.

თითქმის ყველაფერი კარგი იყო, ბოლო ორ ლელოს თუ არ ჩავთვლით, 72-ე და მე-80 წუთებზე. უმეტესობას ალბათ პირველი ტაიმის ანგარიშმა (3:6) შეუქმნა ცრუ შთაბეჭდილება, რომ არგენტინასთან 30-ქულიანი სხვაობა დიდია.

ნორმალური სხვაობაა. ჩვენმა ნაკრებმა კი თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა, თან მთელი მსოფლიოს თვალწინ!

ანგარიში ჩვენ გავხსენით პირველივე შეტევის შემდეგ. საწყისი დარტყმიდან არგენტინელებს ბურთი გაუვარდათ, ჩვენებმა მეტოქე ათიოდ მეტრზე ათრიეს მოლით და მეტოქე კარის წინ დაჯარიმდა. **მერაბ კვირიკაშვილმა** 15 მეტრიდან გაიტანა - 3:0.

არგენტინა მე-12 წუთამდე თითქმის უწყვეტად გვიტევდა. ბოლოს, კარის წინ, 22 მეტრში **ირაკლი აბუსერიძემ** თამაშგარიდან ითამაშა და **ფელიპე კონტეპომმ** გაათანაბრა - 3:3. 2 წუთში კვირიკაშვილმა ააცილა საჯარიმო 47 მეტრიდან.

ამის შემდეგ მთელი 20 წუთი, 35-ე წუთამდე, არგენტინამ ჩვენს ნახევარზე გაატარა. ქართველები ყოჩაღად იცავდნენ თავს. მეტოქის შერკინებამ ვერაფერი დაგვაკლო. სამი-ოთხჯერ მოლი გავუჭედეთ, რამდენჯერმე ღია თამაშში ავართვით ბურთი, კიდეზეც ბევრჯერ გადავდენეთ, გავუძელით რამდენიმე ხუთმეტრიან დერეფანს და შემდგომ მოლს, ერთხელ კი **დავით ზირაქაშვილმა** ზედ ლელოს ხაზზე შებოჭა მეტოქე. არგენტინას იშვიათად გაჰქონდა ბურთი ხაზზე, მაგრამ აქაც ვერაფერი იხეირა - ქართული დაცვა მეტად აგრესიული იყო და, როგორც წესი, მბოჭველი ბურთიანს რამდენიმე მეტრით უკან ახევინებდა. განსაკუთრებით **ირაკლი გიორგაძემ** და **ირაკლი მაჩხანელმა** გამოიჩინეს თავი ამ მხრივ და ერთხელ კი მაჩხანელი კარგად ჩაუსაფრდა მეტოქის პასს, მაგრამ ბურთი ხელში ვერ შეიკავა.

14

აზერბაიჯანი-საქართველო. ამხანაგური მატჩი

კლაუს ტოპმიოლერი: მოსაგებად ჩამოვედით

დავით ცაბაძე
ბაქოდან

გუშინ დილის ათის ნახევრიდან თბილისის აეროპორტში "დიადორას" ლურჯი მაისურებით მოსილმა ფეხბურთელებმა იწყეს თავმოყრა - საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანში მიემგზავრებოდა. თავდაპირველად ტექნიკური პერსონალი გამოჩნდა და ცოტა ხანში გუნდიც მოვიდა, 17 ფეხბურთელის შემადგენლობით:

მეკარეები: **გიორგი ლომაია (უკლუბოდ), გიორგი მაკარიძე (დინამო).**

მცველები: **მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი მ. რუსეთი), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ილია კანდელაკი (კარლ ცაისი, გერმანია), დავით ლომაია, ალექსანდრე კვახაძე (ორივე ვიტ ჯორჯია).**

ნახევარმცველები: ლევან ცქიტიშვილი (უკლუბოდ), ჯაბა კანკავა (დნეპრი, უკრაინა), გიორგი დეკანოსიძე, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე (ყველა ამერი), ლევან ყენია (ლოკომოტივი).

თავდამსხმელები: ოთარ მარცვალაძე (ზაკარპატიე, უკრაინა), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი).

მერე კლაუს ტოპმიოლერი და მწვრთნელთა შტაბი (**რალფ მინგე, ჰაინც ტოპმიოლერი, ზაურ სვანაძე, ბესიკ ფრიდონაშვილი, მამუკა აბუსერიძე**), ბოლოს კი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები **გოგი ქავთარაძე, რევაზ არველაძე, დიმიტრი რამიშვილი** და **გრიგოლ ცაავაც** გამოჩნდნენ. დელეგაციაში არიან მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის თავკაცი **ამირან კაჭახიძე** და "ამერის" პრეზიდენტი **ზურაბ ფოცხვერია**. მოგეხსენებათ, ეროვნულ ნაკრებში ამჯერად არაერთი ამერელია გამოძახებული და ფოცხვერიას სურს, ისინი ეროვნული ნაკრების მაისურით ნახოს საქმეში.

2

ასათიანი, კანკავა და მინგე ვარჯიშზე

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები. აზერბაიჯანი-საქართველო

კლაუს ტოპმიოლერი:

ბაქოში მხოლოდ მოსაგებად

დებიუტანტები დებიუტის წინ

პირველი გვერდიდან

ჩასასხდომად ვემზადებოდით, რომ დელეგაციის ერთ-ერთ წევრს გაახსენდა, დღეს11 სექტემბერიაო... ბუნებრივია 6 წლის წინანდელი 11 სექტემბერი, "ალქაიდას" მიერ აშშ-ში განხორციელებული მასშტაბური ტერაქტი გავიხსენეთ, მერე კი მთავარი თემა ისევ აზერბაიჯანი, მომავალი მატჩი იყო.

მალევე ჩასხდომა გამოცხადდა და ყველამ "თბილავიამშენის" თვითმფრინავს მივაშურეთ, რომელმაც ბაქოში ჩარტერული რეისი შეასრულა. ფრენა 50 წუთს გაგრძელდა. თვითმფრინავში იოლად შეამჩნევდით, რომ გუნდში ჯანსაღი და კარგი ატმოსფერაა.

ბაქოს აეროპორტში აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი დაგვხვდა, რომელიც საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში დაგვეხმარა, თანამემამულე ჟურნალისტებს კი ჩვენი ფეხბურთელებისგან და მწვრთნელებისგან კომენტარების აღებაში დაეხარა.

- ბაქოში პირველად ვარ და აქ მოსაგებად ჩამოვედით. მართალია გადახალისებული შემადგენლობით გეწვიეთ, მაგრამ ნაკრების სტაჟიანი წევრებიც გვყავს. მინდა ახალი ფეხბურთელები სანაკრებო დონეზე ვნახო. მოგება ჩვენს ინტერესებშია და საამისოდ ბოლომდე ვიბრძოლებთ, - აეროპორტში აზერბაიჯანელ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა **კლაუს ტოპმიოლერმა**.

ბაქო 28 გრადუსი ტემპერატურითა და დარიანი ამინდით დაგვიხვდა. თბილისის დარად აქ ჩახუთულობა ნამდვილად არაა, შიგადაშიგ სიოც ქრის. აშკარად ჩანს, რომ აზერბაიჯანელები ქართველების მიმართ სიმპათიით არიან განწყობილნი. ყველა **ილჰამ ალიევისა** და **მიხეილ სააკაშვილის** მეგობრობას გვახსენებს, შიგადაშიგ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე, ნატოსა და ევროკავშირში ერთად გაწევრიანებაზეც გვესაუბრებიან.

ჩვენი გუნდი სასტუმრო "გრანდ-ოტელ ევროპაში" დაბინავდა. კარგი სასტუმროა, სიახლოვეს სამხრეთი კორეისა და ირანის საელჩოებია. სასტუმრო ბაქოს ცენტრიდან მოშორებითაა, ხმაური არ აწუხებს გუნდს.

სასტუმროში დაბინავებისთანავე, 14 საათზე გუნდმა ისადილა, მერე ცოტა მოისვენა და სავარჯიშოდ აქაურ მთავარ არენას, "ტოფიკ ბახრამოვის" სახელობის სტადიონს მიაშურა.

ვარჯიშზე გამგზავრებამდე დებიუტის წინ რამდენიმე ახალწვეულს გავესაუბრეთ.

დავით ბოლქვაძე (ამერი)

- უკვე მეოთხე დღეა ნაკრებში ვვარჯიშობ და ატაპტაცია ნამდვილად არ მიჭირს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ნაკრები ერთი გუნდი, ერთი ოჯახია. კარგ ფორმაში ვარ, ფსიქოლოგიურადაც მომზადებული გახლავართ. ვფიქრობ, თამაში მომიწევს და გარწმუნებთ, იმედებს გავამართლებ. ნაკრებში ეს ჩემი პირველი შანსია და უნდა გამოვიყენო. მჯერა თბილისში გამარჯვებულები დავბრუნდებით.

ლექსო კვახაძე (ვიტ ჯორჯია)

- უკრაინასთან თამაში არ მომიწია, მაგრამ მჯერა ბაქოში მომიწევს ეროვნული ნაკრების მაისურის მორგება. ეს ჩემთვის დიდი პატივია და ნდობა უნდა გავამართლო. მართალია გადახალისებული შემადგენლობით ჩამოვედით, მაგრამ მაინც უნდა მოვიგოთ. დავამტკიცებ, რომ მწვრთნელს ტყუილად არ გამოვუძახებივარ.

დავით ლომაია (ვიტ ჯორჯია)

- ჩემი ძმაც ნაკრებშია და ისიც რომ არა, აქ ისეთი ვითარებაა, რომ ადაპტაცია ნამდვილად არ გამიჭირდებოდა. ერთი სიტყვით, გუნდთან დაახლოება არ გამჭირვებია. მოედანზეც არ მექნება შეთამაშების პრობლემა. ხვალ უნდა მოვიგოთ და მჯერა, რომ ამას შევძლებთ კიდეც.

გიორგი დეკანოსიძე (ამერი)

- ვარჯიშებზე მაქსიმალურად ვიხარჯები. მართალია ურიგო ფორმაში არ ვარ, მაგრამ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო მეც და ბიჭებსაც. ფსიქოლოგიურადაც მზად ვარ დებიუტისთვის და ალბათ, იმედებს გავამართლებთ. აზერბაიჯანის ნაკრები ცუდი გუნდი არაა და კარგი სპარინგი გამოგვივა. ეს სანაკრებო შანსი უნდა გამოვიყენოთ.

გრიგოლ დოლიძე (ამერი)

- ბედნიერი ვარ, რომ ნაკრებში გამომიძახეს და ისეთი ფეხბურთელების გვერდით მომიწია ვარჯიშმა, როგორიც თუნდაც ასათიანია. ბაქოში მოსაგებად ჩამოვედით. მეტოქეს პატივს ვცემთ და ვაფასებთ, მაგრამ უნდა მოვიგოთ... ვფიქრობ 2:0-ს მოვიგებთ.

სტადიონზე სავარჯიშოდ კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი საღამოს შვიდისთვის მიიყვანა. არენის კომპლექსს ლეგენდარული არბიტრის ტოფიკ ბახრამოვის ძეგლი ამშვენებს - მსაჯის ეკიპირებით მოსილი ბახრამოვი სასტვენის ნიშნით რაღაცას ანიშნებს სტადიონზე მისულთ. აქაურებმა ამიხსნეს - ეს თამაშის დასრულებას აღნიშნავს, რომელიც ზოგისთვის შვების, ზოგისთვის კი მწუხარების მომგვრელიაო.

ჩვენი გუნდი მივიდა და აზერბაიჯანის ნაკრებმაც დატოვა სტადიონის ტერიტორია. იქვე აზერბაიჯან-საქართველოს ამხანაგური მატჩის მაუწყებელი რეკლამაცაა. აზერბაიჯანის ნაკრების პოსტერით ქალაქშიც ბლომადაა მატჩის მაუწყებელი აფიშები. ბაქოს ქუჩებშიც იგრძნობა მატჩის მოლოდინი. ბაღებში, სკვერებში, ღია კაფეებში, ჩაის სმასა და ნარდის თამაშთან ერთად, 12 სექტემბრის მატჩზეცაა საუბარი. ნაწილს აზერბაიჯანის ნაკრებზე ხელი აქვს ჩაქნეული, ნაწილი კი ოპტიმისტურადაა განწყობილი - ქართველებს კალაძე, კობიაშვილი, არველაძე, დემეტრაძე, იაშვილი, სირაძე (უკრაინასთან გოლის ავტორობით ახსოვთ) არ ჰყავთ და მოვიგებთო.

სტადიონზე მისულებს **რომან ახალკაცი** დაგვხვდა, ფეხბურთელები მოინახულა. როგორც გავიგე **გიორგი ადამია** და **ალექსანდრე გოგობერიშვილიც** საღამოს თუ არა, ხვალ დილით მაინც მოგვინახულებენ სასტუმროში.

წვრთნამ საათზე მეტხანს გასტანა. მოედანი, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ მდგომარეობაშია. წვრთნა ჩვეულებრივი გახლდათ, ნელი სირბილი, მოთელვა, კვადრატები, კომბინაციები ფლანგების გამოყენებით, ორკარა და კარში დარტყმები.



კლაუს ტოპმიოლერი

www.kazbegi.com

გაეხსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ესპანელებმა ოთხჯერ გაიხარეს

U21. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

კონკურენტად ყაზახეთიღა დაგვრჩა

ესპანეთი-საქართველო

4:0

11.09. ალმუნეკარი. ფ. ბონეტი
5 000 მაყურებელი

1:0 ხისკო (13), 2:0 ხურადო (43. პენ.), 3:0 გრანერო (68), 4:0 ადრიანი (80)

ესპანეთი: რობერტო - მიგელ ტორესი, კრესპო, ხავი მარტინესი, სისი (73. ალფარო) - კაპელი, ტორეხონი, რაულ გარსია, პიკე - ხისკო (37. ადრიანი), ხურადო

საქართველო: თევდორაძე - ღვინიანიძე, თომაშვილი, ლობჟანიძე, გ. კაშია - ფოფხაძე, ნავალოვსკი, დაუშვილი, აფრიამაშვილი, გ. მერებაშვილი (88. თავბერიძე) - ბ. გოცირიძე (63. კახელიშვილი)

გაფრთხილება: თომაშვილი (37)

არბიტრი: მ. სტრომბერგსონი (შვედეთი)

გუშინ საქართველოს ნაკრების ისედაც მინიმალური საევროპო შანსი, ფაქტობრივად, ნულამდე დაეცა. ძნელი წარმოსადგენი იყო, **პეტარ სეგრტის** გუნდს მრისხანე ესპანეთისთვის სათანადო წინააღმდეგობა გაეწია და ასეც მოხდა. მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან იგდეს ხელთ თვალშისაცემი სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა და დიდი ძალებით შეუტიეს ქართველთა კარს. ვინაიდან თამაშის ხილვის საშუალება არ გვქონია, ისლა დაგვრჩენია, ესპანურ ვებგვერდებზე მოძიებული მწირი ინფორმაციებით შემოვიფარგლოთ და მხოლოდ გოლები აღვწეროთ.

მატჩამდე კი ქალაქ ალმუნეკარის სტადიონზე შეკრებილმა ხუთი ათასმა ქომაგმა წუთიერი დუმილით მიაგო პატივი რამდენიმე დღის წინ გულის შეტევით გარდაცვლილი სევილიელი **ანტონიო პუერტას** ხსოვნას. შეგახსენებთ, განსვენებული ფეხბურთელი ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო და ივნისში თბილისშიც ითამაშა ჩვენი გუნდის წინააღმდეგ.

ანგარიში ოდნავ კურიოზული გოლით გაიხსნა. კაპელმა დაახლოებით 16 მეტრიდან დაარტყა, ბურთი **ხისკოს** მოხვდა, მიმართულება ოდნავ შეიცვალა და ასე შეფრინდა **რევაზ თევდორაძის** კარში.

ესპანელთა დომინირება ამის შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა მეორე გოლამდე ცდა პირენეელებს პირველი ტაიმის ბოლომდე დასჭირდათ. ზედ შესვენების წინ **გურამ კაშიამ კაპელი** საკუთარ საჯარიმოში წააცია და შვედმა არბიტრმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. **ხურადომ** ჩვენს მეკარეს იოლად აჯობა და შეხვედრის ბედიც, ფაქტობრივად, იქვე გადაწყდა.

68-ე წუთზე, **გრანერომ** შეასრულა ჩინებული საჯარიმო და ანგარიში გამანადგურებელი გახადა, მე-80-ეზე კი **უჩა ლობჟანიძემ** ბურთი უხეიროდ მოიგერია, რითაც შეცვლაზე შესულმა **ადრიანმა** ისარგებლა და პეტარ სეგრტის გუნდის უმოწყალო რბევას წერტილი დაუსვა.

მოკლედ, ამ მატჩს ბევრი კომენტარი არ სჭირდება, ესპანეთში ყველაფერი მოსალოდნელი და დღესავით ნათელი იყო. თბილისში ჩატარებული მძიმე, მინიმალურად მოგებული მატჩისგან განსხვავებით, ესპანეთმა ჩვენი ადგილი ამჯერად იოლად მოგვიჩინა. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა უკვე უტოპიაა, რეალური ამოცანა კი სამწუხაროდ, მხოლოდ ისაა, რომ ყაზახეთს გავუსწროთ და ცხრილში ბოლოსწინა ადგილი დავიკავოთ.

ლევან ჯანეზაშვილი

პოლონეთი-ყაზახეთი 1:0

1:0 პავლოვსკი (59)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ესპანეთი	2	2	0	0	5-0	6
2. რუსეთი	2	2	0	0	4-0	6
3. პოლონეთი	3	2	0	1	4-2	6
4. საქართველო	4	1	0	3	3-9	3
5. ყაზახეთი	3	0	0	3	1-6	0

ფოთის კოლხეთი

ბარქაია ბარაქას უცხოელისგანაც ელის

ფოთში ერთი ფუთი ფეხბურთი უკვე არის

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული კლუბი ფოთის "კოლხეთი 1913" შარშან უსახსრობის გამო დაიშალა და ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე უფრო საფეხბურთო ქალაქი უფეხბურთოდ დარჩა. ფოთის პორტი, ქალაქის მთავრობა, ბიზნესმენები - ფეხბურთისკენ აღარავინ მიიხედა და "კოლხეთი 1913"-მაც არსებობა შეწყვიტა.

ყოველივე ამის შემდეგ კი ფოთში ახალი საფეხბურთო კლუბი შეიქმნა - "კოლხეთი", თუმცა ეს ახალი სახელწოდება არ არის, როცა ფოთის გუნდი საბჭოთა კავშირის მეორე ლიგაში თამაშობდა, მაშინაც "კოლხეთი" ერქვა.

"კოლხეთი" შარშან რეგიონულ ლიგაში ჩაება და პირველი ლიგს საგზური მოიპოვა. ახლა კი სამი თამაშიდან სამი მოგება აქვს და პირველი ლიგის დასავლეთის ზონის ერთ-ერთი ლიდერია. მეოთხე ტურში "კოლხეთის" და "ზესტაფონი 2-ის" დაპირისპირება იმად გადაიდო, რომ ზესტაფონელთა რამდენიმე ფეხბურთელი ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს.

მაშ, რა გუნდია ახალი "კოლხეთი"? ამის გასარკვევად კლუბის პრეზიდენტ თემურ ბარქაიას და გუნდის მთავარ მწვრთნელ ზაზა ინიაშვილს ვესაუბრეთ, ვინც ადრე "კოლხეთი 1913-ის" ფეხბურთელი იყო.

თემურ ბარქაია:

- საფეხბურთო კლუბის შექმნა ფეხბურთის და ჩემი ქალაქის სიყვარულმა გადამაწყვეტინა. ფოთში ფეხბურთი მკვდარი იყო, ახლა კი სიტუაცია მკვეთრად გამოსწორდა. "კოლხეთში" ხელფას-პრემიების გაცემის პრობლემა არ არსებობს. მაგრამ რაც გვაქვს, ჯერ ვერ იქნება საკმარისი საიმისოდ, რომ გუნდმა უმაღლეს ლიგაში წარმატებით ითამაშოს. ცხადია, ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში გადასვლაა.

- ალბათ შეგეძლოთ, "კოლხეთი 1913-ის" სამართალმემკვიდრე გამხდარიყავით. რატომ თქვით უარი ამაზე?

- "კოლხეთი 1913-ში" ბევრი სადავო საკითხი იყო და არ მინდოდა, პრობლემებიანი კლუბი ჩამებარებინა.

- ფოთის მთავრობა არაფერში არ გეხმარებათ?

- ჯერჯერობით არა. მართალია, სტადიონის იჯარას არ ვიხდით, მაგრამ არენას ჩვენ ვუვლით. ფოთელ გულშემატკივარს მონატრებული აქვს ფეხბურთი და ძალიან მიხარია, რომ ამ მხრივ უკვე არის სასიკეთო ძვრები.

- "კოლხეთის" უმაღლეს ლიგაში გადასვლას ალბათ მნიშვნელოვნად მეტი დაფინანსება სჭირდება...

- სავსებით შესაძლებელია, რომ "კოლხეთის" დაფინანსება გაიზარდოს. გამოჩნდა უცხოელი ინვესტორი, რომელსაც ბიზნესინტერესები აქვს ჩვენს რეგიონში და მას მალე შევხვდები. ვნახოთ, რამდენად წარმატებული გამოდგება ჩვენი შეხვედრა.

- საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამის მთავარი დამფინანსებელი სახელმწიფო იქნება. ეს პროგრამა სტადიონების აშენება-განახლებას ისახავს მიზნად და ამ პროგრამაში ფოთის სტადიონის რეკონსტრუქციაცაა გათვალისწინებული, რაც ალბათ დამატებითი სტიმული იქნება "კოლხეთის" მესვეურებისთვის...

- ამ საკითხთან დაკავშირებით ფოთში ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე იყვნენ ჩამოსულები. როგორც ვიცი, ფოთის სტადიონის სარეკონსტრუქციოდ ტექნიკური საკითხებია მოსაგვარებელი. ამის გამო თბილისში მომიწევს ჩამოსვლა. მომავალი სეზონისთვის "კოლხეთმა" საკლუბო ლიცენზია უნდა აიღოს და საამისო განაცხადსაც მალევე შევიტანთ ფეხბურთის ფედერაციაში. მანამდე კი პირველ ლიგაში გველის თამაშები და "კოლხეთის" გულშემატკივრებს დიდ მადლობას ვუხდი - მატჩებზე უკვე საკმაოდ ბევრი მაყურებელი დადის.

ზაზა ინიაშვილი:

- გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელებიც გვყავს და შედარებით გამოცდილებიც - "კოლხეთის" ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი 1982 წელსაა დაბადებული. გიზო შენგელია, ზურაბ რაზმაძე, კახა თურქია, ედიშერ მარგალიტაძე - მათ უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვთ.

- სად ვარჯიშობს "კოლხეთი"?

- სადაც ვთამაშობთ იქ, თუმცა მიუხედავად ამისა, მინდორი ნორმალურ მდგომარეობაშია.

- დაახლოებით რამდენი მაყურებელი დადის "კოლხეთის" საშინაო მატჩებზე?

- ათას კაცზე ნაკლები არ დადის. მომდევნო ტურში ძალიან პრინციპული მატჩი გვაქვს ჭიათურის "მაღაროელთან" და სტადიონზე ბევრად უფრო მეტ გულშემატკივარს ველით. ფოთში ჩვენი გუნდის მიმართ ინტერესს ისიც აღვივებს, რომ 24 ფეხბურთელიდან 19 ფოთელია, გვყავს მოთამაშეები ლანჩხუთიდან და სამტრედიიდანაც. "კოლხეთი" საფეხბურთო სკოლა "კოლხას" ბაზაზე შეიქმნა და მაქსიმალურად ვცდილობთ, ფოთში აღზრდილი ბავშვები სხვაგან არ წავიდნენ სათამაშოდ. რაც შეეხება პირველ ლიგაში ჩვენს გამოსვლას, დასაწყისი მოლოდინზე უკეთესი აღმოჩნდა. ყველაფერი ეს თემურ ბარქაიას დამსახურებაა, ჩვენ მთლიანად ამ ახალგზარდა ბიზნესმენზე ვართ დამოკიდებულნი, ის ფეხბურთის ნამდვილი ფანია. პირველი ლიგის ბევრ გუნდს არ აქვს ჩვენნაირი პირობები.

დავით თავართქილაძე

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო ეროვნახურვების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISDN ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უსწრაფესი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუქვლელად
სატელეფონო საუბრების ნამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-უკრაინის შემდეგ

ყენიამ უკრაინას 12 წლის წინანდელი შევჩენკო გააახსენა

ლევან ყენია და დღევანდელი ანდრეი შევჩენკო

უკრაინული გამოცემა "გაზეტა პა კიევსკი" საქართველო-უკრაინის შეხვედრას საკმაოდ ცინიკური სტატიით გამოეხმაურა, რომლის ნაწყვეტებსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ანშლაგი მხოლოდ საპატიო ლოჟაში იყო

საქართველოს დედაქალაქ თბილისში უკრაინის დელეგაციას დახვდნენ და გვერდიდან არ შორდებოდნენ მათხოვრები და შევჩენკოს ფანები. ერთნიც და მეორენიც დაცვის ბარიერების გადალახვას ახერხებდნენ და ყველგან აღწევდნენ, სადაც ჩვენი ფეხბურთელები უნდა გამოჩენილიყვნენ. როდესაც გუნდს ადგილობრივები უახლოვდებოდნენ, მხოლოდ ისღა იყო გამოსაცნობი, რას მოითხოვდნენ, ფულს თუ უკრაინის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელის ავტოგრაფს.

პროცესი პროფესიულ საწყისებზე ჰქონდათ აწყობილი. ღარიბები და მათხოვრები წყალობას უკრაინულ ენაზე ითხოვდნენ, "შევჩენკოზე მონადირეები" კი მას ყველაზე წარმოუდგენელ ადგილზე პოულობდნენ.

საერთოდ, შაბათს თბილისში საფეხბურთო განწყობა არ იგრძნობოდა. შეხვედრას მხოლოდ კახა კალაძის ბილბორდი თუ გვახსენებდა, ის ადგილობრივი მობილური ოპერატორის სარეკლამო სახეა.

ახლახან გარემონტებულ "დინამოს" სტადიონი, ლენინის ნაცვლად, ამჟამად პაიჭაძის სახელს ატარებს. ტყუილად ველოდით ტრიბუნების შევსებას. მხოლოდ საპატიო სტუმრების ლოჟაში არ იყო ტევა.

.. გერმანელი ტოპმიოლერის ნაკრები ალოგიკურად გამოიყურება. უცხოურ კლუბში გამოსვლა, ან იქ უბრალო ყოფნა ფეხბურთელს ჩვენს ნაკრებში ავტომატურად გზას უხსნის (შევჩენკო, ვორონინი, ტიმოშჩუკი, კალინიჩენკო). საქართველოში, სადაც ათეულობით საფეხბურთო მიგრანტია, სხვაგვარი პრინციპებია.

თამაშამდე სკეპტიკურად შევნიშნე, რომ საქართველოს ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს თავის გამოჩენა უკრაინის ჩემპიონატშიც არ შეუძლია. ამის პასუხად, ადგილობრივმა კოლეგებმა ყურადღება გამამახვილებინეს მოთამაშეზე, რომელსაც 77- ნომრიანი მაისურა ეცვა. აქაოდა, მან მთელი საფეხბურთო სამყარო უნდა გააოცოსო.

მიუხედავად იმისა, რომ სტადიონი ვერ შეივსო, ხალხი ომახიანად გულშემატკივრობდა თავის გუნდს. მაყურებელმა უცებ დაივიწყა უკრაინის ნაკრების კაპიტან შევჩენკოსადმი პატივისცემა და როდესაც მას ბურთი ჩაუვარდებოდა, უცებ გადადიოდნენ რუსულზე - "არ გინდა!". ან ჩვენმა ლიდერმა შეისმინა მათი თხოვნა, ან ახლა სხვაგვად თამაში არ შეუძლია. გუნდური წარმატების მისაღწევად მისი წვლილი მხოლოდ ერთი ფლანგური გარღვევით, ერთი დარტყმით და რამდენიმე ზუსტი გადაცემით შემოიფარგლა. 1:0 რომ მოგვეგო, ვიტყოდით, რომ შევჩენკო, ვორონინი, როტანი, გუსევი და დანარჩენები თავს იტალიისთვის ინახავდნენ. შეიძლება, ასეც იყო.

თუმცა შეხვედრის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე მოედანზე ყენია გამოჩნდა. სწორედ ის 77-ე ნომერი.

სტადიონმა ერთხმად მისი გვარის სკანდირება დაიწყო. 17-წლის ბიჭი (სინამდვილეში, ლევანი 16 წლისაა და 17 - ის 18 ოქტომბერს გახდება-რედ.) ხალისით და შემართებით თამაშობდა. ისევე, როგორც თორმეტი წლის წინ იუნიორი შევჩენკო. ყენიას დანარჩენი ქართველი ფეხბურთელები აყვნენ, რომლებმაც გადალახეს დაღლილობა და საკუთარი ძალების ურწმუნოება. საბოლოო ჯამში, კიდევ ერთმა იუნიორმა სირაძემ ანგარიში გაათანაბრა და ქართველებს პატარა საფეხბურთო ზეიმი აჩუქა.

ჩვენ ასეთი ზეიმის შანსი პრაქტიკულად არ გვქონია. საიდან გვექნებოდა, როდესაც უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი უკვე მესამე წელია ჯიუტად იმეორებს, რომ გუნდში დასამატებელ ფეხბურთელებს ვერ ხედავს. ამიტომაც ნაკრები მხოლოდ ეული და დაღლილი შევჩენკოს კისერზე კიდია.

***P.S.** ერთი შეხედვით, რა ჩვენი გასარჩევია, ვინ რას დაწერს. ეტყობა, ნახა კაცმა მათხოვრები და გული შეუწუხდა, მაგრამ მის გარდა უკრაინელთა მოგზაურობას უამრავი ქართველი თუ მისი თანამემამულე ჟურნალისტი ადევნებდა თვალს და უკრაინულად მომართული მათხოვრების მასიური რიგი ვერავინ შენიშნა. ეს ერთი.*

მეორე ისაა, რომ უკრაინელთა დელეგაციას საქართველოს ფედერაციაც და გულშემატკივრებიც ჩინებულად დახვდნენ. ერთადერთი უსიამოვნო ეპიზოდი სტადიონზე შევჩენკოს გამოჩენაზე მისი ფანი თინეიჯერი გოგონას ისტერიული კივილი გახლდათ. ის დაეცა და ტირილი დაიწყო. მეორე უსიამოვნება სტუმრებს აეროპორტში ელოდათ, მაგრამ აქ ქართველები არაფერ შუაშია არიან. უკრაინული ეკიპაჟი კიევიდან დროულად ვერ ჩამოფრინდა და ოლეგ ბლოხინის რაზმმა დილის 4 საათამდე აეროპორტში იყურყუტა.

ახლა ავტოგრაფებზეც ვთქვათ: შევჩენკოს ყველა ქვეყანაში ფანები ანალოგიურად ხვდებიან და საერთოდ, ყველა ვარსკვლავმა თაყვანისმცემლებს ანგარიში უნდა გაუწიოს. ეს მათი ვალია. აბეზარი ფანებისგან დამალვა ანტარქტიდაში რომ მოისურვოს, შევჩენკოს თეთრი დათვი იქაც იცნობს და ავტოგრაფზე გაეკიდება. ეს არაა ქართული მოვლენა.

შევჩენკოს ბურთთან შეხებაზე რუსული ნე ნადა-ზე რა გითხრათ, "ყენია-ყენია-სავით" მთელი სტადიონი არ ყვიროდა და თუ ვიღაცამ ერთხელ დაიძახა, ჩვენს კოლეგას უშნოდ განუზოგადებია.

ერთადერთი, ვიზეც "გაზეტა პა კიევსკის" ჟურანლისტი ცინიზმის გარეშე, აღტაცებით დაწერა, ეს ყენიაა. ეს ბიჭი კი 16 წლისაა და არა 17. სირაძეც დიდი ხანია აღარაა პატარა ბიჭი. თუმცა ეს გასაგები დეტალია, ქართველებზე ასე აგდებით მხოლოდ ისინი წერენ, რომლებიც ჩვენს ხალხზე წარმოდგენას მხოლოდ სტალინ-ბერია-კალაძითა და ბაზარზე მდგომებით რომ იქმნიან.

მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

რაზომ ვერ მოიგო უკრაინამ თბილისში?

რა გახდა საქართველოსთან ფრის მიზეზი? ორი დღეა უკვე უკრაინული მედია ამ კითხვაზე პასუხს ეძებს, თუმცა გაუგებარია ასეთი გასაკვირი რა მოხდა თბილისში. ჩანს, მათ დაავიწყდათ შარშან კიევში დატრიალებული მოვლენები, მაშინ გასაკვირი ხომ სწორედ მათი მოგება იყო.

მაქსიმ კალინიჩენკომ ჟურნალისტებთან საუბრისას პირველ რიგში, ბოდიში მოიხადა გამოუყენებელი მომენტის გამო და იმისთვისაც, რომ სირაძის აყვანა ვერ,მოახერხა.

"საქართველოს ნაკრებმა ფაქტობრივად ვერ შექმნა საგოლე მომენტი თამაშიდან, გოლი კი მაინც გაგვიტანა. არც კი ვიცი ეს როგორ მოხდა. შესაძლოა თამაშის დასაწყისში გატანილმა გოლმა იმოქმედა ცუდად, კონცენტრაცია დაგვაკარგვინა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მატჩის ბედის ჩვენს სასიკეთოდ გადაწყვეტა მე შემეძლო, ყველაფერი კი პირიქით მოხდა. ვერ გამირკვევია რა ხდება ჩემს თავს და როგორ მოვიქცე - ბოდიშები ვიხადო თუ საკუთარ თავსა და უიღბლობაზე ვიცინო?" - დამწუხრებული იყო კალინიჩენკო.

კონცენტრაციის დაკარგვას ასახელებს წარუმატებლობის მიზეზად **ანდრეი შევჩენკოც** და გარკვეულწილად თავის თავზეც იღებს პასუხისმგებლობას, მე ან კალინიჩენკოს რომ გაგვეტანა, ყველაფერი ჩვენთვის კარგად დამთავრდებოდაო.

ვლადიმირ ეზერსკი ქულების დაკარგვის მიზეზად მხოლოდ და მხოლოდ უიღბლობას ასახელებს: *"საქართველოს ნაკრებს უბრალოდ გაუმართლა, თორემ იმ მატჩში ქულების დაკარგვას არ ვიმსახურებდით. ცუდია ასე რომ მოხდა, მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი. იტალიასთან მატჩში დასაკარგი არაფერი გვაქვს, შესაძლებლობებზე მეტად უნდა ვითამაშოთ. მატჩის შემდეგ ბლოხინმა გვითხრა, რომ ყველაფერი ჩვენი ბრალი იყო, უპირატესობა უნდა გაგვეზარდა და ყველაფერი გარკვეული იქნებოდა. თითქოს იყო კიდეც ამის საშუალება, მაგრამ იღბალი იმ დღეს საქართველოს ნაკრების მხარეს იყო."*

დავით მუჯირი

ალექსანდრ ტარხანოვი: მუჯირის გამოუძახებლობა ორივეს გაგვიხარდა

სამარის "კრილია სოვეტოვის" ოფიციალური ინტერნეტგვერდის ჟურნალისტმა გუნდის მთავარ მწვრთნელს ინტერვიუ ჩამოართვა. **ალექსანდრ ტარხანოვმა** "კრილიას" და კონკრეტული ფეხბურთელების პრობლემებსა და ამოცანებზე ისაუბრა. ერთ-ერთი კითხვის პასუხში ის სამარელთა ქართველი კაპიტნის, **დავით მუჯირის** მდგომარეობასაც შეეხო.

"მუჯირი ნაკრებში არ წასულა. მას სეზონი არათანაბრად აეწყო. სასურველია, მუშაობის მეტი სტიმული ჰქონდეს. ეტყობა, ნაკრებშიც გაითვალისწინეს, რომ დათოს მომზადების დღევანდელი დონე ნაკრებისას არ შეეფერება და ბოლო შეკრებაზე ამიტომაც არ გამოიძახეს. თუმცა მომხდარით მეც კმაყოფილი დავრჩი და თავად მუჯირიც, რადგან სანაკრებო პაუზისას ნაყოფიერი მუშაობისთვის დრო გაგვიჩნდა, მას კი მთელი დატვირთვით ვარჯიში სურს" - განაცხადა ტარხანოვმა.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მამუკა ვარდოსანიძესთან

ჯერ ზამთარს შევხვდეთ ნორმალურად

ნაკრების თამაშების გამო, ეროვნულ ჩემპიონატში მცირე პაუზაა. ჩვენც დრო ვიხელთეთ და გორის "დილის" მთავარ მწვრთნელს მამუკა ვარდოსანიძეს გავესაუბრეთ.

- მიმდინარე სეზონისთვის მოსამზადებელი შეკრება ერთი თვით ადრე დავიწყეთ და მთლიანად გორში გავიარეთ. ჩავატარეთ რამდენიმე ამხანაგური მატჩი, რომელთაგანაც ყველაზე უკეთ ვფიქრობ, აზერბაიჯანულ „სიმურგთან" ვიასპარეზეთ. საერთოდ ჩვენს შეკრებას თან სდევდა ერთგვარი გაუგებრობა გუნდის მომავალთან დაკავშირებით. ფაქტობრივად ბოლო დღეებამდე ვერ გაირკვა დაგვიშვებდნენ თუ არა უმაღლეს ლიგაში. არადა, ამაზე იყო დამოკიდებული, ფინანსური მდგომარეობა, რიგი წამყვანი ფეხბურთელების დარჩენის საკითხი და სხვა. თბილისის „დინამოდან" განათხოვრების წესით ჩამოყვანილი ბორის გონჩაროვის გარდა, ყველა იმ ფეხბურთელს, რომლებმაც გასული სეზონი „დილაში" დაასრულეს, დიდი სურვილი ჰქონდა გორში ეთამაშა. „დილის" დატოვების გადაწყვეტილება მათ მაშინ მიიღეს, როცა ჩათვალეს, რომ პირველ ლიგაში მოგვიწევდა თამაში. „ტორპედოს" ნაცვლად უმაღლესში ჩვენი დაშვებისას კი ყველა ამ ფეხბურთელს კონტრაქტზე ხელი ჰქონდა მოწერილი და ბუნებრივია ვერ დავიბრუნებდით. „დილა" არა მხოლოდ მოწვეულებმა, რამდენიმე ადგილობრივმა ფეხბურთელმაც დატოვა. იძულებულნი ვართ ვითარებას იმ კონტიგენტით გავუმკლავდეთ, რომლებიც პირველ ლიგაში საასპარეზოდ გვყავდა შეგულებული.

- რაც შეეხება დამატებულ ფეხბურთელებს...

- ჩემპიონატის დაწყებამდე დავიმატეთ ზაზა ლაცაბიძე და ქრისტეფორე შატაკიშვილი, ვინც შარშან „მესხეთში" თამაშობდა. აგვისტოს ბოლოს გასასინჯად მოყვანილი კვიტაიშვილი და კედელაშვილი არ დაგვიტოვებია, გავუშვით და რადგანაც ძალიან გვიჭირს დაცვის ხაზში, ვარჩიეთ დაგვებრუნებინა გასულ სეზონში ჩვენთან მოთამაშე ირაკლი კობახიძე.

- როგორ შეაფასებდით განვლილ ოთხ ტურში გუნდის გამოსვლას?

- სასტარტო შეხვედრაში ბათუმელებს დამსახურებულად ვძლიეთ, მაგრამ მერე სამი მატჩი ზედიზედ წავაგეთ. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ ბიჭებმა ცუდად ითამაშეს. რიგიანად ვებრძოლეთ „ამერს" თბილისში (2:3), დამატებულ 91-ე წუთზე გავუშვით გოლი „ვიტ ჯორჯიასან" (0:1) და ახალციხეში „მესხეთთან" წავაგეთ 0:2.

- ბოლო მატჩებში მსაჯობით იყავით უკმაყოფილო...

- „ამერთან" არა, მაგრამ „ვიტელებთან" და „მესხეთთან" მსაჯობამ უდავოდ იქონია გავლენა საბოლოო შედეგზე. პირველ მათგანთან განსაკუთრებით შეხვედრის ბოლოს დავიჩაგრეთ და ყველაფერი გოლითაც დასრულდა. ხოლო ახალციხეში მსაჯობის მხრივ, მე ვიტყოდი, სრული უმსგავსობა იყო. ისეთი არასწორად დანიშნული პენალტი, როგორიც კაიდარაშვილის „წაქცევაზე" დანიშნა არბიტრმა, არც მინახავს. ამ ფეხბურთელს უბრალოდ გაექცა ბურთი, რომელიც მეკარემ აიღო, მერე კი წაბორძიკდა (ფაქტობრივად არც წაქცეულა) და არბიტრის დასტვენილზე ჩვენს სასარგებლოდ დანიშნულ ჯარიმას უფრო წარმოვიდგენდი, ვიდრე 11-მეტრიანს. მოგონილმა პენალტმა გატეხა გუნდი. კაიდარაშვილი მატჩის მეორე ნახევარში გაძევებასაც იმსახურებდა (I ტაიმში ყვითელი ბარათი ჰქონდა მიღებული), მაგრამ დაინდო არბიტრმა.

- თუმცა გაშვებული გოლის შემდეგ დიდი დრო გქონდათ მდგომარეობის გამოსასწორებლად...

- დრო იყო და არაერთი ისეთი საგოლე მომენტიც შევქმენით, არგატანა რომ არ შეიძლებოდა, მაგრამ... სამწუხაროდ, გუნდი მოშლილი გახლდათ და ვერ შეძლო გარდატეხის შეტანა. მოკლედ, შეიძლება ითქვას, არბიტრს (ბუიშვილი) მატჩი ჩაუვარდა და როგორც ვიცი ამიტომაც მისცეს დისკვალიფიკაცია.

- საუბარი იყო პირველი ნახევრის შემდეგ თქვენს შელაპარაკებაზეც არბიტრთან...

- ტაიმის დასრულების შემდეგ მოედანზე ჩემი შესვლა ცოტა გაზვიადებულად შეაფასეს. ჩემი ფეხბურთელები გაღიზიანებულნი იყვნენ და რეფერისთვის შეურაცხყოფა რომ არ მიეყენებინათ, მოედანზე ამიტომ გავედი და რაიმე გართულება საფუძველშივე ვცადე აღმეკვეთა. გამიკვირდა ისიც, რომ ჩემზე უფრო მეტი დაიწერა პრესაში, ვიდრე არბიტრის შეცდომებზე.

- ასეთი არასახარბიელო სტარტის შემდეგ როგორი განწყობაა გუნდში?

- განწყობა საბრძოლოა. ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანაა ნორმალურად ჩავამთავროთ პირველი წრე. ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას კი, თუ ღირსეული გამოსვლა გვინდა, აუცილებლად უნდა დავიმატოთ ფეხბურთელები. განსაკუთრებით დაცვა და თავდასხმაა გასაძლიერებელი.

- ახლა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნინდელზე ძნელია...

- მიუხედავად ამისა, არა მგონია, ლიგაში დარჩენა გაგვიჭირდეს.

- საქართველოს თასზე რას გეგმავთ, მთავარია მონაწილეობა?

- მაჩანჩალობას არც აქ ვაპირებთ. ვფიქრობ, ჯგუფური ეტაპი აუცილებლად უნდა გადავლახოთ, მერე კი თუ ფეხბურთელებიც დავიმატეთ... გუნდის ფინანსურ მდგომარეობაზე ბევრია დამოკიდებული.

- პრობლემები ხომ არაა ამ თვალსაზრისით?

- არა, ხელფასებიც დროულადაა და პრემიებიც, მაგრამ უკეთესი დაფინანსების შემთხვევაში, მერწმუნეთ, გორში თავისუფლად შეიძლება საპრიზო სამეულის გუნდი გაკეთდეს. მხედველობაში მაქვს დღევანდელი შემადგენლობა პლუს 5-6 ფეხბურთელი. ამ ეტაპზე კი მთლიანად ლიდერთან მატჩზე ვფიქრობთ. „ზესტაფონი" ხომ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული (თუ არა საუკეთესო) გუნდია საქართველოს ჩემპიონატში.

ვასილ ბალახაძე
გორიდან


თამაზ კოსტავა

კოსტავა საავადმყოფოში

"დინამოსთან" გამართული მატჩის შემდეგ "მერანის" მთავარი მწვრთნელი **თამაზ კოსტავა** შეუძლოდ შეიქნა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ინსულტი მოუვიდა. კოსტავას მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ საბედნიეროდ, მან რამდენიმედღიანი კრიზისი გადაიტანა და თანდათანობით ცნობიერებაც დაუბრუნდა.

კოსტავა რეანიმაციიდან პალატაში უკვე გადაიყვანეს, მაგრამ სრულფასოვანი ცხოვრების გასაგრძელებლად საკმაო ხანი დასჭირდება. შესაბამისად, თავის საქმიანობას იგი უახლოეს პერიოდში ვერ დაუბრუნდება, შესაძლოა, ექიმებმა მწვრთნელობა საერთოდ აუკრძალონ. ბატონ თამაზს დროულად გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ.

"მერანის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გუნდს **დავით ეჯიბიშვილი** უთავკაცებს, რომელიც მოგეხსენებათ, მთავარი მწვრთნელი მანამდეც ყოფილა და კლუბის შიდა სამზარეულოსაც შესანიშნავად იცნობს. შესაძლოა, უახლოეს დღეებში "მერანში" ახალი მთავარი მწვრთნელი მიიყვანონ, თუმცა არც ისაა გამორიცხული, პირველი წრის ბოლომდე ეს ფუნქცია ეჯიბიშვილმა შეასრულოს.

აქვე გეტყვით, რომ **ირაკლი სირბილაძისა** და **ბექა ჟღენტის** შემდეგ, "მერანმა" ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მრავალკლუბმოვლილი მცველი **ანზორ კალაძე** დაიმატა.

ლევან ჯანეზაშვილი

საკონტროლო მატჩი

თასის ფინალისტთა ფრე

ამერი-ზესტაფონი 3:3

0:1 გ. ნ. □ელიძე (5), 0:2 კ. ჩხეტიანი (34), 1:2 ჯელაძე (41), 1:3 ფიფია (43), 2:3 რ. გოცირიძე (51), 3:3 ცხადაძე (74)

ამერი: ნადირაშვილი (46. ქვაჩახია) - დიდავა, დავითნიძე, კაკაშვილი, კობაური - ჯელაძე, მესხი, დობროვოლსკი, ა. ალავიძე (46. ცხადაძე) - დავითაშვილი (83. ვარდოსანიძე), რ. გოცირიძე

ზესტაფონი: ჭანტურია - ს. თოდუა, შ. ღონღაძე, საჯაია, კ. ჩხეტიანი (46. ქორიძე) - ჟონატასი, რ. ონიანი (57. ფიფია), ბიტოო, ვიეირა - ფიფია (46. ნ. კვასხვაძე), გ. ნოდ. ჭელიძე (46. იონანიძე).

"ამერმა" და "ზესტაფონმა" სანაკრებო პაუზით ისარგებლეს და გლდანში ამხანაგურად გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ბუნებრივია, მატჩში საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებულ ფეხბურთელებს მონაწილეობა არ მიუღიათ. "ზესტაფონის" შემადგენლობაში პირველად ითამაშა გაბონელმა **ეტიენ ბიტოომ**. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ფრედ, 3:3 დასრულდა.

ბიტოოს რაც შეეხება, "ზესტაფონის" ხელმძღვანელობასა და მწვრთნელებს მისი აყვანა კარგა ხნის გადაწყვეტილი აქვთ, მაგრამ გაბონიდან გათავისუფლების ფურცლის ჩამოსვლა აგვიანებს. ფეროელები იმედოვნებენ, რომ პარასკევამდე ყველა ფორმალობა მოგვარდება და გორში, ადგილობრივ "დილასთან" ბიტოოს თამაშის უფლება ექნება.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთის ისტორიიდან

იყო ასეთი შემთხვევა...


სერგო კოტრიკაძე

1959 წელი, სექტემბერი. საპასუხისმგებლო მატჩი გვაქვს კიევში. ჩვენი მცველი **გივი ხოჭოლავა** იმ დღეს "მარცხენა ფეხზე" იყო ამდგარი, ვერ იქნა და ვერ "მოერგო" თამაშს. - გივი, ფრთხილად! გივი, ჩაკეტე! - ნამიხდა ხმა ამდენი ყვირილით... თამაშის 35-ე წუთზე მოწინააღმდეგე ჩემს "საკუთარ" მოედანზე "მოცელა" და... პენალტი. დარტყმა! "გავფრინდი" მარცხენა კუთხისკენ და მოვიგერიე 11-მეტრიანი... ზუსტად სამი წუთის შემდეგ გაბრაზებულმა გივიმ ისევ "მოცელა" იმათი თავდამსხმელი. პენალტი! - ჩაბერა მსაჯმა. გივიმ საწყალი თვალებით შემომხედა, მაგრამ რას მიშველის?! დარტყმა! ფანტასტიკურ დარტყმას ჩემი დროული ნახტომი მოჰყვა და თავგანწირვის ფასად ბურთი ჩემს ხელებში აღმოჩნდა... ჩემმა "იმედიანმა" მცველმა მესამედ მოუსხლიტა იმათ თავდამსხმელს ფეხები. კვლავ პენალტი!.. ღვთის და ჩემი გამოცდილების წყალობით ავუღე ალღო იმ ბურთსაც და მოვიგდე ხელებში... ჩამოვედით თბილისში. მეორე დღეს გივი ხოჭოლავა მოაფრიალებს ორ გაზეთ "თბილისს". უხმოდ მომაჩერა ერთი და მეორეს თვითონ ჩაუკირკიტდა. "ფანტასტიკური კოტრიკაძე", - ნავიკითხე სათაური, "სერგო კოტრიკაძემ სამი აუღებელი პენალტი აიღო"...

- სერგო, - გვერდულად გადმომხედა გივიმ.

- რა, - დამავიწყდა, რომ ვემდუროდი.

- ბიჭო, მე რომ მაგი 11-მეტრიანები არ გამეკეთებია, შენ ვინ გაგიცნობდა? მე გაღიარე! მე ვარ შენი ტრიუმფის მიზეზი! ეს "უპატრონო" ჟურნალისტები მარტო შენ გაქებენ, ჩემზე არაფერს წერენ, დისკრიმინაციაა! - იყვირა და გადავიხარხარეთ.

სერგო კოტრიკაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის დინამოს ყოფილი მეკარე

ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ფეხბურთელებისთვის არგენტინაში

ვიწვევთ 17-18 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მოსამზადებლად არგენტინაში. მომზადების ვადაა 6 თვიდან ერთ წლამდე. მომზადების პერიოდში ფეხბურთელები ითამაშებენ ამხანაგურ მატჩებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან. მომზადების შემდეგ ფეხბურთელები გააფორმებენ ხელშეკრულებას ერთიდან ორ წლამდე და ჩაატარებენ ოფიციალურ შეხვედრებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებში. ფეხბურთელებს მოამზადებს ედუარდო დელგადო. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, გზის (ავიაბილეთები), ადგილზე ცხოვრების (კვების, ბინის) და საავიზო ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

მსურველთა მიღება და მათთან გასაუბრება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. N4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, საქართველოში არგენტინის წარმომადგენელთან, ტელეფონზე: 899-23-55-20. მსურველები არგენტინაში გაემგზავრებიან 30 დღის ვადაში.

სურათზე: დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩების წინ

თითქმის გადამწყვეტი ოთხშაბათი

დღეს ევროპაში რამდენიმე საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართება. ეს იქნება თამაშები, რომლებმაც ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. იგივე უკრაინა-იტალია, საფრანგეთი-შოტლანდია, აღარაფერს ვამბობთ ინგლისი-რუსეთის დაპირისპირებაზე. სასწორზეა ფეხბურთის სამშობლოს პრესტიჟი, გასარკვევია ისიც, შეძლებს თუ არა მსოფლიო ჩემპიონი იტალია რთული ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვას, რაც საფრანგეთთან შეხვედრაში ვერ მოახერხა. სწორედ ამ და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრაზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას...

A ჯგუფი

სლოხეთი-აზერბაიჯანი
ფინეთი-პოლონეთი
ყაზახეთი-ბელგია
პორტუგალია-სერბეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლონეთი	10	6	2	2	17-9	20
2. ფინეთი	10	5	3	2	11-6	18
3. პორტუგალია	9	4	4	1	18-8	16
4. სერბეთი	9	4	3	2	12-7	15
5. ბელგია	9	3	1	5	8-12	10
6. სლოხეთი	8	2	2	4	4-8	8
7. ყაზახეთი	9	1	3	5	6-13	6
8. აზერბაიჯანი	8	1	2	5	4-17	5

B ჯგუფი

უკრაინა-იტალია
საფრანგეთი-შოტლანდია
ლიგვა-უარერები

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	8	6	1	1	15-2	19
2. შოტლანდია	8	6	0	2	16-7	18
3. იტალია	8	5	2	1	13-6	17
4. უკრაინა	7	4	1	2	9-7	13
5. ლიტვა	8	2	1	5	5-10	7
6. საძართველო	9	2	1	6	14-15	7
7. ფარერები	8	0	0	8	2-27	0

C ჯგუფი

ნორვეგია-საბერძნეთი
თურქეთი-უნგრეთი
ბოსნია-მოლდოვა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	7	6	0	1	12-5	18
2. ნორვეგია	8	5	1	2	18-6	16
3. თურქეთი	7	4	2	1	18-8	14
4. ბოსნია	8	4	1	3	14-15	13
5. უნგრეთი	8	3	0	5	8-14	9
6. მალტა	8	1	2	5	7-17	5
7. მოლდოვა	8	0	2	6	4-16	2

D ჯგუფი

ჩეხეთი-ირლანდია
სლოვაკეთი-უელსი
კვიპროსი-სან მარინო

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გერმანია	8	7	1	0	31-4	22
2. ჩეხეთი	8	5	2	1	18-4	17
3. ირლანდია	8	4	2	2	14-10	14
4. სლოვაკეთი	8	3	1	4	18-15	10
5. უელსი	7	2	1	4	8-11	7
6. კვიპროსი	7	2	1	4	10-16	7
7. სან მარინო	8	0	0	8	1-40	0

E ჯგუფი

ანდორა-ხორვატია
მაკედონია-ესტონეთი
ინგლისი-რუსეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ხორვატია	8	6	2	0	18-4	20
2. რუსეთი	8	5	3	0	14-1	18
3. ინგლისი	8	5	2	1	15-2	17
4. ისრაელი	9	5	2	2	17-10	17
5. მაკედონია	8	2	1	5	6-10	7
6. ესტონეთი	9	1	0	8	2-17	3
7. ანდორა	8	0	0	8	2-30	0

F ჯგუფი

ისლანდია-ჩრ. ირლანდია
ესპანეთი-ლატვია
დანია-ლიხტენშტაინი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შვედეთი	8	6	1	1	17-4	19
2. ჩრ. ირლანდია	8	5	1	2	13-9	16
3. ესპანეთი	8	5	1	2	14-7	16
4. დანია	7	3	2	2	9-5	11
5. ლატვია	7	2	0	5	5-7	6
6. ისლანდია	8	1	2	5	6-16	5
7. ლიხტენშტაინი	8	1	1	6	5-21	4

G ჯგუფი

სლოვენია-ბელარუსი
ბულგარეთი-ლუქსემბურგი
ალბანეთი-პოლანდია

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რუმინეთი	8	6	2	0	17-5	20
2. ჰოლანდია	7	5	2	0	10-2	17
3. ბულგარეთი	8	4	3	1	11-6	15
4. ალბანეთი	7	2	3	2	8-6	9
5. ბელარუსი	8	2	1	5	11-18	7
6. სლოვენია	8	2	1	5	8-12	7
7. ლუქსემბურგი	8	0	0	8	1-17	0

საფრანგეთი-შოტლანდია

რაიმონ დომენეკს შოტლანდიასთან საკვანძო დაპირისპირებაში **ტიერი ანრი** არ ეყოლება. "ბარსელონის" ფორვარდი დისკვალიფიცირებულია. ფრანგების დამრიგებლისთვის სკოტებთან დღევანდელი შერკინება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე შაბათს იტალიასთან იყო. ის თვლის, რომ "სან სიროს" ფრეს (0:0) მხოლოდ იმ შემთხვევაში დაედება ფასი, თუ საფრანგეთი "პარკ დე პრენსზე" **ალექს მაკლეიშის** შოტლანდიას დაამარცხებს. "ლურჯებისთვის" გამარჯვება სხვა მხრივაც მნიშვნელოვანია: ერთადერთი მატჩი მათ სწორედ გლაზგოში აქვთ წაგებული (0:1) და საქმე საქმეზე რომ მიდგეს და ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა დასჭირდეთ, დღევანდელ მატჩში ორი ბურთით გამარჯვების შემთხვევაში, პრობლემა აღარ ექნებათ. აღსანიშნავია, რომ ეს კოზირი იტალიასთან (3:1, 0:0) მათ უკვე ხელში აქვთ.

რაც შეეხება ანრის არყოფნას, მის ნაცვლად დომენეკი უფრო **სიდნი გოვუს** დააყენებს, ვიდრე **დავიდ ტრეზეგეს**. გოვუ **ნიკოლა ანელკას** შეუწყვილდება. არ შეიცვლება დაცვა, რომელსაც ბოლ ხუთ მატჩში ერთი გოლიც არ გაუშვია. მაკლიშს კი ყველაზე მეტად იღბლის იმედი აქვს: *"საფრანგეთს ბრწყინვალე გუნდი ჰყავს, მით უმეტეს, საკუთარ მოედანზე მათი დამარცხება ურთულესი რამაა. მაგრამ უშანსოდ როდი ვართ. ჩვენი იარაღი იქნება კონტრშეტევა და თუ ცოტა ბედიც გაგვიღიმებს, სასურველ შედეგსაც მივაღწევთ".*

ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, ბრიტანულ კრებულს კაპიტანი **ბარი ფერგიუსონი** უბრუნდება. თუმცა ნახევარდაცვაში მაინც გაჩნდა პრობლემა. "დერბი ქაუნთის" შუახაზელი **გარი ტილი** კუჭმა შეაწუხა და სადღეისოდ მისი მომჯობინება წარმოუდგენელია.

თავიდანვე ასე იყო დათქმული, რომ საფრანგეთს შოტლანდიისთვის "სტად დე ფრანსზე" უნდა ემასპინძლა, მაგრამ იქ სარაგბო ბატალიებია და ფეხბურთისთვის "პარკ დე პრენსი" შეარჩიეს. თუმცა ამ არენაზეც გაიმართა მსოფლიოს თასის ერთი შეხვედრა: შაბათს იქ სამხრეთმა აფრიკამ და სამოამ ითამაშეს. ამასთან დაკავშირებით, დომენეკის განცხადებამ მიიქცია ყურადღება. "პარკ დე პრენსის" მოედანს მან "ამაზრზენი" უწოდა - მორაგბეებს მინდვრის ხარისხზე პრეტენზიები არ აქვთ, ფეხბურთელებისთვის კი სწორ გაზონს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებაო. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ შოტლანდიასთან თამაშის წინ ფრანგების სკანდალური მწვრთნელი თავს იზღვევს...

სავარაუდო შემადგენლობები

საფრანგეთი: ლანდრო, ლ. დიარა, ესკუდე, ტურამი, აბიდალი, მაკელელე, ვიეირა, რიბერი, მალუდა, გოვუ, ანელკა.

შოტლანდია: გორდონი, ჰატონი, მაკმანუსი, უეირი, მაკეველი, ბრაუნი, ფერგიუსონი, ფლეტჩერი, მაკკალოხი, ბოიდი, მაკფადენი.

არბიტრი: კონრად პლაუტცი (ავსტრია)

უკრაინა-იტალია

ეს არის მატჩი, რომელშიც იტალიამ საკუთარი ბედი თავადვე უნდა გამოჭედოს. თუ დღეს "სკუადრა აძურა" ვერ მოიგებს, სერიოზულად შეიძლება დადგეს იმ საფრთხის წინაშე, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ევროპის პირველობაზე თამაშის უფლება ვერ მოიპოვოს. ადრეც ვწერდით და გაგახსენებთ, რომ ანალოგიური რამ იტალიელებს 1984 წელსაც შეემთხვათ, როცა ესპანეთის მუნდიალის ტრიუმფატორებმა, **ენცო ბეარძოტის** თავკაცობით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ვერ გადალახეს (ერთადერთი გამარჯვება 8 მატჩში და მხოლოდ მეოთხე ადგილი 5-გუნდიან ჯგუფში). დღეს იმის წარმოდგენაც კი, რომ 23 წლის წინანდელი ამბავი შეიძლება განმეორდეს, არავის სურს, თუმც ვითარება სერიოზულია.

ავსტრია/შვეიცარიაში გამგზავრების შანსი ჯერ არ დაუკარგავს უკრაინის ნაკრებსაც, რომელმაც თბილისური ფრით (1:1) სიტუაცია მეტისმეტად გაირთულა. თუმცა **ოლეგ ბლოხინის** გუნდის უპირატესობა იმაშია, რომ სხვა ფავორიტებზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. დღეს მათთვის ერთადერთი მისაღები შედეგი გამარჯვება იქნება. კიევური მატჩი პრინციპულია **ანდრეი შევჩენკოსთვისაც**, რომელიც დღეს თავის ძველ ნაცნობებს დაუპირისპირდება. შევა არ არის საუკეთესო ფორმაში და ამას თავადაც აღიარებს, მაგრამ ის ნებისმიერ შემთხვევაში უდიდესი ფიგურაა და მისი იგნორირება იტალიელებს აზრადაც არ მოუვათ. ანდრეიმ უკვე გააფრთხილა იტალიელები, რომ კიევში ურთულესი ბრძოლა ექნებათ გადასატანი...

უკრაინელებს საკადრო პრობლემები არ აქვთ, სამაგიეროდ **რობერტო დონადონის** მოუწევს შემადგენლობაში კორექტივების შეტანა, თანაც ისეთ მნიშვნელოვან რგოლში, როგორიც ნახევარდაცვაა. დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს **ჯენარო გატუზო**, რომელსაც **სიმონე პეროტა** შეცვლის, ხოლო გატუზოს თანაკლუბელი **ანდრეა პირლო** ტრავმირებულია. მართალია, პირლოს აქვს მოედანზე გასვლის შანსი, მაგრამ დონადონი ცვლილებებისთვის ნებისმიერ მომენტში მზად უნდა იყოს. პლუს ამას, ტრავმები აქვთ **დანიელე დე როსისა** და **ჯანლუკა ძამბროტასაც**, შესაბამისად, მათი თამაშიც სათუოა. გუშინ იტალიის ნაკრების ექიმმა **ანდრეა ფერეტიმ** საგანგებო განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ ტრავმირებული მოთამაშეები ინდივიდუალურად ვარჯიშობენ და რომ მათი გამოჯანმრთელების საქმე პროგრესის გზით მიდის.

რაც შეეხება **ლუკა ტონის**, ის ნამდვილად არ იქნება და დონადონიმ საფრანგეთთან მატჩის მეორე დღესვე **ვინჩენცო იაკუინტას** უხმო. თუმცა იუვენტუსელს ძირითადში მოხვედრის შანსი ნაკლებად აქვს. დონადონი, ალბათ, არ შეცვლის სასტარტო შემადგენლობას, მიუხედავად იმისა, რომ **ალესანდრო დელ პიერომ** საფრანგეთის შემდეგ ძალიან ცუდი პრესა ჰქონდა.

სავარაუდო შემადგენლობები

უკრაინა: შოვკოვსკი, კუჭერი, იეზერსკი, რუსოლი, ჩიგრინსკი, ტიმოშჩუკი, შელაევი, გუსევი, ნაზარენკო, შევჩენკო, ვორონინი.

იტალია: ბუფონი, ოდო, კანავარო, ბარძალი, ძამბროტა, პირლო, დე როსი, პეროტა, კამორანეზი, დელ პიერო, ინძაგი.

არბიტრი: ჰოვარდ უები (ინგლისი)

ინგლისი-რუსეთი

ღირსების მატჩი აქვს ინგლისის ნაკრებსაც. მართალია, ისრაელთან სოლიდურმა გამარჯვებამ (3:0) **სტივ მაკლარენს** შვება მოჰგვარა, მაგრამ საქმე ჯერ ბოლომდეა მისაყვანი. ანუ, იმის თქმა გვინდა, რომ **გუუს ჰიდინკის** რუსეთი ინგლისისთვის გაცილებით სერიოზული ოპონენტია, რაკი თავად რუსეთსაც აქვს კვალიფიკაციის იმედი და არცთუ ურიგო. გასათვალისწინებელია, რომ ერთი თვის შემდეგ ინგლისს სწორედ მოსკოვში ექნება საპასუხო ვიზიტი და მაკლარენისთვის უმჯობესია, თუ მანამდე, ასე ვთქვათ, საქმეს წინ წაიგდებს.

უცნაურია, რომ ისრაელთან გამარჯვების შემდეგ, მისტერ სტივი საკადრო პრობლემებზე ნაკლებად წუწუნებს. თუმცა **ფრენკ ლემპარდისა** და **ოუენ ჰარგრივსის** არყოფნა მაინც სერიოზულ მინუსად რჩება. **სტივ ჯერარდის** პრობლემა მოხსნილია, ის დღესაც ძირითადში იქნება, ისევე, როგორც **პიტერ კრაუჩი**, რომელსაც დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა. "ლივერპულის" აყლაყუდა ფორვარდი წინა ხაზზე **მაიკლ ოუენს** შეუწყვილდება. ისრაელთან გატანილმა გოლმა მაიკლს, წესით, მეტი სტიმული და საკუთარი თავის რწმენა უნდა მისცეს.

მაკლარენის ვიზავის კი მთავარი მეკარის პრობლემა აქვს. ჯერ ერთი, რომ ძირითადი კიპერი **იგორ აკინფეევი** ტრავმირებულია, და მეორეც: მაკედონიასთან გააძევეს მისი დუბლიორი **ვლადიმირ გაბულოვი**, რომლის შემცვლელმა **ვიაჩესლავ მალაფეევმა** მყისვე პენალტი (რომელიც გაბულოვის გაძევების გამო დაინიშნა) მოიგერია. დღეს სწორედ მალაფეევი დაიცავს რუსეთს ინგლისური წნეხისგან, რომელიც უდავოდ მძიმე იქნება. ამას გარდა, ჰიდინკს პრობლემები აქვს სხვა რგოლებშიც. ტრავმების გამო, ფორვარდ **ივან საენკოსა** და გარემარბ **იური ჟირკოვის** თამაში ერთობ საეჭვოა.

გაფთხილება სან სიროზე. დონადონის გატუზო ძალიან დააკლდება

სავარაუდო შემადგენლობები

ინგლისი: რობინსონი, რიჩარდსი, ფერდინანდი, ტერი, ე. კოული, რაიტ-ფილიპსი, ჯერარდი, ბერი, ჯ. კოული, კრაუჩი (ან ჰესკი), ოუენი.

რუსეთი: მალაფეევი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ჟირკოვი (ან ანიუკოვი), ბილიალეტდინოვი, ჟირიანოვი, სემშოვი, არშავინი, პავლიუჩენკო, საენკო (ან ბისტროვი).

არბიტრი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

ესპანეთი-ლატვია

ესპანეთის ნაკრები და **ლუის არაგონესი** ბეწვის ხიდზე დადიან. ლატვია არ არის ის მეტოქე, ვისთან მოგებაზეც ეჭვები უნდა გაჩნდეს, მაგრამ ყველას ასე ეგონა რეიკიავიკშიც, საიდანაც პირენეელებმა ქულა ძლივს წამოიღეს. მაშინ, არაგონესმა ყველაფერი **ჩაბი ალონსოს** გაძევებას დაუბრალა, თამაშის სცენარი რადიკალურად შეიცვალაო, მაგრამ "ინჩასებზე" ამგვარი არგუმენტები არ ჭრის. დღეს კი არაგონესი ამას ამბობს:

"უდიდესი შეცდომა იქნება, თუ დავუშვებთ, რომ ლატვიასთან 3 ქულა გარანტირებული გვაქვს. ასე დაგვემართა ისლანდიაში და ამიტომაც დავისაჯეთ. ოთხშაბათის მატჩში გამარჯვებისთვის სრული კონცენტრაცია და თავდადება დაგვჭირდება. დარწმუნებული ვარ, ბიჭები ამისთვის მზად არიან".

არაგონესს არ ეყოლება ისლანდიასთან გაძევებული **ჩაბი ალონსო**, თუმცა დისკვალიფიკაციის შემდეგ ბრუნდება **სესკ ფაბრეგასი**, რომელიც ძირითადში, შეიძლება, **ჩავი ერნანდესი** შეცვალოს. უცვლელი იქნება თავდასხმის წყვილი, ხოლო რაც შეეხება იმას, ითამაშებს თუ არა რეიკიავიკის მატჩის გმირი **ანდრეს ინიესტა**, წინასწარი ინფორმაცია ამაზე არაფერს გვეუბნება. სხვათა შორის, პრესამ არაგონესს არაერთხელ მოუწოდა, რომ ბარსელონელი იმ გოლისთვის მაინც დააფასოს და ლატვიასთან სასტარტოში დააყენოს.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ესპანეთი და ლატვია შესარჩევებში მეოთხედ ხვდებიან ერთმანეთს. ბალტიისპირელებმა ორჯერ წააგეს და ერთხელ ფრეს გამორჩნენ, გოლი კი ესპანელთა კარში ჯერაც არ გაუტანიათ.

სავარაუდო შემადგენლობები

ესპანეთი: კასილიასი, რამოსი, მარჩენა, ხუანტო, პერნია (ან კაპდევილია), ხოაკინი, ალბელდა, ჩავი (ან ფაბრეგასი), დავიდ სილვა, ვილია, ფერნანდო ტორესი.

ლატვია: ვანინსი, კლავა, ივანოვსი, ზირნისი, გორკსი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი, ლაიზანსი, რუბინსი, ვერპაკოვსკისი, კარლსონსი.

არბიტრი: ალონ იეფეტი (ისრაელი)

ჩეხეთი-ირლანდია

D ჯგუფში მეორე ადგილისთვის სწორედ ეს გუნდები იბრძვიან. ჩეხებს გაუმართლათ, რომ გადამწყვეტ მატჩს საკუთარ მოედანზე ატარებენ. გამარჯვების შემთხვევაში, **კარელ ბრიუკნერის** გუნდი, ფაქტობრივად, ინაღდებს ფინალური ეტაპის საგზურს. დისკვალიფიცირებული **იან კოლერის** ნაცვლად, ბრიუკნერმა პრაღის "სპარტის" ფორვარდ **ლიბორ დოშეკს** უხმო. ძირითადში შეიძლება ვიხილოთ თავდამსხმელი **მილან ბაროში**, რომელმაც წელის ტკივილი მოირჩინა.

"სიცოცხლის მატჩისთვის" გამალებით ემზადება ირლანდიაც. ამ გუნდის მწვრთნელი **სტივ სტონტონი** ბოლო ორ მატჩში ოთხ ქულას გეგმავდა. შაბათს, ბრატისლავაში, ირლანდიელებმა გამარჯვება ბოლო წუთზე გაუშვეს ხელიდან, ასე რომ, გეგმის შესასრულებლად ნაკრების ყოფილ ნახევარმცველს პრაღაში მოგება სჭირდება. მაგრამ მწვრთნელის შესაძლებლობები შეზღუდულია. თავიდან, მას 25 მოთამაშე ჰყავდა განკარგულებაში, ახლა კი 20 შეგირდს ამზადებს. ბებიის გარდაცვალების გამო, სტონტონმა **სტივენ ეალენდი** (ვინც სლოვაკეთთან გოლი გაიტანა) გაათავისუფლა. მანვე, პრესას აცნობა, რომ გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებენ "ლივერპულის" მცველი **სტივ ფინენი** და "ვულვერჰემპტონის" ნახევარმცველი **დარენ პოტერი**, რომლებმაც შეკრებიდან გუდა-ნაბადი აიკრეს.

სავარაუდო შემადგენლობები

ჩეხეთი: ჩეხი, უიფალუში, კოვაჩი, როზენალი, იანკულოვსკი, იაროლიმი, გალაშეკი, როსიცკი, პოლაკი, ბაროში, დოშეკი.

ირლანდია: გივენი, დანი, კელი, მაკშეინი, ო'ში, კარსლი, ჰანტი, კილბეინი, რიდი, დოილი, კინი.

არბიტრი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

...და სხვები

A ჯგუფში ცენტრალური თამაშია ჰელსინკიში, სადაც ფინეთი ერთპიროვნულ ლიდერ პოლონეთს მასპინძლობს. სხვადასხვა საგენტოს ცნობით, ოლიმპიურ სტადიონზე ყველა ბილეთი გაყიდულია. **როი ჰოჯსონის** გუნდს, შეიძლება, მომჯობინებული ნახევარმცველი **მიკა ვაირინენი** დაუბრუნდეს. მცველმა **ტონი კალიომ** კი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და უთუოდ ძირითადში იქნება. პოლონელთა თავკაცი **ლეო ბეენჰაკერს** პორტუგალიასთან მატჩში დაშავებული მცველი **გუეგოჟ ბრონოვიცკი** არ ეყოლება.

ამავე ჯგუფში პორტუგალია სერბეთს მიიღებს. მორიგი ჩავარდნის შემთხვევაში, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდს კვალიფიკაციის საქმე მეტად სათუოდ გაუხდება. სერბეთი მისი უშუალო კონკურენტია. ამიტომ, მხოლოდ გამარჯვება იქნება ის შედეგი, რაც სკოლარისა და მის ლაშქარს რეპუტაციას აღუგენს. ტრავმების გამო, მასპინძელთა შორის არ იქნებიან მცველი **მარკო კანეირა** და ფორვარდი **ელდერ პოშტიგა**.

ერთი საკვანძო მატჩია C ჯგუფში. ნორვეგია ზედიზედ მეოთხე გამარჯვებასა და ევროპის ჩემპიონ საბერძნეთის გადასწრებას შეეცდება. **ოტო რეჰაგელს** ფორვარდი **იოანის ამანატიდისი** დაუშავდა. მას ახალი ფეხბურთელი არ მიუწვევია, რაკი არჩევანი სოლიდური აქვს, **ნიკოლაოს ლიბეროპულოსის, დიმიტრიოს სალპინგიდისის, თეოფანის გეკასისა** და **გეორგიოს სამარასის** სახით. ნორვეგიას კი მცველი **კეტილ ველერი** არ ეყოლება. ის კიშინიოვიდან ტრავმირებული დაბრუნდა. ეჭვქვეშაა ვარჯიშზე დაშავებული ნახევარმცველის **ალექსანდერ ტეტეის** თამაში.

ჩელსი. ახალი ამბები

ესიენი, გინესის სახე

ბალაკს კლიპში გადაღებაზე უარი უთხრეს, აბრამოვიჩმა კი რუსეთის ნაკრებისთვის მოიცალაო...

"ჩელსის" ნახევარმცველმა **მიკაელ ესიენმა** ლუდის მწარმოებელ ირლანდიურ კომპანია "გინესთან" სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა. ესიენი მის მშობლიურ განაში ამ კომპანიის სახე გახდა. ირლანდიელები ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანიისათვის ემზადებიან. მიკაელი მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. 24 წლის ესიენი "ჩელსიში" 2005 წელს "ლიონიდან" გადავიდა. მის სანაცვლოდ 24.4 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. განელი ნახევარმცველი ლონდონელთა საკვანძო ფეხბურთელი გახდა. მიმომხილველების აზრით, **ჟოზე მოურინიო** მის სარეკლამო საქმიანობას მკაცრად გააკრიტიკებს. პორტუგალიელი დისციპლინას ყველაფერზე მაღლა აყენებს. ის შეგირდებისაგან ცხოვრების ჯანსაღ წესს ითხოვს. ამ დროს კი მისი ერთ-ერთი უმთავრესი ვარსკვლავი თანამემამულეებს ლუდის სმისაკენ მოუწოდებს.

ესიენი "გინესთან" თანამშრომლობით ბედნიერია. აი, მისი კომენტარი: *"აღელვებული ვარ. ვამაყობ, რომ "გინესმა" თავის პირველ აფრიკელ ელჩად ამირჩია. ვამაყობ იმითაც, რომ აფრიკულ ფეხბურთს ვეკუთვნი და შემიძლია, ახალგაზრდა აფრიკელებისათვის ისეთივე მისაბაძი მაგალითი გავხდე, როგორებიც ტონი იებოა და ჯორჯ ვეა იყვნენ."* კომპანია "გინესმა" აფრიკაში თავისი პროდუქციის რეალიზაცია 17 პროცენტით გაზარდა. ბრიტანეთსა და ირლანდიაში მისი პოპულარობა რატომღაც იკლებს, ამიტომ "გინესისათვის" ახალი ბაზრების დაპყრობა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ესიენი მათ მიზნის მიღწევაში უნდა დაეხმაროს.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია ლონდონელთა ბანაკიდან. ეს ცნობაც "ჩელსის" ვარსკვლავსა და მის სარეკლამო საქმიანობას შეეხება. ყველასათვის უცნობი მიზეზების გამო "არისტოკრატებმა" **მიხაელ ბალაკს** "ადიდასის" კლიპში გადაღების საშუალება არ მისცეს. ამ ინფორმაციას "გარდიანი" ავრცელებს. მიმომხილველი მომხდარის გამო გაკვირვებას ვერ მალავს. ის მკითხველს შეახსენებს, რომ "ადიდასი" არა მხოლოდ ბალაკის, ან თუნდაც გერმანიის ნაკრების ტექნიკური სპონსორია, არამედ სპორტული ეკიპირებით "ჩელსისაც" ის ამარაგებს. ლონდონელებს მომხდარზე კომენტარი არ გაუკეთებიათ. დუმს გერმანელი ვარსკვლავიც. "გარდიანი" კი ასკვნის, რომ ფეხბურთელსა და კლუბს შორის ურთიერთობა უკიდურესად იძაბება. ამიტომ იანვრის ტრანსფერებისას ბალაკის აბარგება დღითიდღე უფრო სავარაუდო ხდებაო. შეგახსენებთ იმასაც, რომ "ჩელსიმ" ბუნდესკაპიტანი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა.

დაბოლოს, "არისტოკრატების" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** მარტო ლონდონელ ფეხბურთელებს არ ანებივრებს. ის რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი სპონსორიცაა. ამბობენ, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელის, **გუუს ჰიდინკის** ხელფასს პირადად ჩუკოტკის გუბერნატორი იხდის. იმასაც ამბობენ, რომ თუ მოურინიოს "ჩელსიდან" აბარგება მოუწევს, მას ჰიდინკი შეცვლისო. ასეა თუ ისე, ორივე მწვრთნელი ძველ პოსტზე აგრძელებს მუშაობას. ხვალ რუსებს ინგლისთან უპრინციპულესი მატჩი აქვთ. ჰოდა, აბრამოვიჩმაც გადაწყვიტა, თუ მისი თანამემამულეები გაიმარჯვებენ, თითოეულს პრემიის სახით, 60 ათასი ევრო გადაუხადოს. საერთო ჯამში, ოლიგარქმა 1 მილიონი ევრო გამოყო. ის რუსული დელეგაციის ლონდონში ცხოვრების ხარჯსაც თავის თავზე იღებს. ინგლისში ჩასული რუსები ლონდონის გარეუბანში, ექსკლუზიურ სასტუმროს "სოფველ ჰაუზში" დაბინავდნენ.

ესიენმა შეიძლება მოურინიო გაანაწყენოს



გონსალეს ბლანკო კარიერას ალბათ მადრიდში დაასრულებს

რაულს "რეალთან" კონტრაქტის გაგრძელება სურს. ფეხბურთელის აგენტმა **ხინეს კარბახალმა** მადრიდელთა პრეზიდენტ **რამონ კალდერონს** მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. გონსალეს ბლანკოს დღევანდელი ხელშეკრულება 2010 წელს იწურება. ფეხბურბელი მზადაა, მადრიდში კიდევ ორი წელი დარჩეს და კარიერაც "სანტიაგო ბერნაბეუზე" დაასრულოს. რაულს წლიურად 4 მილიონ გირვანქას უხდიან. თუ მას კონტრაქტს გაუგრძელებენ, ხელფასი სულ ცოტა 50 პროცენტით შეუმცირდება. მოსალოდნელი გარიგების სხვა დეტალები უცნობია. "რეალის" წარმომადგენლებს ამ საკითხზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

რეალი

რაული ახალ კონტრაქტს ითხოვს

ეს და სხვა მნიშვნელობა ამბები მადრიდელთა ბანაკიდან...

სამაგიეროდ, პრეზიდენტმა **კალდერონმა** განმარტა, რატომ არ შედგა სევილიელი **დანიელ ალვეშის** ტრანსფერი. ბრაზილიელ მცველს სხვა ევროპულ გრანდებთან ერთად, "რეალიც" ეპატიჟებოდა. ის კი საბოლოოდ ანდალუსიაში დარჩა. სენიორ კალდერონმა ტრანსფერის ჩაშლის მიზეზად მადრიდელთა მწვრთნელი **ბერნდ შუსტერი** დაასახელა. გერმანელმა სპეციალისტმა ალვეშის სანაცვლოდ ასტრონომიული თანხის გადახდა ზედმეტად მიიჩნია. სამაგიეროდ, კალდერონმა ფული არ დაიშურა იმ ფეხბურთელებში, რომლებიც შუსტერს სურდა.

იანვრის ტრანსფერებისას მადრიდელები მურსიელი თავდამსხმელის **დანი აკინიოს** შეძენას აპირებენ. აკინიო 17 წლისაა. მან სამხრეთ კორეაში 17-წლამდელთა მუნდიალზე ითამაშა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ესპანური ფეხბურთის ახალგაზრდა ვარსკვლავმა სამი გოლი შეაგდო. მისი გუნდი კი ტურნირის ფინალში ნიგერიის ნაკრებთან, პენალტების სერიაში დამარცხდა. აკინიომ მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ის მეორე თინეიჯერი ვარსკვლავის, **ბოიან კრკიჩის** ჩრდილქვეშ მოექცა. მადრიდელები მასაც სიამოვნებით გადაიყვანდნენ, მაგრამ ეს ბიჭი "ბარსელონის" საკუთრებაა. ასე რომ "რეალი" ვერაფერს გაიყობს. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

"რეალს", ამასობაში, ახალი სპორტული დირექტორი ჰყავს. ეს თანამდებობა **ხავიერ ლოსანომ** დაიკავა. სენიორ ლოსანო დღემდე ესპანეთის ნაკრების მენეჯერი გახლდათ. ის "სელექსიონს" უკვე გამოეთხოვა და გუშინ ახალ სამსახურში წარდგა. ლოსანომ მიწვევის იდეა "რეალის" გენერალურ მენეჯერ **პედია მიატოვიჩს** ეკუთვნის. ახალი სპორტული დირექტორი მადრიდელთა პირველი და მეორე გუნდების ("კასტილიის") საქმეებს გაუძღვება. მას თანამედროვე ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ სპეციალისტად მიიჩნევენ.

მომავალ უქმეებზე კი სამეფო კლუბი "ალმერიასთან" მორიგი ტურის მატჩს გამართავს. **ვესლი სნეიდერის** თამაში საეჭვოა. ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა სანაკრებო შეკრებისას ტრავმა მიიღო. ალბანეთში გამგზავრებამდე ერთ-ერთი ვარჯიშისას მას კოჭი გადაუბრუნდა. ჰოლანდიელმა ექიმებმა მას გამოკვლევა ჩაუტარეს. აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელს ფეხი აქვს ნაღრძობი. ვესლის არყოფნა **ბერნდ შუსტერისთვის** დიდი დარტყმა იქნება. მოგეხსენებათ, "რეალის" ახალწვეულმა სადებიუტო ორ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა. სპეციალისტები მას დედაქალაქური კლუბის ახალ ლიდერად მიიჩნევენ. შუსტერი ჰოლანდიიდან მიღებულმა ინფორმაციამ უკიდურესად შეაშფოთა: *"არ მინდა ვიფიქრო, რომ სნეიდერი მომდევნო ტურის შეხვედრაში ვერ დაგვეხმარება. ნაკრების ინტერესებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ კლუბები ასე არ უნდა ზარალდებოდნენ. ვფიქრობ, მსოფლიო ფეხბურთის მამებმა რაიმე გამოსავალი უნდა იპოვონ. ვესლის ხელფას სამეფო კლუბი უხდის. თითოეული გამოტოვებული მატჩი სერიოზულ ზარალთანაა დაკავშირებული. განა ძნელი მისახვედრია, რომ ჰოლანდიელის გარეშე ჩვენი გუნდი მნიშვნელოვნად დასუსტდება? იმედი ვიქონიოთ, ჩვენი ვარსკვლავი მალე გამოჯანმრთელდება და უწინდებურად კარგად ითამაშებს."*

ალმერიელთა შემადგენლობაში ნამდვილად ვერ ვიხილავთ მადრიდელთა მეორე გუნდის ყოფილ ფეხბურთელ **ალვარო ნეგრედოს**. ეს ბიჭი "ალმერიაში" იმ პირობით გადავიდა, რომ თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ არ დაყენებდნენ. უცნაური გარიგებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნეგრედო "ალმერიაში" იჯარით კი არ თამაშობს, არამედ მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

მანჩესტერ იუნაიტედი

რუნი მზადაა

გარი ნევილი კიდევ ორ კვირას დაისვენებს, პარკი კი იანვარში დაბრუნდება, ერთ კვირაში მენიუს დასუსტებულ სპორტინგთან თამაში ელის...

უეინ რუნი სათამაშოდ მზადაა. შაბათს "მანჩესტერ იუნაიტედი" "ევერტონს" ხვდება. ახალგაზრდა ფორვარდს კი მინდორზე დაბრუნება ყოფილ კლუბთან მატჩისას სურს. 21 წლის რუნი პრემიერლიგის პირველსავე ტურში დაშავდა. მან ტერფის ძვალი გაიტეხა. ექიმების პროგნოზით, რუნის ოქტომბრის დასაწყისში უნდა ეთამაშა, ის კი მოსალოდნელზე სწრაფად გამოჯანმრთელდა. მას თაბაშირი ორი კვირის წინ მოხსნეს. ფეხბურთელისათვის რომ გეკითხათ, ინგლისის ნაკრებსაც სიამოვნებით დაეხმარებოდა, მაგრამ მას მოცდა ურჩიეს. უეინის ომახიანი განცხადების მიუხედავად სულაც არ არის ცხადი, რომ ის ამ უქმეებზე ითამაშებს. **სერ ალექს ფერგიუსონი** მას არ გარისკავს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ამბით ნაყიდი **კარლოს ტევესი** სულაც ვერ ბრწყინავს და ჯერ ერთი გოლიც კი არ გაუტანია. ტევესი არგენტინის ნაკრებთან ერთად ავსტრალიაში იმყოფება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ინგლისში დაბრუნებისას ის გასავათებული იქნება. შაბათს ტევესიც კი, შეიძლება, თადარიგში გაამწესონ. მაგრამ არა უშავს. ფერგის **ლუის საა** გამოუჯანმრთელდა და ძირითადში ის ითამაშებს. რაც მთავარია, სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა **კრისტიანო რონალდომ** და ისიც სასტარტოში იქნება.

სხვა ტრავმირებულ ფეხბურთელებზეც ვთქვათ. **გარი ნევილი** მინდორზე დაბრუნებას ორ კვირაში აპირებს. 32 წლის მარჯვენა მცველს 17 მარტის შემდეგ არ უთამაშია. იმ დღეს "ეშმაკებმა" "ბოლტონს" გადაუარეს (4:1), თუმცა ეს გამარჯვება კაპიტნის ტრავმის ფასად დაუჯდათ. განვლილ ექვს თვეში ნევილმა ჯერ კოჭის, შემდეგ კი ბარძაყის ტრავმები მოიშუშა. მანჩესტერელთა კორეელ გარემარბ **ჟი სუნ პარკსაც** ერთი სული აქვს ითამაშოს, მაგრამ ამას იანვრამდე ვერ მოახერხებს. 26 წლის პარკიც მარტის შემდეგ მკურნალობს. მან მუხლის უმძიმესი ტრავმა გადაიტანა. ფეხბურთელს ოპერაცია კალიფორნიის ცნობილი კლინიკაში გაუკეთეს, ახლა კი ის ინტენსიურ სარეაბილიტაციო პროცედურებს უტარებენ.



უეინ რუნი მინდორზე გასასვლელად მზადაა

ერთი კვირაც და "იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგის ახალ სეზონს დაიწყებს. "ეშმაკების" პირველი მეტოქე მათი ძველი ნაცნობი ლისაბონის "სპორტინგია". როგორც ირკვევა, ლისაბონელებს უმწვავესი საკადრო პრობლემები აქვთ. თავდამსხმელმა **დერლეიმ** მუხლის მყესები გაიწყვიტა და გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს. ანალოგიური ტრავმა აქვს ცენტრალურ მცველ **პედრო სილვასაც**. ექიმებმა დაადგინეს, რომ მას ექვსი თვე გაუცდება. "იუნაიტედისა" და "სპორტინგის" გარდა, ლიგის F ჯგუფში, "რომა" და კიევის "დინამო" ითამაშებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის ისტორია

20 საუკეთესო გუნდი

დღეს სრულდება ფეხბურთის ისტორიისადმი შეძღვნილი მასალების პუბლიკაცია, რომელიც ინგლისურმა ჟურნალმა World Soccer-მა მოამზადა.

დღეს, პლანეტის ყველა დროის გუნდების ჯერი დადგა. საუკეთესო გოლებისა და საუკეთესო მატჩებისგან განსხვავებით, ძნელია თავი შეიკავო ამ რეიტინგის შემდგენელთა გონივრული კრიტიკისაგან. მაგალითად, რთული დასაჯერებელია, რომ ამ სიაში არ ფიგურირებს 70-იანი წლების დასაწყისის გერმანიის ნაკრები. რითია ის ნაკლები თუნდაც 1998-2000 წლების საფრანგეთზე? თუ ამ უკანასკნელმა ჯერ მსოფლიო და შემდეგ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, იმ გერმანიამ ეს პირიქით გააკეთა.

კიდევ უამრავი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ერთის დასახელებაც იკმარებს - ნუთუ დიეგო მარადონას თავისი კარიერის მანძილზე არ უთამაშია ისეთ გუნდში, რომელიც ამ ოცეულში შესვლას დაიმსახურებდა?!

1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია

1. ბრაზილია 1970

ეს არ იყო უბრალოდ გუნდი... ბრაზილია-1970 - ეს იყო რეალობად ქცეული ოცნება, რომელიც სამყარომ მსოფლიო ჩემპიონატებიდან პირველი ფერადი ტელეტრანსლიაციების წყალობით გაიცნო. ისინი თამაშობდნენ ისე, რომ სუნთქვა გეკვრებოდა და დღემდე, ის თამაში საფეხბურთო სილამაზის მწვერვალად რჩება.

ამ ღვთაებრივ კოლექტივს **მარიო ზაგალო** ხელმძღვანელობდა, რომელმაც კარგად იცოდა, რას ნიშნავდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული - როგორც მოთამაშეს, ის მას ორჯერ ჰქონდა მოგებული. კაშკაში ინდივიდუალისტების ნაკრები - შემტევი კვარტეტი (**პელე, ჟაირზინიო, ტოსტაო** და **რიველინო**), ორი ბრწყინვალე ნახევარმცველი (**ჟერსონი** და **კლოდოალდო**), საიმედო დაცვა კაპიტან **კარლოს ალბერტოს** ხელმძღვანელობით. ისინი კარგად ავსებდნენ ერთმანეთს თამაშის შესანიშნავი ორგანიზებითა და მოქნილი ტაქტიკის წყალობით.

გუნდი ფიზიკურადაც შესანიშნავად გამოიყურებოდა - ფიზმომზადებაზე პასუხს აგებდნენ მომავალში ბრაზილიის ნაკრების ორი მწვრთნელი: **კლაუდიო კუტინიო** და **კარლოს ალბერტო პარეირა**. მათ თითოეული ფეხბურთელისთვის ინდივიდუალური ვარჯიშები შეიმუშავეს და 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩიდან ფინალამდე, ბურთის ჯადოქრები მხოლოდ უმატებდნენ თამაშს. *"ჩვენ ისე კარგად ვიყავით მომზადებულნი, რომ მექსიკური სიცხის პირობებშიც კი, არცერთი ჩვენგანი არ მისულა გვერდით ხაზთან და წყალი არ მოუთხოვია"*, - იხსენებს რიველინო.

ზაგალომ ნაკრები შემთხვევით ჩაიბარა. მან შეცვალა **ჟოაო სალდანია**, რომელიც იმის გამო დაითხოვეს, რომ დაიმუქრა - ნაკრების მიღმა თვით პელეს დავტოვებო. ზაგალომ ყოფილ პარტნიორს ძირითადში მოხვედრის გარანტია მისცა, გარდა ამისა, მოაგვარა რიველინოსა და ჟერსონის, ორი ბრწყინვალე, მაგრამ შეუთავსებელი ფლეიმეიქერების პრობლემა - ორივე მათგანი ცაცია იყო. ზაგალომ ჟერსონი შუა ხაზის სიღრმეში გადაიყვანა, რიველინო კი წინ, მარცხენა ინსაიდის პოზიციაზე დააყენა. ეფექტი განსაცვიფრებელი აღმოჩნდა - 4+2+4 სისტემა იოლად გარდაიქმნებოდა 4+3+3-ში, როცა რიველინო უკან იხევდა და ჟერსონს ეხმარებოდა, რომელიც მთავარი დირიჟორის ფუნქციას ასრულებდა.

რაც შეეხება ტექნიკურ ასპექტს, ამაში ბრაზილიელებს ბადალი არ ჰყავდათ. მით უმეტეს მაშინ. მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიასთან სასტარტო მატჩში, პელემ ჟერსონისგან 50-მეტრიანი პასი მიიღო, მკერდზე გაიჩერა ბურთი და ის ბადეში გაახვია, დაიწყო აქამდე არნახული საფეხბურთო კონცერტი, რომლის ფინალური აკორდი "აცტეკაზე", იტალიასთან გადამწყვეტ მატჩში კაპიტანმა კარლოს ალბერტომ შეასრულა. შეხვედრა 4:1 დასრულდა და მას შემდეგ, არცერთ მსოფლიო ჩემპიონს არ გაუტანია ფინალში ოთხი გოლი.

2. უნგრეთი 1950/54

"ჯადოქარი მადიარები", თავიანთი შეტევითი კვარტეტით - **ფერენც პუშკაში, შანდორ კოჩიში, იოჟეფ ბოჟიკი, შანდორ ჰიდეგკუტი** - 50-იანი წლების დასაწყისის უძლიერეს ნაკრებად ითვლებოდა. ისინი ვალდებულნი იყვნენ მოეგოთ 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ ან მეტოქის შეუფასებლობის, ან უიღბლობის გამო, ტიტული გერმანელებს გადაუღოცეს.

საყოველთაო აღიარებით, უნგრელების ფორმის პიკი 1953 წელზე მოვიდა. ერთი წლის შემდეგ კი, მათ უკვე ბევრი პრობლემა ჰქონდათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯგუფურ ეტაპზე, იმავე გერმანელებთან პუშკაშმა ტრავმა მიიღო (სხვათა შორის, უნგრეთმა ის მატჩი 8:3 მოიგო). პუშკაშის ადგილი მარცხენა ნახევარმცველმა **ზოლტან ციბორმა** დაიკავა და ამის შემდეგ, უნგრელებმა ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიცილეს გზიდან წინა მსოფლიო პირველობის ფინალისტები - ბრაზილია და ურუგვაი. ისე ჩანდა, რომ გერმანელებს არანაირი შანსი არ ჰქონდათ.

ფინალში პუშკაში საკუთარ თავს არ ჰგავდა - მან ვერ მოასწრო ბოლომდე გამოჯანმრთელება. მიუხედავად ამისა, ფინალის ბოლოსკენ, 2:3-ზე მან მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ გოლი რატომღაც არ ჩაითვალა, ხოლო ბოლო წუთზე, კოჩიშის აშკარა წაქცევისთვის პენალტი არ დაინიშნა გერმანელთა კარში.

იქამდე ერთი წლით ადრე, უნგრელები ერთი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეებზე. იტალიელები 3:0 განადგურდნენ, ხოლო ნოემბერში, ინგლისელებმა კონტინენტის გუნდთან პირველად წააგეს შინ, და თანაც რა ანგარიშით - 3:6!

1952 წელს, უნგრეთი ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა და საერთოდ, არცერთი მატჩი არ წაუგია 1950 წლის მაისიდან 1954 წლის ივლისამდე - ეს დღემდე საუკეთესო სერიაა ნაკრებების ისტორიაში! 1956 წელს, ნაკრები პოლიტიკური მიზეზების გამო დაიშალა: დასავლეთში წავიდნენ პუშკაში, ციბორი და კოჩიში და მას შემდეგ, უნგრულ ფეხბურთს საერთაშორისო არენაზე ბევრით არაფრით გამოუჩენია თავი.

3. ჰოლანდია 1974

ჰოლანდიის ნაკრები ძალიან ახლო იყო მსოფლიო ჩემპიონატის მოგებასთან. ასევე ყველაზე ახლო იყო ის ლამაზი თეორიის - ტოტალური ფეხბურთის პრაქტიკაში დანერგვასთან.

პირველად ტერმინი - "ტოტალური ფეხბურთი" **ვილი მაილსმა** გამოიყენა წიგნში "საფეხბურთო რევოლუცია", რომელიც 1955 წელს დაიწერა. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მინდორზე ნებისმიერი მოთამაშეს ყველაფრის კეთება შეეძლო - მცველებს შეეძლოთ გოლები გაეტანათ, ფორვარდებს - თავი დაეცვათ. ტოტალური ფეხბურთის ნათლიმამა **რინუს მიხელსმა** ეს თეორია 60-იან წლებში განავითარა, როცა "აიაქსს" ხელმძღვანელობდა. ამსტერდამულმა კლუბმა, რომლის შემადგენლობაში ბრწყინავდა **იოჰან კრუიფი**, 70-იანი წლების დასაწყისში ზედიზედ სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი. უფრო ადრე, 1970 წელს, ეს ტიტული "ფეიენორდმა" მოიპოვა.

ეს იყო ჰოლანდიური ფეხბურთის ოქროს ხანა. მიხელსმა ამ ორი სუპერკლუბის მოთამაშეები გააერთიანა და გუნდი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანა. დაცვაში მან **ვიმ სუურბიერი, არი ჰაანი, ვიმ რიისბერგენი** და **რუუდ კროლი** დააყენა. "ფეიენორდის" **ვიმ ვან ჰანეგემი** და **ვიმ იანსენი** კრუიფსა და **იოჰან ნეესკენსს**, აგრეთვე **ჯონ რენსენბრინკსა** და **ჯონი რეპს** შეუერთდნენ.

მეორე ჯგუფურ ეტაპზე ჰოლანდიელებმა ბრაზილია და არგენტინა დაამარცხეს. ფინალში მიხელსის გუნდმა პირველივე წუთზე გახსნა ანგარიში, მაგრამ გერმანელებმა მონახეს ძალები და ორი გოლი გაიტანეს. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელთა ლამაზ თამაშს გულგრილი არავინ დაუტოვებია და ეს გუნდი დღემდე უძლიერესად ითვლება მათ შორის, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატის მოგება ვერ შეძლეს.

4. მილანი 1989/90

80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანების დასაწყისის "მილანმა", **არიგო საკის** ხელმძღვანელობით რევოლუცია მოახდინა იტალიურ ფეხბურთში, როცა აქცენტი თამაშის სილამაზესა და გაუთავებელ შეტევებზე გააკეთა. საკიმ სახელი "პარმაში" მუშაობით გაითქვა - მან ეს გუნდი 80-იანების შუაში მკვდრეთით აღადგინა. "მილანის" მფლობელმა **სილვიო ბერლუსკონიმ** ნიჭიერი სპეციალისტი შეიძინა და დაიწყო ოცნების გუნდის მშენებლობა. მაშინ, სერია A-ს მატჩებში სამზე მეტი ლეგიონერის გამოყვანა იკრძალებოდა და საკიმ შინ გაამგზავრა ინგლისელები, **რეი უილკინსი** და **მარკ ჰეიტლი**, მათ ნაცვლად კი, მიიწვია ჰოლანდიური ვარსკვლავური დუეტი, **რუუდ გულიტისა** და **მარკო ვან ბასტენის** შემადგენლობით. ერთი წლის შემდეგ, მათ შეუერთდა კიდევ ერთი ჰოლანდიელი, **ფრანკ რაიკაარდი**.

ამ სამეულმა "მილანის" თამაშს ბრწყინვალება შესძინა, ეს იყო ფეხბურთის ნამდვილი პოეზია, ხოლო გუნდის იტალიელი ფეხბურთელები თამაშის "პროზაულ" მხარეზე იყვნენ პასუხისმგებელნი. საკიმ იდეალურ დისციპლინას მიაღწია და გუნდი უნაკლოდ აწყობილ და მომუშავე მექანიზმად ჩამოყალიბდა.

დაცვაში ბრწყინვალედ ავსებდნენ ერთმანეთს ვეტერანი **ფრანკო ბარეზი** და ახალგაზრდები, **პაოლო მალდინი** და **ალესანდრო კოსტაკურტა**. შუა ხაზში რაიკაარდთან ერთად გამოდიოდნენ იტალიის ნაკრების ამჟამინდელი დამრიგებელი **რობერტო დონადონი** და "მილანის" დღევანდელი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი**. ისინი პასებით ამარაგებდნენ გულიტსა და ვან ბასტენს, რომლებმაც ორ-ორი გოლი გაიტანეს 1989 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში, როცა მილანელებმა 4:0 გაანადგურეს "სტიაუა" (ნახევარფინალში, ორი მატჩის ჯამში, ასეთივე სხვაობით იქნა დამარცხებული მადრიდის "რეალი").

დღეისათვის, არიგო საკის "მილანი" უკანასკნელი გუნდია, რომელმაც ამ ტიტულის დაცვა შეძლო. 1990 წლის ფინალში, რაიკაარდის ერთადერთი გოლის წყალობით დაძლეული იქნა **სვენ-გორან ერიქსონის** "ბენფიკის" წინააღმდეგობა. მაშინ, "როსონერიმ" ასევე ზედიზედ ორჯერ შეძლო საკონტინენტთაშორისო თასის მოგება.

5. ბრაზილია 1958

ბრაზილიაში ბევრისთვის 1958 წლის ნაკრები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ის გუნდი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი 12 წლის შემდეგ მოიგო. ამ საკითხზე კამათი რთულია, რადგან მაშინდელ ბრაზილიელ ვარსკვლავებს თავიანთი ქვეყნის საზღვრებს გარეთ თავი არ გამოუჩენიათ და გარდა ამისა, 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ტელევიზიით ისე გლობალურად არ გადაიცემოდა, როგორც 1970 წლის პირველობა.

მიუხედავად ამისა, იყო ერთი მოთამაშე, რომელმაც ორივე ფინალში ითამაშა - პელე. შვედეთში პირველად იხილეს 17 წლის ბიჭი, რომელიც შემადგენლობაში ბოლო მომენტში მოხვდა. გუნდის თამაშის ხარისხით უკმაყოფილო მწვრთნელმა **ვისენტე ფეოლამ**, ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში სსრკ-ის წინააღმდეგ, ძირითადში ანდო ადგილი პელესა და **გარინჩას**.

და საქმე დაიძრა! დებიუტანტებმა და მათთან ერთად შესარჩევი ტურნირის გმირმა **დიდიმ**, სწრაფებმა **ვავამ** და **მარიო ზაგალომ**, ტექნიკურმა **ზიტომ**, 4+2+4 სისტემაში მოქცეულებმა, ნამდვილი კარუსელი დაატრიალეს. ვავამ ხუთი გოლი გაიტანა, მათ შორის ორი ფინალში. შვედეთთან გადამწყვეტი მატჩი პელეს ბრწყინვალე გოლითაც შევიდა ისტორიაში. ბევრს მიაჩნია, რომ სქემა 4+2+4 დღეს უიმედოდ მოძველებულია, მაგრამ მარიო ზაგალო ამტკიცებს, რომ ისეთი შემსრულებლების პირობებში, როგორიც ფეოლას განკარგულებაში იყვნენ, ეს სისტემა ყველა დროში საუკეთესოა.

6. რეალი 1956/60

როგორც კი ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი - ჩემპიონთა თასი დაარსდა, ის მადრიდის "რეალმა" დაიპყრო და ხუთი წლის განმავლობაში ახლოს არავის იკარებდა. კულმინაციად იქცა 1960 წელს, გლაზგოში გამართული ფინალი, როცა მადრიდელებმა 7:3 გაანადგურეს ფრანკფურტის "აინტრახტი".

რა თქმა უნდა, "სამეფო კლუბის" მთავარი ვარსკვლავები **ალფრედო დი სტეფანო** და ფერენც პუშკაში იყვნენ. მათ აღფრთოვანებაში მოჰყავდათ ისინი, ვისაც ბედნიერება ჰქონდა უშუალოდ ენახათ მათი თამაში, არადა, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ მადრიდელთა დიადი გამარჯვებების საწყისებთან სულ სხვა ადამიანი - **სანტიაგო ბერნაბეუ** იდგა.

ის თამამად შეიძლება მოვიხსენიოთ "რეალის" ახალი ეპოქის მამად. გუნდის ყოფილი ცენტრფორვარდი ბერნაბეუ, 1943 წელს კლუბის პრეზიდენტი გახდა. მან მაშინვე გამოაცხადა საკუთარი ამბიციების შესახებ, რომლის მწვერვალიც გახდა სტადიონი "ჩამარტინი" - ის დღეს პრეზიდენტის სახელს ატარებს. "რეალის" უძლიერეს კლუბად ჩამოყალიბების მიზნით, დაიწყო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების შესყიდვა. პირველი იყო დი სტეფანო, რომელიც 1953 წელს ცხვირწინ აიცალეს "ბარსელონას". მალე მას შეუერთდა ცაცია **ფრანსისკო ჰენტო**. ეს ფეხბურთელი პრაქტიკულად ყველა მატჩში გოლს იტანდა. სწორედ იმ პერიოდში ბრწყინავდა ნახევარმცველი **მიგელ მუნიოსი**, რომელიც 1960 წელს გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა.

მადრიდში ვარსკვლავების ჩასვლას ბოლო არ უწანდა და "რეალი" ნამდვილ ლეგენდად ყალიბდებოდა. თავიდან იქ მივიდა ფრანგი **რაიმონ კოპა**, შემდეგ ურუგვაელი მცველი **ხოსე სანტამარია**, მეტსახელად "კედელი". 1958-ში გამოჩნდა პუშკაში, "რეალში" სუსტი ადგილი აღარ დარჩა და ის თავის გზაზე ყველას მიწასთან ასწორებდა.

7. ბრაზილია 1982

გუნდი, რომელსაც არაფერი მოუგია, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ოთხეულშიც ვერ მოხვდა და მიუხედავად ამისა, ამ სიის საუკეთესო ათ გუნდში შევიდა. ბრაზილიელებმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე მომავალ ჩემპიონთან, იტალიასთან წააგეს. არადა, ბრაზილიის ჩემპიონობაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ეს რომ მომხდარიყო, შესაძლოა ამ რეიტინგის სათავეში სწორედ **ტელე სანტანას** გუნდი მდგარიყო.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ბრაზილიელებმა იოლად და ლამაზად მოუგეს გერმანიასა და ესპანეთს, 7:0 გაანადგურეს ირლანდია. მსოფლიო აღფრთოვანებას ვერ მალავდა ბურთის ჯადოქრების შუა ხაზით: ჭკვიანი **ფალკაო**, ფეთქებადი **ჟუნიორი** და კაპიტანი **სოკრატესი**. მათ წინ თამაშობდნენ **ედერი** და **ზიკო** - პელეს შემდეგ ბრაზილიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი.

სანტანას ფილოსოფია ერთი ფრაზით გამოიხატებოდა: მოთამაშეებს უნდა ჰქონდეთ იმის უფლება, მინდორზე საქმე ისე აკეთონ, როგორც მათ სურთ. სსრკ-ის, შოტლანდიის და ახალი ზელანდიის ნაკრებები ერთი ამოსუნთქვით დაამარცხეს, შემდეგ 3:1-მოუგეს ახალგაზრდა მარადონას არგენტინას. იტალიასთან მატჩში, ფრე ბრაზილიელებს აძლევდათ ხელს, მაგრამ **პაოლო როსის** ჰეთ-თრიკმა დაასრულა ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ზღაპარი.

8. ბარსელონა 1991/94

1973 წელს, "ბარსელონამ" მაშინდელი დროისთვის სარეკორდო თანხა, 922 ათასი ფუნტი გადაიხადა ჰოლანდიელ გენიოს **იოჰან კრუიფში**. მაგრამ ესპანეთის ჩემპიონატის გარდა, "ბარსამ" ვერაფრის მოგება ვერ შეძლო. სამაგიეროდ 1988 წელს, გუნდში ჰოლანდიელის მწვრთნელის რანგში დაბრუნებამ, გაციცლებით სხვა დონის შედეგები მოიტანა.

დაიწყო ბრწყინვალე ერა, რომლის განმავლობაშიც, კატალონელებმა მოიგეს ჩემპიონის ოთხი ტიტული, ესპანეთის თასი, ჩემპიონთა თასი, თასების თასი და ესპანეთის სამი სუპერთასი.

ეს იყო მთლიანად ქალაქისთვის ბრწყინვალე პერიოდი, რომლის დროსაც, ბარსელონამ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. ეს 1992 წელს მოხდა, როცა კრუიფის გუნდს პირველად უწოდეს "დრიმ თიმი" - მას შემდეგ, რაც "უემბლიზე", ჩემპიონთა თასის ფინალში 120-ე წუთზე **რონალდ კუმანის** საჯარიმოს წყალობით "სამპდორია" იქნა დამარცხებული.

კრუიფმა კლუბის პრეზიდენტ **ხოსე ლუის ნუნიესისგან** სრული კარტბლანში მიღო და განაცხადა, რომ თავდასხმა საუკეთესო დაცვაა. მან მოთამაშეები მოედნის მთელ სიგანეზე განალაგა და აქცენტი ბურთის ფლობაზე გადაიტანა.

კუმანის გარდა, საკუთარი კარის დაცვაზე ზრუნავდნენ მეკარე **ანდონი სუბისარეტა**, მცველები **ხოსე რამონ ალესანკო** და **მიგელ ანხელ ნადალი**. მოედნის ცენტრში ბრწყინავდნენ **ხოსეპ გვარდიოლა**, დანიელი "პროფესორი" **მიკაელ ლაუდრუპი**, წინ კი, არავის ინდობდნენ ბულგარელი **ხრისტო სტოიჩკოვი** და ბრაზილიელი **რომარიო**. მათი შეთამაშება იდეალური იყო იქამდე, სანამ 1994 წელს, ათენში ჩემპიონთა ლიგის ფინალი არ გაიმართა, როცა "ბარსელონა" უმოწყალოდ გაანადგურა (4:0) "მილანმა".

9. იტალია 1934/38

ორი გამარჯვება 1934 და 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე და ოლიმპიური ოქრო 1936 წელს ბერლინში, დიქტატორმა **ბენიტო მუსოლინიმ** ფაშისტური რეჟიმის წარმატებებს მიაკუთვნა. სინამდვილეში კი, მთელი დამსახურება ლეგენდარულ მწვრთნელს, **ვიტორიო პოცოს** და ფეხბურთელთა ორ ბრწყინვალე ჯგუფს ეკუთვნის.

თავისი პირველი გუნდი პოცომ "იუვენტუსის" ბაზაზე ააწყო, რომელმაც მაშინ ხუთჯერ ზედიზედ მოიგო იტალიის ჩემპიონატი. ადგილობრივ ვარსკლავებს შორის სამი არგენტინელიც იყო - ცენტრალური მცველი **ლუისიტო მონტი** და ორი გარემარი: **ენრიკო გუაიტა** და **რაიმონდო ორსი**. მათთან ერთად, ძირითად დამრტყმელ ძალას **ჯუზეპე მეაცა** და **ჯოვანი ფერარა** ქმნიდნენ. ორივე ფინალში, იტალიელები აშკარად ჯობდნენ თავიანთ მეტოქეებს: 1934 წელს, რომში მათ ჩეხეთის ნაკრები 2:1 დაამარცხეს, 1938-ში პარიზში კი, უნგრელებს მოუგეს 4:2.

ოთხი წლის განმავლობაში, პოცომ თითქმის მთლიანად გადაახალისა შემადგენლობა (ორივე ფინალში მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა ითამაშა) და თან ტაქტიკაც შეცვალა. მონტის ადგილი დაცვაში ურუგვაელმა **მიკელე ანდრეოლომ** დაიკავა, რომელიც თამამად შეიძლება მოვიხსენიოთ ფეხბურთის ისტორიაში პირველ სტოპერად.

10. საფრანგეთი 1998/2000

საფრანგეთი ისტორიაში პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ჯერ მსოფლიოს და შემდეგ ევროპის ჩემპიონატების მოგება შეძლო. გუნდის მთავარი ფიგურები იყვნენ მცველები - **ლილიან ტიურამი, ლორან ბლანი** და **მარსელ დესაი**, კაპიტანი **დიდიე დეშამი** და შეუდარებელი ფლეიმეიქერი **ზინედინ ზიდანი**.

თუმცა საფრანგეთის ნაკრების დანარჩენი მოთამაშეებიც, იმ ხანად მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებად ითვლებოდნენ: კარში კოლორიტული **ფაბიან ბარტეზი**, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე შედეგიანი **ტიერი ანრი**, ტექნიკური და სწრაფი **ემანუელ პეტი**.

თანაც ფრანგებს უმართლებდათ. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც გუნდს **ემე ჟაკე** ხელმძღვანელობდა, მათ იოლი ჯგუფი შეხვდათ, დიდ გაჭირვებით (ბლანის ოქროს გოლის წყალობით) მოუგეს პარაგვაის, პენალტების სერიით გაიარეს იტალია. ხორვატიასთან ნახევარფინალში, მოულოდნელად გუნდის გადამრჩენელი ტიურამი გახდა, ფინალში კი, თავისი სიტყვა თქვა ზიდანმა, რომელმაც იმ ტურნირზე ორი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

ევრო 2000-ზე, უკვე **როჟე ლემერის** ხელმძღვანელობით, "ლურჯებს", ალბათ, უფრო ძლიერი გუნდი ჰყავდათ. დანიისა და ჩეხეთის დამარცხებით, მათ იოლად გადაწყვიტეს ჯგუფიდან გასვლის საკითხი, შემდეგ ესპანეთის დამარცხების ჯერი დადგა, ნახევარფინალში კვლავ ოქროს გოლით მოიგეს, ამჯერად პორტუგალიასთან. კულმინაციად კი, ფინალი იქცა: იტალიური პრაგმატიზმი ფრანგებმა ძირითადი დროის ბოლო წუთზე გატეხეს, შემდეგ კი, კიდევ ერთი ოქროს გოლი გაიტანეს, რომელიც **დავიდ ტრეზეგეს** ანგარიშზე იყო.

1974 წლის ჰოლანდიის ლეგენდარული გუნდის კაპიტანი იოჰან კრუიფი

11. რივერ პლეიტი 1946/50

იმ წლების ვარსკვლავებს, **ლაბრუნასა** და **პედერნერას**, არგენტინაში დღემდე **მარადონასა** და **პასარელას** გვერდით აყენებენ.

12. აიაქსი 1971/73

კიდევ დიდი ხანი არ დაავიწყდებათ ზედიზედ სამი ჩემპიონთა თასი და ბრწყინვალე ფეხბურთი ჰოლანდიური კლუბის შესრულებით.

13. ბაიერნი 1974/76

ამ გუნდში შედიოდა მსოფლიოს ცხრა ჩემპიონი, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე თამაშობდნენ ფეხბურთელები, რომლებიც კლასით აღემატებოდნენ იმათ, ვინც მათ პოზიციებზე მოქმედებდნენ გერმანიის ნაკრებში.

14. სელტიკი 1967

ამ სიის შემდგენლებმა პატივი მიაგეს ჩემპიონთა თასის მომგებ პირველ ბრიტანულ კლუბს.

15. საფრანგეთი 1984

ბრწყინვალე მუშკეტერები **პლატინისა** და **ტიგანას** ხელმძღვანელობით, 1982-86 წლებში ყველაზე ლამაზ გუნდად ითვლებოდა.

16. დანია 1986

მხოლოდ გაუგებრობამ შეუშალა ხელი **ზეპ პიონტეკის** ნაკრებს უფრო მეტის მიღწევაში - ძალისა და სანახაობრიობის მხრივ, დანიელები არავის ჩამოუვარდებოდნენ.

17. რეალი 1998

შემტევი ტრიო - **რაული-შუკერი-მიატოვიჩი** მართლაც სოლიდურად გამოიყურებოდა. "სამეფო კლუბი", ბრაზილიის ნაკრებთან ერთად, მინიმუმ ორჯერ მოხვდა ამ სიაში.

18. ტოტენჰემი 1961

"ტოტენჰემის" დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა შეძლო ინგლისში ოქროს დუბლის შესრულება.

19. ლივერპული 1977

მწვრთნელ **ბილ შენკლის** მუშაობის მწვერვალი: შოტლანდიელმა კლუბი მეორე დივიზიონიდან ევროპული ფეხბურთის ლიდერად აქცია.

20. მანჩესტერ იუნ. 1999

სერ **ალექს ფერგიუსონი** 13 წელი მიდიოდა ამ ტრიუმფისკენ და ისე ჩანდა, რომ ამჯერადაც ტიტულის გარეშე დარჩებოდა, მაგრამ თასი მას ხელში ორი ჯადოსნური წუთის წყალობით ჩაუვარდა.

პელმუტ რანს გამარჯვების გოლი გააქვს უნგრელთა დიდი გუნდის კარში, ამ გოლის გამო უნგრელებმა 48-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტეს

ბარსელონა

ლაპორტა ფიფასა და ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ

ბარსელონელებმა აგვისტოს ტრანსფერებისას მოკრძალებული ხარჯი გაწიეს, პრეზიდენტი შფოთავს, კატალონიას განვითარების საშუალება არ ეძლევაო...

გუშინ **ხოან ლაპორტამ** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ფიფას შეუტია. *"ბარსელონის" პრეზიდენტისთვის კლუბის ფეხბურთელების ეროვნულ გუნდში მივლინების წესი მიუღებელი და სამარცხვინოა: "სკანდალების აგორება არასოდეს მყვარებია. არც ახლა მსურს ჩემს გამოსვლას სკანდალი მოჰყვეს, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ფიფა და უეფა კლუბების დასაცავად არაფერს აკეთებენ. ნაკრებები ხშირად აბსოლუტურად უსაგნო და სპორტული თვალსაზრისით ფუჭი შეხვედრებისთვის საუკეთესო მოთამაშეებს იძახებენ. ამით ისინი, რა თქმა უნდა, ფულს აკეთებენ. სულაც არ აინტერესებთ, რომ კლუბები სერიოზულად ზარალდებიან. მშვენიერია, არა, შენ გამდიდრდე და სხვას პრობლემები შეუქმნა? ხშირად ხდება, როცა ეროვნულ გუნდში წასულ ფეხბურთელებს ტრავმირებულებს გვიბრუნებენ. განა ეს ყველაფერი სამარცხვინო არ არის?"*

სენიორ ლაპორტა კატალონიის ნაკრებთან დაკავშირებულ სკანდალსაც შეეხო. საქმე ის არის, რომ 14 ოქტომბერს კატალონიელები ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან ამხანაგური შეხვედრის ჩატარებას გეგმავდნენ, მაგრამ ესპანეთის მთავრობისა და ფეხბურთის სამეფო ფედერაციის კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე ფიფამ ამ თამაშის ჩატარება აკრძალა. ლაპორტამ ეს ფაქტი ასე შეაფასა: *"ვერაფრით ვხვდები, ესპანეთი კატალონიელებს რატომ გვიკრძალავს, ჩვენი ნაკრების სახელით ოფიციალური ამხანაგური მატჩები ჩავატაროთ. ჩემი აზრით, სახელმწიფოს პლურინაციონალურობისთვის ასეთი თამაშების გამართვა პირიქით უკეთესია. ესპანეთის მთავრობამ კი სამარცხვინო განაცხადი წამოიწყო და ფიფა აიძულა, 14 ოქტომბრის ორთაბრძოლა აეკრძალა. როდემდე უნდა მოგვქაჩონ თმები? საუბედუროდ, ფიფას მესვეურები ვერ ხვდებიან, რომ მთავრობის უსუსურ ბრძანებაზე დამორჩილებით კატალონიას განვითარებაში ხელს უშლიან. მიუხედავად ყველაფრისა, მჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს საწადელს მივაღწევთ და კატალონიის ნაკრები ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობას მიიღებს. სხვაგვარად, უბრალოდ შეუძლებელია. ამ ყოველივეს ცხოვრების დინამიკა მოიტანს..."*

აქვე ერთი საინტერესო ინფორმაცია კატალონიიდან. გაზეთი "ასი" იუწყება, რომ "ბარსელონას" **ტიერი ანრის** ტრანსფერისათვის განკუთვნილი თანხა "არსენალისათვის" ჯერ არ გადაუხდია. კატალონიელები არც ჩქარობენ. შეთანხმების თანახმად, მათ თანხის პირველი ნაწილი გაისად ზაფხულში უნდა დაფარონ, მომდევნო ნაწილი - 2009 წლის ზაფხულში. "ბარსა" ანრის საბოლოოდ მხოლოდ 2010 წლის ზაფხულში გამოისყიდის. იმავე პერიოდში ამოინურება პრეზიდენტ **ხოან ლაპორტას** პრეზიდენტობის ვადაც. კატალონიელებს ლონდონელებისა 13.6 მილიონი გირვანქა მართებთ. თუ ანრის სანაცვლოდ ჯერაც არაფერი გადაუხდიათ, გამოდის, რომ "ბარსელონას" აგვისტოს ტრანსფერებში მხოლოდ 13.5 მილიონი ევრო დაუხარჯავს. ტიერის გარდა, მან სამი ფეხბურთელი შეიძინა. ლიონელი **ერიკ აბიდალი** 5 მილიონი ევრო დაუჯდა, მონაკოელი **იაია ტურე** 2.5 მილიონი, ხოლო სარაგოსელი **გაბრიელ მილიტო** 6 მილიონი. 13.5 მილიონი ერთი სატრანსფერო სეზონის განმავლობაში ამ დონის გიგანტისათვის მეტისმეტად მოკრძალებული თანხაა. შედარებისათვის, "რეალმა" კინაღამ საკუთარი რეკორდი გაუმჯობესა. სამეფო კლუბმა 120 მილიონი ევრო გაიღო. რეკორდი კი 2001 წელს დამყარდა, როცა **ფლორენტინო პერესმა** ახალ ფეხბურთელებში 125 მილიონი დახარჯა. მადრიდელებმა ამ თანხის ნახევარი "იუვენტუსს" **ზინედინ ზიდანში** გადაუხადეს.

დელ ორნოს ვალენსიაში დაბრუნება სურს

ვალენსიაში გატარებული კოშმარული ერთი წლის შემდეგ **ასიერ დელ ორნო** "ბილბაოს" დაუბრუნდა. ბასკი ფეხბურთელი ახლა შესანიშნავ განწყობაზეა და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ღიმილიც დაუბრუნდა. ახლახან დაწყებულ სეზონს ის ოპტიმიზმით უყურებს, თუმცა გაირკვა, რომ დელ ორნოს "სან მამესზე" დიდი ხნით დარჩენა არ სურს: *"ბილბაოს" ხელმძღვანელობას გამოწვდილი ხელისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა გასული სეზონი სამუდამოდ დავივიწყო და შარშანდელმა წარუმატებლობამ ჩემს თამაშზე გავლენა არ იქონიოს. ბასკური კლუბისთვის თავს არ დავზოგავ, მაგრამ ვიქნები გულწრფელი და მოგახსენებთ, რომ "ვალენსიაში" დაბრუნება მსურს. სამწუხაროდ, ამას იქამდე ვერ მოვახერხებ, მანამ "ღამურებს" კიკე სანჩეს ფლორესი უხელმძღვანელებს. ამ ადამიანს მონსტრს შევადარებდი. ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა მხოლოდ ფავორიტები ახეიროს, სხვები კი დათრგუნოს და წყობილებიდან გამოიყვანოს. თუ სანჩეს ფლორესი "ვალენსიას" დატოვებს, "მესტალიაზე" სიამოვნებით დავბრუნდები. ვიცი, რომ ეს დიდი გუნდია. ავბედითი გარემოებები რომ არა, რა თქმა უნდა, გუნდს არ შევიცვლიდი. იმედია, ბილბაოელები კარგად გამიგებენ."*

შესანიშნავი საჩუქარი გულშემატკივრებს

"ბეტისის" პრეზიდენტმა **მანუელ რუის დე ლოპერამ** კლუბის გულშემატკივრებს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა. ამიერიდან "ბეტისის" იმ ინჩასებს, რომლებიც სევილიაში ან ესპანეთში არ იქნებიან, გუნდში მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება რა გაუჭირდებათ. ამიერიდან ინტერნეტში საგანგებო ვებგვერდი (www.realbetisbalompietv.net) ამუშავდება, რომელიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს სატელევიზიო სიუჟეტები იხილონ. პრეზიდენტი დე ლოპერა მიიჩნევს, რომ ეს ნოვაცია ძალიან მნიშვნელოვანია: *"თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ბეტისი" გაცილებით უფრო პოპულარული გუნდი გახდება. ჩვენს გულშემატკივრებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეეძლებათ ინფორმაცია მიიღონ, გარდა ამისა, ისეთი ადამიანებიც აღმოგვაჩენენ, რომლებსაც ჩვენს შესახებ დღემდე არაფერი სმენიათ. დარწმუნებული გახლავართ, წლების შედმეგ "ბეტისის" გულშემატკივრები სულ მცირე, გასამმაგდებიან. ამით სერიოზულად ვიხეირებთ. რაც მეტი ქომაგი გყავს, მით უფრო მდიდარი ხარ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასშტაბური პროექტი

ზიდანიც გალაქსიში?

ზიზუს ტრანსფერზე საფეხბურთო და შოუბიზნესის წრეებში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი იმუშავებს...

ცნობილი ინგლისელი აგენტი **საიმონ ფულერი ზინედინ ზიდანის** ლოს ანჯელესში ჩაყვანას ცდილობს. ფულერი **დევიდ ბექჰემის** აგენტიცაა. სნორედ მისი დამსახურება იყო მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო კონტრაქტი, რომელიც ინგლისელმა გალაქტიკომ "გალაქსისთან" გააფორმა. ბექჰემი ხუთი წლის განმავლობაში 250 მილიონ დოლარს მიიღებს: თუ ზიდანი ფეხბურთში დაბრუნდება, მასაც ამდენს გადაუხდიან. "გალაქსის" ხელმძღვანელობა შიშობს, რომ ფრანგი ვარსკვლავის დათანხმება ძნელი იქნება, მაგრამ საიმონ ფულერს ყველაფერი შეუძლია. ის მხოლოდ საფეხბურთო აგენტი არ გახლავთ. ფულერი პირველ რიგში წარმატებული პროდიუსერია. ის შოუბიზნესის სამყაროში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. მისტერ საიმონი ფეხბურთმა მაშინ გაიტაცა, როცა უკვე მდიდარი და გავლენიანი ფიგურა იყო. ფეხბურთელთა ინტერესების დაცვა მისი ჰობი უფროა, ვიდრე სამსახური. ის ამ საქმესაც ჩვეული წარმატებით ართმევს თავს.

ახლა კი, მოკლედ, ადამიანის შესახებ, რომელიც ზიდანის ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს. საიმონ ფულერი 47 წლისაა. ის შოუბიზნესში 1985 წლიდან მოღვაწეობს. 1990-იანი წლების დასაწყისში მან ბრიტანეთში რამდენიმე წარმატებული მუსიკალური პროექტი განახორციელა. ფულერის სახელს უკავშირებენ "სფაიზ გერლზის" წარმატებასაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი მას არ შეუქმნია. გოგონებმა ფულერი მოგვიანებით, მათი საქმეების სამართავად მიიწვიეს, ხოლო როცა ჯგუფისა და მენეჯერის გზები გაიყარა, "სფაიზ გერლზს" დიდხანს აღარც უარსებია. მოგვიანებით, ის **ვიქტორია ბექჰემისა** და კიდევ ერთი ყოფილი სფაისის, **ემა ბანტონის** მენეჯერი გახდა. ფულერი დღემდე უძღვება პოპულარული ბრიტანელი მომღერლის **ენი ლენოქსის** საქმეებს. 1990-იანი წლების შუა ხანებში წარმატებული მენეჯერი ფეხბურთით დაინტერესდა. მისი ერთ-ერთი პირველი საქმე **სტივ მაკმანამანის** "რეალში" გადაყვანა იყო. ბექჰემის მადრიდული ტრანსფერიც ამ ადამიანმა გაჩარხა და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დევიდის ამერიკული ტრანსფერიც უკანაც ის იდგა. საიმონ ფულერი რამდენიმე წარმატებული სატელევიზიო პროექტის ავტორიცაა, მათ შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ "ამერიქან აიდოლი", რომელიც "ფოქსის" არხზე გადის და მისი საბაზრო ღირებულება 2.5 მილიარდ დოლარს აღემატება. ფულერმა ეს პროექტი "ფოქსს" რამდენიმე

ზინედინ ზიდანი, შეიძლება, ამერიკაში წასული მეორე გალაქტიკო გახდეს

ნლის წინ მიყიდა. მისტერ საიმონის ქონება 460 მილიონ გირვანქას შეადგენს. ჟურნალმა "ფორბსმა" ის პლანეტის ასი ყველაზე გავლენიანი ადამიანის სიაში შეიყვანა.

ფულერის წარდგენა იმიტომ ვცანით საჭიროდ, რომ როგორც ამბობენ, თუ ის რამეს ხელს ჰკიდებს, აუცილებლად აღწევს მიზანს. ესე იგი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბექჰემის შემდეგ, ზიდანი ამერიკაში გადასული მეორე გალაქტიკო იქნება. სხვათა შორის, პენსიაში ყოფნის მიუხედავდ, ზიზუს ერთმატჩიანი კონტრაქტი გააფორმა სიდნეის საფეხბურთო კლუბთან. ნოემბერში, როცა სიდნეელი "ლოს ანჯელეს გალაქსის" უმასპინძლებენ (თამაშის მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიდება, თუ დევიდ ბექჰემის არ გამოჯანმრთელდება), ზიდანი ავსტრალიელთა ღირსებას დაიცავს. ის ერთი საღამოს სანაცვლოდ 300 ათას დოლარს მიიღებს. ზიზუ მთელი თანხის გადარიცხვას საკუთარ საქველმოქმედო ფონდში აპირებს. აქვე გეტყვით, რომ ამერიკაში მყოფმა **რონალდინიომ** ადგილობრივ მიმომხილველებთან საუბრისას არ დამალა, რომ კარიერის გარკვეულ ეტაპზე MLS-ს სიამოვნებით მიაშურებდა. მათ, ვისაც ამერიკული ფეხბურთის განვითარება სურთ, ეს ამბავი აუცილებლად გაახარებთ. სხვათა შორის, როცა ბექჰემის ამერიკაში გადასვლა გადაწყდა, მაშინვე გამოითქვა ვარაუდი, რომ თუ ლიგის თითოეული კლუბი სპონსორების დახმარებით ევროპელ ვარსკვლავებს შეიძენს, ფეხბურთის პოპულარობა სწრაფად გაიზრდება. ჯერჯერობით ამ იდეას განვითარება არ მოჰყოლია. იქნებ ზიდანის ტრანსფერმა შეუწყოს ხელი ვარსკვლავთა ამერიკულ მიგრაციას.

ლივერპულელ აყლაყუდას სიტი ძირითადში თამაშს სთავაზობს

მანჩესტერ სიტი

სვენმა კრაუჩი მოიკითხა

ისაკსონი შმაიხელს ბრძოლას გაუმართავს, ერიქსონს ერთი დიდი პრობლემა ვერ მოუგვარებია...

"მანჩესტერ სიტი" **პიტერ კრაუჩით** დაინტერესდა. "ლივერპულმა" აყლაყუდა თავდამსხმელს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. ფეხბურთელი კი თანამშრომლობის გაგრძელებისაგან თავს იკავებს. მიზეზი ისაა, რომ კრაუჩს თადარიგში ყოფნა არ სურს. **ფერნანდო ტორესის** ტრანსფერის შემდეგ კრაუჩის პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა. მიმდინარე სეზონში მას პრემიერლიგის არცერთ მატჩში ძირითადში არ უთამაშია. ორიოდ კვირის წინ კრაუჩმა **რაფა ბენიტესთან** შეხვედრა ითხოვა. მწვრთნელი მაშინვე დათანხმდა. სენიორ ბენიტესმა თავდამსხმელს აღუთქვა, რომ ამ სეზონში 35-40 მატჩს ჩაატარებს. ბენიტესი შეეცადა, დაერწმუნებინა შეგირდი, რომ მომქანცველი სეზონის განმავლობაში ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ მოახერხებს შეუცვლელად თამაშს. ესპანელი სპეციალისტი შემადგენლობის მუდმივი როტაციითაა ცნობილი. ამგვარად, კრაუჩი ერთადერთი არ არის, რომელიც დროის გარკვეულ ნაწილს სკამზე გაატარებს. პიტერს ასეთი პირობა არ აწყობს. თუ იანვრამდე არაფერი შეიცვლება, ის ახალი სამსახურის ძებნას დაიწყებს. "სიტიმ" მას უკვე შეატყობინა, რომ თანამშრომლობა სურს. იტალიური სააგენტოების მტკიცებით, კრაუჩის დამატება "იუვენტუსსაც" სურს.

მანჩესტერელებს ძირითადი მეკარე **ანდრეას ისაკსონი** გამოუჯანმრთელდათ. შვედეთის ნაკრების გოლკიპერმა სეზონის წინ თითი მოიტეხა და ხანგრძლივი დროით ჩამოშორდა მინდორს. მის არყოფნაში კარის დაცვა თინეიჯერ **კასპარ შმაიხელს** ანდეს. მის გარდა, **სვენ გორან ერიქსონს** დიდი არჩევანი არ ჰქონდა. მის განკარგულებაში ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების კარის დარაჯი, შმაიხელივით გამოუცდელი **ჯო ჰარტი** იყო. დანიელმა ყმაწვილმა საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. მან განვლილი ხუთი თამაშიდან სამში კარი მშრალად შეინახა. "სიტიმ" შმაიხელს ახალი კონტრაქტიც კი შესთავაზა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისაკსონი გარანტირებულად ძირითადში შემადგენლობაში აღარ ითამაშებს. ანდრეასი დუბლიორის თამაშით აღფრთოვანებულია, მაგრამ ადგილის უბრძოლველად დათმობას არ აპირებს. ის არ მალავს, რომ ძირითადში დაბრუნება სურს.

და კიდევ ერთი ინფორმაცია "სიტის" ბანაკიდან. მთავარ მწვრთნელი **სვენ გორან ერიქსონს** ძალიან სერიოზული პრობლემა შექმნია. ის ვერა და ვერ პოულობს საკმარისად დიდ სახლს მანჩესტერში, რათა თავისი 150 კოსტუმი მოათავსოს. კოსტუმების კოლექცია შვედი სპეციალისტის სიამაყეა. ძვირფასი ჩასაცმელი ერთ-ერთი ის გატაცებაა, რაშიც სვენი ფულს დაუნანებლად ხარჯავს და აი, მრავალი წლის განმავლობაში შთამბეჭდავი კოლექციაც დაუგროვდა. 59 წლის ერიქსონი უკლებლივ ყველა საკლუბო კოსტუმს სათუთად უფრთხილდება და ყველგან თან დაატარებს. მის კოლექციაში, რა თქმა უნდა, ინგლისის სანაკრებო კოსტუმებიც მრავლადაა. სვენი "სიტიში" ორი თვის წინ დაინიშნა, მაგრამ დღემდე სასტუმროში ცხოვრობს. მას ლონდონში შესანიშნავი სახლი აქვს, თუმცა ლონდონი მანჩესტერთან არც ისე ახლოსაა, რომ იქ იცხოვროს.

მოსალოდნელი გარიგება

დერბიც იყიდება?

მსურველები პრემიერლიგის მაჩანჩალასაც კი არ აკლია, ბილი დევისს კი დათხოვნა ემუქრება...

სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში პრემიერლიგის კიდევ ერთი კლუბი გაიყიდება. საუბარია მაჩანჩალა "დერბი ქაუნთიზე". ამ გარიგებაზე საინვესტიციო ბანკი "სეიმურ პირსი" მუშაობს. ცოტა ხნის წინ ხსენებული ბანკი ტაილანდელ **ტაქსინ შინავატრას** "მანჩესტერ სიტის" შეძენაში დაეხმარა. "სეიმურ პირსს" ორმა დაინტერესებულმა კონსორციუმმა მიმართა. ამათგან ერთი შეთავაზება, 20 მილიონი გირვანქის ოდენობით, კლუბის დირექტორებმა მაშინვე უარყვეს. "დერბი" ინტერესით განიხილავს მეორე წინადადებას, რომელიც დაწუნებულს 10 მილიონი გირვანქით აღემატება. თვით ყოვლისმცოდნე ბრიტანული ტაბლოიდებისთვისაც კი უცნობია, ვინ დგას ერთი ან მეორე შეთავაზების უკან. "დერბიმ" სეზონი უსუსტესად დაიწყო. ხუთი ტურის შემდეგ მას მხოლოდ ერთი ქულა აქვს და ბოლო ადგილზე იმყოფება. მაგრამ პრემიერლიგას ისეთი დრო დაუდგა, რომ მაჩანჩალა კლუბში ინვესტიციის ჩადებაც მომგებიანი საქმეა. თავად განსაჯეთ: ახალი სატელევიზიო კონტრაქტის წყალობით, ბოლო ადგილზე გასული კოლექტივი 25 მილიონი გირვანქით გამდიდრდება. გეტყვით იმასაც, რომ ჩემპიონი 50 მილიონს მიიღებს.

სანამ გარიგება შედგებოდეს, "დერბი" შეიძლება უმწვრთნელოდ დარჩეს. დიდი შანსია, "ცხვრების" თავკაცი **ბილი დევისი** პრემიერლიგის პირველი მწვრთნელი გახდეს, რომელიც ამ სეზონში უმუშევარი დარჩება. ზაფხულში, უმაღლეს დივიზიონში აღზევების გამო, მას კონტრაქტი ერთი წლით გაუგრძელეს. წესით, დევისმა "დერბიში" 2010 წლამდე უნდა იმუშაოს, მაგრამ მას უკვე წყალი შეუდგა, იუწყება "სანი". დირექტორთა მოთმინების ფიალა "ლივერპულთან" 0:6 განადგურებამ აავსო. ხუმრობა ხომ არ არის: გუნდმა ხუთ თამაშში 15 გოლის გაშვება მოახერხა. მდგომარეობის გამოსწორების გზა არ ჩანს. ბილი დევისი დათხოვნის შემთხვევაშიც კი უმუშევარი არ დარჩება. მას "ლესტერში" დანიშვნას უწინასწარმეტყველებენ. ხოლო თუ ვინ ჩაიბარებს გასაჭირში ჩავარდნილ პრემიერლიგურ კლუბს, უცნობია. იმასაც შეგახსენებთ, რომ "დერბიმ" ლიგის თასიდან გავარდნაც მოასწრო. მან აგვისტოს მიწურულს ქვედა დივიზიონის "ბლექპულთან" პენალტების სერიაში მარცხი ინვნია.

ბილი დევისს, შეიძლება, კარისაკენ მიუთითონ

ულიე საფრანგეთის ნაკრებში დაბრუნდა

"ლივერპულისა" და "ლიონის" ყოფილი თავკაცი **ჟერარ ულიე** საფრანგეთის ნაკრების ტექნიკურ დირექტორად ინიშნება. ცნობილი სპეციალისტი რამდენიმე თვეა, უმუშევარია. გასული სეზონის მინურულს მან "ლიონს" ზედიზედ მეორე საჩემპიონო ტიტული (ულიესათვის მეორე, თორემ ლიონელები ზედიზედ მეექვსედ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები) მოუტანა და თანამდებობა დატოვა. მოსიე ჟერარი საფრანგეთის ნაკრების დირექტორად 1988 წელსაც მუშაობდა. იმხანად ფრანგების მთავარი მწვრთნელი უეფას დღევანდელი შეფი **მიშელ პლატინი** გახლდათ. "ლე პარიზიენის" ცნობით, ულიეს დანიშვნა დიდი ხნის წინ გადაწყდა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაცია ინფორმაციის გავრცელებას არ ჩქარობდა. ულიე **ჟან-პიერ მორლანს** შეცვლის. ეს პიროვნება 1998 წელს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს და პოსტზე ცხრა წელი გაატარა.

ტოტენჰემი კუმანს ეპატიჟება?

"ეინდჰოვენის" თავკაცი **რონალდ კუმანი** ამბობს, რომ ინგლისური კლუბებიდან საინტერესო შეთავაზებები აქვს. ბრიტანელი მიმომხილველების აზრით, მას "ტოტენჰემში" ინვევენ. სპეკულაციები **მარტინ იოლის** მოსალოდნელი გადაყენების შესახებ, ჩვეულ ამბად იქცა. როგორც ჩანს, ამ სპეციალისტის ლონდონური კარიერა მართლა დასასრულს უახლოვდება. კუმანს არასოდეს დაუმალავს, რომ ინგლისში მუშაობა სურს. სარფიანი წინადადების შემთხვევაში, ის მზადაა, "ეინდჰოვენს" დღესვე გამოეთხოვოს. მაგრამ "ტოტენჰემში" ჯერ ისევ იოლი მუშაობს და იანვრის სატრანსფერო გეგმებსაც ის ხაზავს. მისტერ მარტინს "ბოლტონის" მეკარის, **იუსი იაასკელაინენის** შეძენა სურს. მისი ყიდვის შემთხვევაში ინგლისის ნაკრების კარის დარაჯ **პოლ რობინსონს** თადარიგში გადასვლა ელის.

სკოლარის თვალი ინგლისზე უჭირავს

ლუიჯ ფელიპე სკოლარის განზრახული აქვს, პორტუგალიელებთან კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ ინგლისს მიაშუროს. შარშანდელი მუნდიალის წინ მან ინგლისის ნაკრებში დანიშვნას უწინასწარმეტყველებდნენ. **სვენ გორან ერიქსონის** გადადგომა გადაწყვეტილი იყო. ინგლისელებმა სკოლარისთან მოლაპარაკებებიც კი წამოიწყეს, მაგრამ მან ჩემპიონატის დასრულებამდე მოცდა ითხოვა. ბრიტანელებმა ლოდინი არ ისურვეს და სვენის ასისტენტ **სტივ მაკლარენს** გაუფორმეს კონტრაქტი. მუნდიალის მეოთხედფინალში სკოლარის პორტუგალიამ ინგლისი პენალტების სერიაში დაამარცხა და ის ზედიზედ მეორე ტურნირიდან გამოაგდო (პირველად 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე). ამჯერად სკოლარი ინგლისის საკლუბო ფეხბურთში აპირებს ძალების მოსინჯვას. დაინტერესებული კლუბების ვინაობა არ სახელდება. ამ ინფორმაციას გაზეთი "ინდეპენდენტი" ავრცელებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



ანა ჯიქია — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ბორჯომის თასი

მეორე დღეც ქართველებმა

"ბორჯომის თასზე" პირველი წრე გუშინ დასრულდა. კორტზე დარჩენილი 8 წყვილი გამოვიდა, რომელთა შორის ექვსი ქართველი ჩოგბურთელი თამაშობდა. აქედან ხუთმა შეძლო და მეტოქე დაამარცხა, მხოლოდ **თეონა ცერცვაძემ** ვერ დაძლია უკრაინელი **იულია კირიენკოს** ბარიერი და ორ სეტში დამარცხდა - 0:6, 1:6.

საჩოგბურთო დღე დილის ათ საათზე **მანანა შაფაქიძემ** და ჩეხმა **პეტრა მოკრამ** გახსნეს. ქართველმა პირველი სეტი მშრალზე - 6:0 მოიგო; მეორეში კი მეტოქემ თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო, კორტზე ექიმი იხმო და ადრეულად დატოვა ასპარეზი.

დიდი პრობლემები არ შექმნია **მარიამ ქურდაძესაც** - უკრაინელ **კატერინა მალახოვას** 6:2, 6:2 მოუგო, თუმცა რეიტინგით ქართველი ჩამორჩება უკრაინელს... ასევე უპრობლემოდ იმარჯვა **სოფიკო ქვაცაბაიამ** რუს **ჟანა პანფილკინასთან** - 6:1, 6:2; **ანა ჯიქიას** სამი სეტი დასჭირდა სომეხი **ოფელია პოღოსიანის** დასამარცხებლად - პირველში 3:6 წააგო, თუმც მეორეში ბრძოლის ჩარხი შემოატრიალა და 6:3 მოიგო; მესამეში კი სრულად დაეუფლა ინიციატივას - 6:1.

უფრო მეტად გაუჭირდა **თინათინ ყავლაშვილს** - მასაც სამი სეტი დასჭირდა მოსაგებად და აქაც ქართველმა წააგო პირველი სეტი - 1:6. მეორეში 6:3 კი იმარჯვა, მაგრამ გადამწყვეტ სეტში აშკარა უპირატესობას ვერცერთმა მიაღწია და საქმის ბოლო ტაი-ბრეიკზე გადაიჭრა - 7:5 ქართველმა იმარჯვა და შემდეგ წრეშიც გავიდა.

მერვედფინალში ყავლაშვილი ანა ჯიქიას შეხვდება, რაც ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა იქნება ტურნირში... ქართული დერბი ამ ეტაპზე კიდევ ერთი იქნება: სოფიკო შაფათავა სალომე ჩაჩხუნაშვილის წინააღმდეგ.

წყვილებში **ჩაჩხუნაშვილისა** და ცერცვაძის ტანდემმა რუსების - პეტეშკოვა-პროზოროვას დუეტი დაამარცხა ორ სეტში - 6:4, 6:2. **ყავლაშვილი-შაფათავას** ერთობამ კი მეოთხე ნომრად განთესილი სომხურ-რუსული დუეტი გამოთიშა ასპარეზობას - პოღოსიანი და ტოჩილოვსკაია - 6:1, 7:6 (6).

მეორე წრეშია **ეკა გორგოძისა** და ბელარუს **ემეალიანოვას** წყვილი, მათ **ჯიქია-მეზუკეს** აჯობეს - 4:6, 6:2 (10:3). შევნიშნავთ, რომ ორი სეტის შემდეგ თანაფარდობისას გადამწყვეტი ქულა ტაი-ბრეიკით თამაშდება, სადაც 10 ქულამდეა ბრძოლა.

წყვილებში დანაკლისიც გვაქვს: **ქურდაძე-ოქრუაშვილის** წყვილმა უკრაინელებთან - **რიბაკოვა-ცურენკოსთან** წააგეს - 6:3, 7:5.

ზვიად შათირიშვილი



მაკა ჩახნაშვილი

ჩახნაშვილი, კვლავ მარცხი

მეორე კვირაა ზედიზედ საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (146) წარუმატებლად ასპარეზობს საერთაშორისო ტურნირებში. მაკა ბორდოშია, სადაც 100-ათასიან ტურნირში იღებს მონაწილეობას. პირველ წრეში მისი მეტოქე "უაილდ ქარდით" მიწვეული ფრანგი **ვირჟინ პიშე** იყო. სამწუხაროდ, მატჩის ქართველი ფავორიტი სამსეტიან მომქანცველ ბრძოლაში დამარცხდა - 6:7, 6:4, 3:6. წყვილებში მაკა ჩახნაშვილი და **ალისია როსოლკა** პირველ წრეში ისვენებდნენ.

ჩიხლაძე მიულერს შეხვდება

22 წლის **ლადო ჩიხლაძე** ფრანგულ ორლეანში "ჩელენჯერის სერიის" მსხვილ საერთაშორისო ტურნირში თამაშობს, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. მსოფლიოს 388-ე ჩოგანი ასეთი დონის ტურნირის ძირითად ბადეში კარიერაში პირველადაა, საკვალიფიკაციო ეტაპის მოგების შემდეგ, მან ძირითადი ბადის პირველი ბარიერიც გადალახა. დღეს ლადო ორლეანის ღია პირველობის მერვედფინალში ლუქსემბურგელ **ჟილ მიულერს** ხვდება, რომელიც მსოფლიოს 149-ე ჩოგანია (ორი წლის წინათ ის მსოფლიოს 59-ე ჩოგანი იყო). გუშინ პირველ წრეში მიულერმა მე-6 ნომრად განთესილი ფრანგი **ედუარდ როჟერ-ვასელინი** (101) დაამარცხა - 6:4, 6:4.

ისევ ბადეში

19 წლის **ნოდარ ითონიშვილმა** ზედიზედ მეორე ეგვიპტურ ტურნირში შეძლო ძირითად ბადეში გასვლა. ჩვენმა თანამემამულემ, რომელიც საკვალიფიკაციო ბადეში მე-2 ნომრად იყო განთესილი, პირველ წრეში ეგვიპტელი **ასერ ალ ნოკალი** დაამარცხა - 6:4, 6:1. მეორეში მან ესპანელ **ხუან ლოპეს ვიკოს** მოუგო - 6:3, 6:0. ძირითად ბადეში ითონიშვილის მეტოქე ესპანელი **მიგელ-ანხელ სოლბესია**, რომელიც ქართველის მსგავსად საკვალიფილკაციო ბატალიებიდან მოხვდა ბადეში. ითონიშვილი წყვილთა თანრიგშიც ცდის ბედს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჟრიპი

ინტერვიუ თენგიზ მესხაძესთან

რამდენ ლიცენზიას მოგვიტანს ჩიკაგო?

საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები დაბრუნდა სომხეთის საერთაშორისო ტურნირიდან, სადაც რვა მედალი მოიპოვა. ამით ნაკრებმა დაასრულა ტურნირების სერია და ორი შეკრების შემდეგ, ოქტომბრის ბოლოს, პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს.

გუშინ გავესაუბრეთ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ თენგიზ მესხაძეს, რომელმაც ოქტომბრამდე დარჩენილი გეგმები გაგვაცნო და მსოფლიო ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდიც გაგვანდო. შემადგენლობა ზუსტად იგივეა, როგორიც ამასწინათ გაცნობეთ.

- ერევანში წასვლამდე, გავიარეთ შემაჯამებელი შეკრება თბილისში, სადაც ჩავრთეთ საკონტროლო ორთაბრძოლები. ამით საშუალება მომეცა, მოკრივეთა ამჟამინდელი რეალური ფორმა დამენახა. შემდეგ კი სომხეთის საერთაშორისო ტურნირზე წავედით, სადაც გუნდი უშუალოდ საქმეში ვნახე. ერევნული ტურნირი არ ყოფილა მაინცდამაინც წარმომადგენლობითი - სულ სამი ქვეყანა ვმონაწილეობდით. თუმცა საკმაოდ ნორმალური მოკრივეები ჩხუბობდნენ. მასპინძლებს სამი გუნდი ჰყავდათ, რუსეთი კი კრასნოდარის ნაკრებით ჩამოვიდა. რუსებმა ჩამოიყვანეს საკმაოდ ცნობილი, ლავროვის სკოლის მოკრივეები. მათ დელეგაციაში იყო ოლიმპიური ჩემპიონი შამილ საბიროვიც.

მოკლედ, ერევნის ტურნირი საკმაოდ ნაყოფიერი იყო. იქ მოვიპოვეთ ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი.

ახლა მსოფლიო ჩემპიონატამდე დაგვრჩა ორი დასკვნითი შეკრება. 15 სექტემბრიდან, 10-11 დღით წავალთ ბორჯომში, შემდეგ კი ბაქოში გადავინაცვლებთ და აზერბაიჯანის ნაკრებთან გავივლით ერთობლივ შეკრებას. გვინდოდა სომხეთში, წაკხაძორის ოლიმპიურ ბაზაზე მომზადებაც, მაგრამ ბოლოს ისევ ბაქო ვამჯობინეთ. ბოლო შეკრებებზე, ძირითადად ვიმუშავებთ ტექნიკა-ტაქტიკასა და სისწრაფეზე.

აზერბაიჯანიდან დავბრუნდებით 14 ოქტომბერს, 16 სექტემბერს კი ჩიკაგოსკენ გავეშურებით და მსოფლიო ჩემპიონატამდე, ერთი კვირა გვექნება აკლიმატიზაციის გასავლელად.

- მსოფლიო ჩემპიონატზე წამსვლელი შემადგენლობა ხომ არ შეცვლილა?

- არა. ჩიკაგოში მიმყავს ცხრაკაციანი გუნდი: ზვიად ხადური (48 კგ), ნიკოლოზ იზორია (51 კგ), კობა ფხაკაძე (57 კგ), ვასილ ყაზიშვილი (60 კგ), ლევან ღვამიჩავა (64 კგ), კახა ჟვანია (69 კგ), გიორგი ნაკანი (75 კგ), დავით წიკლაური (81 კგ) და ბექა ლობჟანიძე (+91 კგ).

- როგორ ფიქრობთ, რეალურად რამდენი ოლიმპიური ლიცენზიის აღება შეგვიძლია მსოფლიო ჩემპიონატზე?

- ათენის ოლიმპიადის წინ, სალიცენზიო ევროპის ჩემპიონატისთვის, საკმაოდ დიდი დრო მქონდა გუნდის მოსამზადებლად. დღევანდელი გუნდის ბირთვი სწორედ იმ დროს ჩამოვაყალიბე. შესაბამისად, მაშინ ევროპის ჩემპიონატის წინ ვთქვი, რომ ორი ლიცენზია გვექნებოდა და ასეც მოხდა.

ამჯერად, განსხვავებული მდგომარეობაა. მოკრივეების შესაძლებლობები კი ვიცი, მაგრამ რაკილა ნაკრების მთავარ მწვრთნელად ახლახან დავბრუნდი და დიდი დრო არ მქონია, პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება. თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ულიცენზიოდ არ დავრჩეთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში, არცერთ ოლიმპიადას არ ჩაუვლია ქართველი მოკრივის გარეშე.

რეგლამენტის თანახმად, პეკინის საგზურის მოსაპოვებლად, მსოფლიო ჩემპიონატზე რვა საუკეთესოს შორის მოხვედრაა საჭირო. ამისათვის კი დაახლოებით 2-3 ბრძოლა უნდა მოიგო - გააჩნია რამდენი მონაწილე მოგროვდება. მაგალითად, 2005 წელს, ანალოგიურ შეჯიბრებაზე, კახა ჟვანიამ სამი ბრძოლა მოიგო, რითაც მეოთხედფინალში გავიდა. თუმცა ზოგ წონაში, შესაძლოა, ორი შეხვედრის მოგებაც ეყოს მეოთხედფინალსა და ლიცენზიას.

- მსოფლიო ჩემპიონატზე შესაძლოა არ ჩამოვიდეს კუბა. რამდენად დაასხამს ეს წყალს ჩვენს წისქვილზე?

- კუბელებს მუდამ უძლიერესი გუნდი კი ჰყავთ, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მათი გამოკლება საგრძნობლად გაგვიადვილებს საქმეს. არანაკლებ სერიოზული ქვეყნები არიან რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, უზბეკეთი, გერმანია, საფრანგეთი თუ უკრაინა. ასე რომ, ლიცენზიებისთვის ბრძოლა ყველა ვარიანტში მძაფრი იქნება.

კობა ხატისაშვილი

თენგიზ მესხაძე — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ДЕЛЕС ПРЕЗИДЕНТИС АРЧЕВНЕБИА

ЦЕРЦВАДЗЕ ВЕР ЧАМОДИС, БАГРАТИОНИ АДГЕНИЛИА, ТЕВЗАДЗЕ АСПРОЦЕНТИАНИА

დღეს, 14 საათზე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, ქართული ხელბურთის სამყარო შეიკრიბება და ახალ პრეზიდენტს აირჩევს.

რიგგარეშე საარჩევნო ყრილობის ჩატარება გამოიწვია საქართველოს ხელბურთის ასოციაციის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის, **მამუკა სხიერელის** თანამდებობიდან გადადგომამ, რომელსაც უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი. ამდენად, დღეს ახალ პრეზიდენტს ქართულ ხელბურთს ჩააბარებენ ერთი წლით. 2008 წლის ბოლოს კი, ასოციაციის ახალ შეფს ოთხწლიანი ვადით აირჩევენ.

დღევანდელ არჩევნებში, ოფიციალურად დარეგისტრირებულია სამი კანდიდატი: სეოკ-ის ყოფილი პრეზიდენტი **ჯანო ბაგრატიონი** და ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები - **ჯემალ ცერცვაძე** და **თამაზ თევზაძე**. გუშინ, სამივე კანდიდატს შევეხმიანეთ და წინასაარჩევნო განწყობის თაობაზე გავესაუბრეთ. როგორც აღმოჩნდა, ცერცვაძე ავადმყოფობის გამო, არჩევნებზე ვერ მოვა და ალბათ კანდიდატურას მოხსნის კიდეც. სავარაუდოდ, ასევე მოიქცევა **ჯანო ბაგრატიონი**, რომელმაც ჩვენთან საუბარში, მკვეთრი განცხადება გააკეთა და დღეს დილით გადაწყვეტს, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას. აი, **თამაზ თევზაძე** კი ასი პროცენტით იყრის კენჭს და თუკი მისი კონკურენტები მართლაც ჩამოეცლებიან გზიდან, მის გაპრეზიდენტებას ხელს ვერაფერი შეუშლის.

ახლა კი პრეზიდენტობის სამივე კანდიდატის კომენტარები მოვისმინოთ.



ყველაზე რეალური კანდიდატი თამაზ თევზაძეა

ჯანო ბაგრატიონი: - სამწუხაროდ, როგორც ვამჩნევ, არჩევნები არადემოკრატიული პრინციპით ტარდება. ამდენად, ახლა ვფიქრობ, ღირს თუ არა მასში მონაწილეობა.

- რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ არჩევნები სამართლიანად არ ჩატარდება?

- არჩევნების წინ, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი თამაზ თევზაძე და ხელბურთის ასოციაციის გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე ყრილობაში მონაწილე დელეგატების სიას ადგენდნენ საკუთარი შეხედულებისამებრ. არ იყო დაცული წესდება, ბევრი რამ წყდებოდა ტელეფონებზე დარეკვით. როგორც შევიტყვე, პრეზიდიუმის სხდომაზე, დელეგატთა სიის დამტკიცებას დიდი აურზაური მოჰყოლია. არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ჯემალ ცერცვაძე. წესდებით, მამუკა სხიერელის გადადგომის შემდეგ, დროებით მას უნდა შეეთავსებინა პრეზიდენტის ფუნქციები. არადა, ცერცვაძეს იგნორირებას უწევენ. ვერ გავიგე, რა ნიშნით გადაანაწილეს დელეგატთა კვოტები, რატომ არ გაითვალისწინეს ბოლომდე რეგიონების ინტერესები, ხომ არსებობს ამისათვის წესები?

მოკლედ, ყველაფერი აქედანვე თამაზ თევზაძის გაპრეზიდენტებისაკენ მიდის. ამდენად, ახლა ვფიქრობ, ღირს თუ არა ასეთ არჩევნებში მონაწილეობა. არ ვარ მე ის კაცი, რომ ვინმეს "გასაბურთავებლად" გავიხადო თავი. რაც აქამდე არ დაუნგრევიათ, ალბათ ახლა უნდათ დაანგრიონ და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ხელბურთის ასოციაცია. არ მინდა ისე გავაკეთო, რომ მოვიდე ყრილობაზე და ორი კაცის გულისთვის მთელი ხელბურთის სამყაროს მივაყენო შეურაცხყოფა...

მე არ ვამბობ, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ამ ერთ წელიწადში მთებს გადავაბრუნებ. უბრალოდ, შემიძლია ასეთ მოკლე დროშიც კი მდგომარეობის საგრძნობლად გამოსწორება და ქართული ხელბურთის ოჯახის შერიგება-გაერთიანება. სწორედ ამან გადამაწყვეტინა არჩევნებში მონაწილეობა.

ჯემალ ცერცვაძე: - სამწუხაროდ, ხვალინდელ ყრილობას ვერ დავესწრები. ახლა ქობულეთში ვარ, თან ავადმყოფობმაც შემაწუხა - ართრიტი მაქვს და თბილისში ჩამოსვლას ვერ ვახერხებ. მიუხედავად ამისა, სულითა და გულით არჩევნებზე ვარ. რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს ყრილობა, უყოყმანოდ დავეთანხმები. თუმცა, მაქვს საკუთარი მოსაზრებებიც.

თამაზ თევზაძე ახალგაზრდა კაცია, რომელიც ჩემს ხელშია გაზრდილი. მე და თამაზი დიდი ხანია ერთმანეთის მხარდამხარ ვმუშაობთ. მას საერთაშორისო ხელბურთის წრეებში დიდი ავტორიტეტი აქვს. დადებითად შემიძლია დავახასიათო ჯანო ბაგრატიონიც. ასე რომ, ვინც არ უნდა აირჩიონ პრეზიდენტად, მას აუცილებლად დავუდგები გვერდით.

თამაზ თევზაძე: - წინასაარჩევნო განწყობა ჩვეულებრივია. ვაფასებ კონკურენტებს და ვიმედოვნებ, რომ ღირსეული გაიმარჯვებს. თუკი პრეზიდენტად ამირჩევენ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შემდეგ არჩევნებამდე, სამი წლის წინ დაწყებული პროექტები წარმატებით დაგვირგვინდეს.

გუშინვე გავესაუბრეთ ხელბურთის ასოციაციის გენერალურ მდივან ზურაბ კაკაბაძეს, რომელსაც ჯანო ბაგრატიონის განცხადება გავაცანით და პასუხი ვთხოვეთ.

- როგორც ჩანს, ბატონ ჯანოს არასწორ ინფორმაციას აწვდიან. დავიწყოთ დელეგატთა სიებით, სადაც მაქსიმალურადა დაცულია ყველას ინტერესები და მათ შორის, რეგიონებისაც. სადაც ხელბურთი გვაქვს, ყველა რეგიონის წარმომადგენელი მოხვდა ხმის მიცემის უფლების მქონე დელეგატთა 151-კაციან ნუსხაში. დელეგატთა სია დავამტკიცეთ პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა. ამ პროცესს, ჩემ გარდა, ესწრებოდნენ ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები - ჯემალ ცერცვაძე, თამაზ თევზაძე და მერაბ მეტრეველი. ასევე იმედო ფხაკაძე, ჯემალ ბარამიძე, მერაბ როგავა და ელიზბარ ასენაშვილი. ასე რომ, იქ იყო პრეზიდიუმის თითქმის სრული შემადგენლობა - მხოლოდ ლევან აბესაძე ვერ მოვიდა. რაც შეეხება მამუკა სხიერელსა და გურამ ძაგანიას, ისინი პრეზიდიუმის წევრები აღარ არიან. ახლა მითხარით, როგორ დავამტკიცეთ სია მხოლოდ მე და თევზაძემ?

არასწორია ისიც, რომ თითქოს ვინმე დავჩაგრეთ და დელეგატთა ნუსხის მიღმა დავტოვეთ. საქართველოში ხელბურთს მხოლოდ 60-70 წლებში კი არა, მას შემდეგაც თამაშობენ და ახალი თაობის ინტერესებიც დავიცავით. ამას გარდა, არ შეიძლება ხელი ვკრათ საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ლეგიონერებს. მაგალითად, აზერბაიჯანიდან დაბრუნდნენ წლების განმავლობაში იქ მოთამაშე ჩვენი ხელბურთელები - ნინო წივწივაძე და ეკა ჟიჟიაშვილი, მათ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს, დიდი სიამოვნებით დავთანხმდით და დელეგატებადაც ავირჩიეთ.

მოკლედ, 151-კაციანის სიის შედგენისას, მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ ამოგვერჩია ქართულ ხელბურთში ყველაზე უფრო აქტიურად მოღვაწე ადამიანები. და თუ ვინმეს კონკრეტულად დაინტერესებს, თუ რატომ ვერ მოხვდა ესა თუ ის ადამიანი დელეგატთა სიაში, გაგვაცნოს პრეტენზიები და მიიღებს საფუძვლიან, ყველანაირად დასაბუთებულ პასუხს.

არანაირად არ გაგვიკეთებია იგნორირება ჯემალ ცერცვაძისთვის. მან როგორც ფედერაციის უხუცესმა ვიცე-პრეზიდენტმა, მამუკა სხიერელის წასვლის შემდეგ, ავტომატურად შეითავსა პრეზიდენტის მოვალეობა და აბსოლუტურად ყველა საკითხში მისი თანხმობა გვაქვს.

რაც შეეხება იმას, თითქოს მე და თევზაძეს ქართული ხელბურთი დაგვენგრიოს, ამაზე გეტყვით, რომ 2005 წლის იანვარში, როდესაც ასოციაციაში მოვედით, ყველაფერი ნაღდად დანგრეული დაგვხვდა - ფაქტობრივად, არ ტარდებოდა ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატები. და თუ ტარდებოდა რამე, ყველაფერი საშინლად იყო ორგანიზებული. ამას გარდა, ნაკრებ გუნდებს ჰქონდათ დისკვალიფიკაცია და სამი წლის განმავლობაში, საერთაშორისო არენაზე არ ეთამაშათ. გაწყვეტილი იყო საერთაშორისო ურთიერთობებიც.

ჩვენი მოსვლის შემდეგ, ჩემპიონატი ჩემპიონატს დაემსგავსა, ყველა ასაკის ნაკრებმა გუნდმა ითამაშა ოფიციალურ ტურნირებში, ავაწყეთ საერთაშორისო ურთიერთობები, წამოვიწყეთ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომლებიც წარმატებით მიმდინარეობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს მოსვლამდე, კლუბებს ელემენტარულად, თანამედროვე სტანდარტების ბურთებიც კი არ ჰქონდათ, რომლებიც დღემდე არ იყიდება თბილისში. ეს პრობლემაც გადავჭერით ევროპის ხელბურთის ფედერაციის დახმარებით და ყველა კლუბს დავურიგეთ "ადიდასის" ფირმის თანამედროვე ბურთები.

რაც შეეხება ბაზებს, ამ მხრივ, დიდად არ გვილხინს, მაგრამ ჩვენს ხელში არ დაკარგულა არცერთი ბაზა. ერთადერთი, ბათუმის სტანდარტული დარბაზი დავკარგეთ, რისთვისაც ბევრი ვიბრძოლეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით - დარბაზი ჭიდაობის ცენტრად გადააკეთეს.

იმ წლებში, როცა ქართული ხელბურთი მოწყვეტილი იყო ევროპას, ძალიან ბევრი რამ დავკარგეთ, მოხდა წყვეტა თაობებს შორის და ამის სავალალო ნაყოფს ახლა ვიმკით. ამდენად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უმცროსი ასაკების მიხედვა, რისთვისაც არაფერს ვიშურებთ. ვატარებთ ასაკობრივ ჩემპიონატებს და მთელ რიგ ქალაქებში ხელს ვუწყობთ ბავშვთა გუნდების ჩამოყალიბებას, რაც უახლოეს წლებში, აუცილებლად გამოიღებს შედეგს. რაღაც არა მგონია, რომ ეს ყველაფერი ქართული ხელბურთის დანგრევა იყოს...

მაშ, ასე, დღეს 14 საათზე, სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, ჩვენი ხელბურთის ოჯახი ახალ წინამძღოლს აირჩევს. ყრილობაზე დარეგისტრირებულია ხმის მიცემის უფლების მქონე 151 დელეგატი. აქედან, მინიმუმ, 101 მაინც უნდა გამოცხადდეს, რათა ყრილობა უფლებამოსილი გახდეს მუშაობის დასაწყებად.

თუკი საპრეზიდენტო არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას, მაშინ კენჭისყრა ალბათ ყველა ვარიანტში ღია იქნება. ორი ან სამი კანდიდატის შემთხვევაში კი, დელეგატები ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტენ, ღია იქნება არჩევნები თუ ფარული კენჭისყრით გადაწყდება ყველაფერი.

კობა ხატისაშვილი



გივი ნიკურაძე

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო მისი სიკვდილი. წყალთან ყმაწვილობიდან შეზრდილმა, წყალშივე, 58 წლისამ დაასრულა სიცოცხლე. "ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსში ეს იყო გივი ნიკურაძის ბოლო სტუმრობა. ზღვა სიყვარულის დამტევმა გულმა, საცურაო აუზში უმტყუნა.

თუ ვინმეს შეეძლო უხმაუროდ და ალალად, ბუნებისგან მომადლებული ნიჭით ადამიანები გამორჩეულად ყვარებოდა, ამასთან, თავადაც მოეხვეჭა მათი ჭეშმარიტი სიყვარული, გ. ნიკურაძე მათ შორის სამაგალითო იყო. შინაგანი კულტურის გამო, არასდროს ცდილობდა სპორტისგან იმაზე მეტი მიეღო, ვიდრე იმსახურებდა. პირიქით, სხვათათვის მისაბაძ უბრალოებას მისგან იღებდა სპორტი.

ერთ ნავში ჯდომას, ერთ თოკში ჩაბმულ ალპინისტებს ადარებენ. გ. ნიკურაძე სული და გული იყო აკადემიურ ნიჩბოსნობაში ოთხ და რვაადგილიან ნავებით ასპარეზობისას. ასე იყო სსრ კავშირის ნაკრებშიც, როცა რვაადგილიანში ევროპის მესამე პრიზიორი გახდა, სამჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა - აქედან ერთხელ ოთხადგილიანით მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება. სპორტული ოსტატობისა და პიროვნული ღირსებების გათვალისწინებით, მონრეალის ოლიმპიადაზე, საკავშირო ნაკრებში, აუცილებლად ჩათვალეს მისი ჩართვა სათადარიგო წევრად.

თუმცა პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, ურთიერთობა სპორტის საყვარელ სახეობასთან არასდროს გაუწყვეტია, იყო რიგითი მწვრთნელიც და ნაკრებსაც ედგა სათავეში, 1995 წლიდან ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაციის უცვლელი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა სიცოცხლის ბოლო დღემდე. ხარობდა ნიჭიერი ახალგაზრდების წარმატებებით, რაშიც დიდი იყო მისი პირადი წვლილი. პეკინისთვის ლიცენზიის მოპოვებაც ეიმედებოდა. მისი ოცნება ალბათ ასრულდება, მაგრამ... თავად ვეღარ გაიზიარებს იმ სიხარულს.

გ. ნიკურაძის, როგორც სპორტსმენის, ქართული სპორტის თავდადებული სპეციალისტის და ყველაზე საუკეთესო ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნების ერთგულება, თავდადება, ღვაწლი და სახელი, მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგაც დარჩება ქართული სპორტის წინსვლის სამსახურში.

საქართველოს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,
საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაცია.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

მოიგო და სხვაობა შეამცირა



ლელა ჯავახიშვილი

ლელა ჯავახიშვილმა ბაქოს ტურნირის მერვე ტურში თეთრებით უიმედო აუტსაიდერი, აზერბაიჯანელი ილაჰა კადიმოვა დაამარცხა და 5.5 ქულა გაუხდა.

მერვე ტურამდე ლელა მესამე იყო და მოგებით წინ წაწევის კარგი შანსი ჰქონდა, თუმცა ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, წინმსწრებით რომ წაეფორხილათ: **ანტუანეტა სტეფანოვამ** ასეც ქნა - თეთრებით აზერბაიჯანელ **ფირუზა ველიხანლის** ვერ მოუგო და ლელას მხოლოდ ნახევარი ქულით უსწრებს. პოლონელ **მონიკა სოცკოს** შეეძლო მარცხი ეწვნია, რადგანაც შავებით თამაშობდა და თანაც **კატერინა ლაჰნოსთან**, თუმცა პირიქით მოხდა - გაიმარჯვა. მონიკამ ლელასთან ნახევარქულიანი სტატუს-კვო კი შეინარჩუნა, ამავე დროს კი სტეფანოვას დაეწია და პირველობისთვის შესანიშნავი შანსი გაიჩინა...

თეორიულად ასეთი შანსი ჯავახიშვილსაც აქვს, მაგრამ ბოლო ტურში ყველაფერი საშენოდ გადაწყდეს, ცოტა არარეალურია, უფრო რეალური მეორე ადგილზე გასვლაა. ლელა წინ იმ შემთხვევაში წაიწევს, თუკი შავებით ფრანგ **სოფი მიიეს** დაამარცხებს, სოცკო **ნარგიზ უმუდოვასთან** თეთრებით ვერ იხეირებს, სტეფანოვა კი შავებით **პია კრამლინგთან** დამარცხდება.

ჯავახიშვილს მესამე ადგილის დაკარგვის საშიშროებაც ელის; ცხადია, მოვლენათა უარესი ვარიანტის გათამაშებისას - თავად უნდა დამარცხდეს, კრამლინგმა კი, რომელიც ქართველს ნახევარი ქულით ჩამორჩება, სტეფანოვას მოუგოს.

ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან: სოცკო-უმუდოვა; ველიხანლი-ლაჰნო; კრამლინგი-სტეფანოვა; კადიმოვა-ჩმილიტე; მიიე-ჯავახიშვილი.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ანტუანეტა სტეფანოვა - 6; 2. მონიკა სოცკო - 6; 3. ლელა ჯავახიშვილი - 5,5; 4. პია კრამლინგი - 5; 5. კატერინა ლაჰნო - 4; 6. ფირუზა ველიხანლი - 4; 7. სოფი მიიე - 3,5; 8. ვიქტორია ჩმილიტე - 3,5; 9. ნარგიზ უმუდოვა - 1,5; 10. ილაჰა კადიმოვა - 1.

ზვიად შათირიშვილი

სუმო

ვეტერანი დაამარცხა

ტოკიოში სექტემბრის ბაშოზე მეორე გამარჯვება იზეიმა ქართველმა **კოკაიმ**, რომელმაც ვეტერანი სუმოისტი **კიტაძაკურა** დაამარცხა სუკუინაგეს ილეთით. კოკაიმ მარცხენა ხელით შეძლო მეტოქის ზურგის დაჭერა და შემდეგ ეფექტური გდების განხორციელება. კოკაის 2-1 ბალანსი აქვს. დღეს მისი მეტოქე მე-15 მაეგაშირა **იოშიკაძეა**. მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მეორე მარცხი იგემა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**. აკი ბაშოს დაუმარცხებლად შვიდი რიკიში ლიდერობს, მათ შორის ოძეკი **ჩიოტაიკაი** და სეკივაკე **ამინიშიკი**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

აკი ბაშო

სექტემბრის სუპერტურნირი

9-23 სექტემბერი. ტოკიო (იაპონია)

III დღე: კოკაი-კიტაძაკურა (სუკუინაგე), ჰაკუჰო-კაკურიუ 1:0, ჰოკუტორიკი-კაიო 1:0, ამა-კოტომიცუკი 1:0, ჩიოტაიკაი-დეჯიმა 1:0, ტოჩინონდა-კოტოოშუ 1:0, ამინიშიკი-კისენოსატო 1:0, ჰომაშო-ასასეკირიუ 1:0, ტოკიტენკუ-კოტოშოგიკუ 1:0, ვაკანოსატო-კაიჰო 1:0, ტამანოშიმა-ტოიონოშიმა 1:0, მიაბიამა-ტოკიცუუმი 1:0, ტაკეკაძე-ტოიოპიბიკი.

სატურნირო მდგომარეობა: 3-0: ჩიოტაიკაი (ოძეკი), ამინიშიკი (სეკივაკე), ტაკეკაძე (მაეგაშირა 8), კასუგაო (მ 10), კიოკუტენპო (მ 12), ტოჩიოძანი (მ 13), კასუგანშიკი (მ 16).

IV დღე: კოკაი-იოშიკაძე, ჰაკუჰო-ტოჩინონდა, კოტომიცუკი-ტოკიტენკუ, ჩიოტაიკაი-ჰოკუტორიკი, კოტოოშუ-ჰომაშო, კაიო-ამა, კისენოსატო-ასასეკირიუ, ამინიშიკი-კოტოშოგიკუ, დეჯიმა-კაკურიუ, ვაკანოსატო-ტოიოპიბიკი, მიაბიამატამანოშიმა, კიოკუტენპო-ტაკამისაკარი.

ბოქსი

ინტერვიუ გიორგი ნემსაძესთან

საფრანგეთში მივდივარ, ნაკრებში რომ მოვხვდე

გიორგი ნემსაძე

23 წლის ქუთაისელმა მორაგბემ გიორგი ნემსაძემ ცოტა ხნის წინ საფრანგეთის ნაციონალ-1-ის „დომონთან" გააფორმა ხელშეკრულება. იგი მანამდე ქუთაისის „აიაში" თამაშობდა და რამდენჯერმე საქართველოს ნაკრების რიგებშიც იასპარეზა. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

-„დომონში" ჩემი სიძე, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ალექსანდრე მარგველაშვილი თამაშობს და ფრანგული კლუბის ხელმძღვანელობასთან რეკომენდაცია მან გამიწია. დიდი დახმარება აღმოაჩინეს საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ილია ზედგენიძემ და მალხაზ ურჯუკაშვილმა. საფრანგეთში მიწვევა მათ გამიკეთეს და ფედერაციასთანაც მიშუამდგომლეს. „დომონთან" ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, მაგრამ თუ უკეთესი გუნდი გამოჩნდა, ერთი წლის შემდეგ შემიძლია სხვაგან გადავიდე.

- „დომონში" რამდენი ქართველი ირიცხებით?

- იქ თამაშობს ჩემი ძმა დათო ნემსაძე, რომელიც ბელგიის ნაკრების წევრია, ჩემი სიძე ალექსანდრე მარგველაშვილი და ზურაბ მჭედლიშვილი. ახალი სეზონიდან ამათ მეც შევუერთდები.

- რა მიზნები ექნება წლეულს შენს ახალ კლუბს?- ელიტ-2 ში აღზევება უნდათ და ჩემზე დიდ იმედებს ამყარებენ. საფრანგეთში კონტრაქტის გასაფორმებლად რომ ჩავედი, ვარჯიშის დროს გუნდი ორად გაყვეს ერთმანეთში გვათამაშეს, ჩემი ასპარეზობით მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა. „დომონი" საკმაოდ შეძლებული კლუბია. გამოცდილ მოთამაშეებს კარგი ანზღაურება აქვთ. მე ჯამაგირი მათზე ნაკლები მაქვს, მაგრამ იმისთვის ნამდვილად მეყოფა, რომ ვივარჯიშო და სხვაზე არაფერზე ვიფიქრო.

- როგორც ვიცი, ადრეც გქონდა საფრანგეთში გადასვლის შესაძლებლობა...

-სულ პირველად „გურდონი" მიწვევდა, მაგრამ საკონსულოში პრობლემები შემექმნა და საფრანგეთში ვერ წავედი. შემდეგ ელიტ 1-ის „ბრივში" გადასვლის კარგი შანსი მქონდა. პირველივე ტესტმატჩის შემდეგ დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ საბუთების მოწესრიგება ვერ მოვასწარი და ამ გუნდის ვარიანტიც ჩაიშალა. საბედნიეროდ, მესამე ცდაზე გამიმართლა, ამაში თავად კლუბიც ძალიან დამეხმარა, 5 თვე გაჭიანურდა დოკუმენტაციის გაკეთება, თუმცა მთავარია, რომ საფრანგეთში გზა გავიკვლიე და აწი ჩემზეა დამოკიდებული როგორ წარმოვაჩენ თავს. „დომონში" დიდი ხანი არ მინდა დავრჩე, უკეთესს კლუბში თამაში მსურს და ამისათვის ძალსა და ენერგიას არ დავიშურებ.

- ახალ კლუბს როდის შეუერთდები?

- საფრანგეთში კვირას მივემგზავრები. ჯერ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს დავესწრები, მერე შეკრება გვაქვს, 28 ოქტომბერს კი ჩემპიონატიც იწყება.

- როგორ ხარ მომზადებული?

- წელს „აიაში" მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩავატარე. ტრამვის გამო ფაქტობრივად მთელი სეზონი გამიცდა. კოჭი ახლაც მაწუხებს, თუმცა თამაში მწყურია და მცირე ტკივილი ხელს ვერ შემიშლის. ოქტომბრამდე კი ფორმაში შესვლასა და ბევრი რამის დამტკიცებასაც მოვასწრებ.

- გულდანყვეტილი ხომ არ ხარ საფრანგეთში ნაკრების რიგებში რომ ვერ იასპარეზებ?

- გული პირველ რიგში ჩემს თავზე მწყდება- იმდენი ვერ გავაკეთე, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნაკრებში მოვხვედრილიყავი. თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი წინ მაქვს. თუ საფრანგეთში კარგად ვითამაშებ, ნაკრებშიც დავიბრუნებ ადგილს... იმედია, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზეც მოვხვდებით. და იქ მეც ვიასპარეზებ.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ჭიდაობა

აფრიკელები მწვრთნელის სამშობლოში

ჭიდაობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციამ (ფილა) შარშან შექმნა აფრიკის ოლიმპიური ცენტრი, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია თავისუფალ ჭიდაობაზე, რაც შეეხება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას, ის აფრიკის რიგ ქვეყნებში (მაგალითად, ეგვიპტეში) საკმაოდ კარგადაა განვითარებული. ოლიმპიური ცენტრი განთავსდა სენეგალის დედაქალაქ დაკარიდან 70 კილომეტრში, ქალაქ ტიესში.

საერთაშორისო ფედერაციამ თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელთა კონკურსი გამოაცხადა და საჭიდაო ქვეყნებიდან, არჩევანი საქართველოზე შეაჩერა. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაიშვილმა**, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **დავით დავითაიამ** და ფედერაციის სადისციპლინო კომისიის ხელმძღვანელმა, სსრკ ჩემპიონმა, **მერაბ ღუდუშაურმა** რეკომენდაცია მისცეს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, **ვლადიმერ იაშვილს**.

ერთი წელიწადია ქართველი მწვრთნელი საგამოცდო ვადით სენეგალში იმყოფება და წარმატებით მოღვაწეობს. რამდენიმე შერჩევით ტურნირში მან მოჭიდავეები აიყვანა კონგოდან, ცენტრალური აფრიკიდან, სენეგალიდან, გვინეა ბისაუდან, განიდან, კამერუნიდან და ნიგერიიდან.

ვლადიმერ იაშვილმა, როგორც მწვრთნელმა, პირველმა ჩაუყარა საფუძველი სენეგალში თავისუფალ ჭიდაობას. რამდენიმე დღეში ქართველი მწვრთნელის ფერადკანიანი შეგირდები, ბაქოში, ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ. რაღა თქმა უნდა, დებიუტანტებისგან მაღალ შედეგებს არავინ მოელის, მაგრამ მონაწილეობაც კი ასეთი მაღალი რანგის ასპარეზობაში, პეკინის ოლიმპიური თამაშების წინა წელიწადს, მაინც ძალიან ბევრს ნიშნავს.

ვინ არიან ვლადიმერ იაშვილის მოწაფეები? ერთ-ერთმა მათგანმა **აბლაი ჩამ** (84 კგ), მაგალითად, წლეულს, სენეგალის აბსოლუტური პირველობა (ფალავნობა) მოიგო სენეგალურ ნაციონალურ ჭიდაობაში. მან დაიმსახურა დიდი ფულადი ჯილდო და, რაც მთავარია, "პრეზიდენტის დროშა". ადრე იქაურ ფალავნობას ერთავად მძიმეწონოსნები იგებდნენ.

აფრიკული ქვეყნების უმეტესობას თავიანთი ნაციონალური ჭიდაობები გააჩნიათ. განსაკუთრებით პოპულარულია სენეგალური ჭიდაობა. ასპარეზობები, როგორც წესი, ფეხბურთის სტადიონების გადაჭედილი ტრიბუნების წინ ტარდება.

ქართველმა მწვრთნელმა აფრიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, საწვრთნელ შეკრებაზე, თბილისში ჩამოიყვანა და გლდანში ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში დააბინავა. აფრიკელები და მათი ქართველი მწვრთნელი მადლობას უხდიან ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელებს. მოჭიდავეებს აქ საკმაოდ ნორმალური სავარჯიშო და საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ შექმნილი.

აფრიკელმა სტუმრებმა ამასობაში თბილისის დათვალიერებაც მოასწრეს. ეროვნულ სტადიონზე კი საქართველო-უკრაინის საფეხბურთო მატჩებზე ქართველ ფეხბურთელებს მხურვალედ ქომაგობდნენ...

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ვლადიმერ იაშვილს კიდევ ერთი წლით პეკინის ოლიმპიურ თამაშებამდე გაუგრძელა კონტრაქტი აფრიკელ მოჭიდავეებთან სამუშაოდ. ქართველი მწვრთნელის მიზანია ბაქოში მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება, სენეგალში დაბრუნების შემდეგ კი საერთაშორისო ტურნირის დაფუძნება, რაშიც მან საერთაშორისო ფედერაციის მხარდაჭერაც მიიღო.

აფრიკელი მოჭიდავეები და მათი ქართველი მწვრთნელი ვლადიმერ იაშვილი (მარცხნიდან პირველი).
თბილისში ერთობლივი წვრთნის დროს ვ. იაშვილს დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ბენდიანიშვილიც ეხმარებოდა (მარჯვნიდან პირველი)

თუ ადრე აფრიკის პირველობაზე ეგვიპტელი ალჟირელი და ტუნისელი მოჭიდავეები ეუფლებოდნენ ოქროს მედლებს, ახლა ქართველი მწვრთნელის გარჯის შედეგად სენეგალელებმაც დაიწყეს "ოქროს" მოპოვება. წლეულს, მაგალითად, ოქროს - 2, ვერცხლის - 1 და ბრინჯაოს - 3 მედალი აიღეს აფრიკის ჩემპიონატზე.

როცა სენეგალის თავისუფალი ჭიდაობის მატიანე დაიწერება, იქ სამუდამოდ შევა ქვეყანაში ამ ორთაბრძოლის ფუძემდებლის, ქართველი მწვრთნელის ვლადიმერ იაშვილის სახელი.

გაბრიელ ბარჯაძე
ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

გრანდების შიში დაძლეულია

მამუკა გორგოძე დერეფანში

პირველი გვერდიდან

პირველ ტაიმში ასე თუ ისე გავუმკლავდით მეტოქის საუკეთესო მოთამაშის **ხუან ერნანდესის** ფეხით დაკიდებულ ბურთებსაც. აი მეტოქის შეტევის მოგერიების შემდეგ კი ბურთის შორს გადატანა გვიჭირდა და შეტევის ხელმეორე შანსს ვაძლევდით. **მერაბ კვირიკაშვილისთვის** ეს ნამდვილად არ იყო საუკეთესო თამაში - 10 ნომერი ფეხით არცთუ ისე კარგად და შორს იგერიებდა ბურთებს და ამაში ბევრით ჩამორჩებოდა **ერნანდესს**, თუმცა, მეკო ძალიან ხშირად ცუდი პასს იღებდა 9 ნომრისგან. შერკინებიდან აუცილებლად **ბესო უდესიანი** აკეთებდა პირველ დარტყმას და ძალიან კარგადაც გამოსდიოდა.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ერთადერთი შეტევა ძალიან მწვავე გამოდგა. დერეფანში ბურთი **გიორგი ჩხაიძემ** მოიგო, ჩვენებმა შეუტიეს და მეტოქემ ოფსაიდიდან ითამაშა. მეკომ ჯარიმა კიდეზე გადაიტანა, ლელოდან 7 მეტრში დერეფანი **გია ლაბაძემ** მოიგო და მოლით შევუტიეთ - ლელომდე 2 მეტრი რჩებოდა, როცა **უდესიანს** ბურთი მეტოქემ გამოგლიჯა და კიდეზე მოიგერია.

მართალია, კარგა ხანს უჯარიმოდ ვიგერიებდით მეტოქის შეტევებს, მაგრამ 35-ე წუთზე, არგენტინის შვიდფაზიანი შეტევა ჩვენს 22-ში უკვე ლოგიკურად, წესის დარღვევით დასრულდა. კონტეპომიმ ზუსტად დაარტყა - 3:6.

ტაიმის ბოლომდე **აქვსენტი გიორგაძემ** და **ილია ზედგინიძემ** დერეფანში სწრაფად გაითამაშეს ბურთი და აქვსენტიმ 20 მეტრი გაიარა, თუმცა, თანამსაჯმა სანტიმეტრიანი წინ თამაშის გამო დააბეზღა არბიტრთან. ამ მსოფლიო თასზე პირველად მოხდა, რომ პირველი ტაიმი ულელოოდ დასრულდა.

ტაიმის ბოლოს დაშავდა **დავით ზირაქაშვილი** და შესვენებაზე შესაცვლელი შეიქნა. ამან უთუოდ დაასუსტა ჩვენი შერკინება. პირველ გვერდზე ალბათ უკვე გადახედეთ სტატისტიკას და იქ ვერაფერს აღმოაჩენთ საგანგაშოს 3 წაგებული საკუთარი შერკინების გარდა. ჰო, 24 გაცუდებული ბოჭვაც არაა ცოტა. აქედან უმეტესი მეორე ტაიმში იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისში უკვე ჩვენ მოგვივიდა შეცდომა კიკოფისას, მეტოქე ლელოდან 5 მეტრში მოგვიხდა და ძლივს გადავრჩით, თუმცა, შერკინების მოგების შემდეგ არგენტინას თერნოვერი შეემთხვა - ბურთი **ირაკლი გიორგაძემ** იგდო საკუთარ 22-ში, **კვირიკაშვილს** გაატანა, **ბესიკ ხამაშურიძემ** კი 22-დან მეტოქის ნახევრამდე ირბინა. ამას მოჰყვა აქვსენტისა და **დავით ხინჩაგიშვილის** ორი მიძალება, მოსუფთავებული ბურთი და მეკომ არეკნი ააცილა 30 მეტრიდან...

არგენტინამ ნელ-ნელა დაგვჯაბნა სტატიკურ სიტუაციებში და თან უფრო გაშალა თამაში. უკანა ხაზმაც გამოიყენა მიღებული უპირატესობა. 47-ე წუთზე მარჯვენა ფრთაზე **ფელიპე კონტეპომიმ** ვირტუოზული ყოვნი გააკეთა და ბურთი **ხუან ფერნანდესს** გააატანა, რომელმაც ხაზი გაჭრა და რიცხვმეტობა **ლუკას ბორხესმა** გამოიყენა. 3:13 კონტეპომის გარდასახვის შემდეგ. 7 წუთში მანვე ახლოდან გაიტანა საჯარიმო - 3:16. კიდევ 2 წუთის შემდეგ, მოედნის ცენტრში, რაკიდან უხერხულად გამოტანილი ბურთი 10 ნომრის პოზიციაზე მდგომ **პალიკო ჯიმშელაძეს** გაუვარდა ხელიდან. მეტოქემ სწრაფად გაათამაშა და **ბორხესს** ზედ ლელოსთან დაეწია **მამუკა გორგოძე**, მაგრამ მან დამიწება მოასწრო. ვიდეორეფერიმ ლელო აღნუსხა, **კონტეპომიმ** გარდასახვა ააცილა - 3:21 56-ე წუთზე.

ბიძინა სამხარაძემ ჩვენი შეტევა უფრო ააჩქარა და გაამწვავა. 65-ე წუთზე **კვირიკაშვილმა** ამჯერად ძალიან კარგად დაარტყა აბრაგანი მეტოქის 22-თან, ბურთი მაჩხანელს ჩაუვარდა და რთულ სიტუაციაში მყისიერად რომ მიეწოდებინა **ირაკლი გიორგაძისთვის**, ლელო გარდაუვალი იყო. **მაჩხანელმა** დააყოვნა და მერე ვეღარც **კვირიკაშვილს** მოაფიქრდა შეტევის გრძელ ფრთაზე გაშლა - მოკლეზე ფეხით შეაგორა, მეტოქემ ბურთი კიდეზე გადაიტანა და საკუთარი 5-მეტრიანი დერეფანი წავაგეთ. ამის შემდეგ **მაჩხანელი** საკუთარი მოედნიდან გამოექცა არგენტინელებს, მაგრამ ამ ეპიზოდის ბოლოს უკვე საკუთარი შერკინება დავთმეთ.

და მორჩა. ბოლომდე მეტოქე გვჯობნიდა, უკვე ყველაფერში. არგენტინას კიდევ ორი ლელო სჭირდებოდა. **მარიო ლედესმამ** 40-მეტრიანი რეიდი მოგვიწყო, ერთხელ **ზედგინიძემ** ზედ ლელოს ალამთან გადაიყვანა ხაზზე **კორლეტო**, მაგრამ როცა 72-ე წუთზე მეორე ფაზიდან **პატრისიო ალბასეტემ** ახლოდან შეუტია მოკლეზე, წინ არავინ დახვდა. კონტეპომიმ ერთიც ააცილა კიდიდან - 3:26.

ეს ნორმალური კი არა, "კარგი" ანგარიშიც კი იქნებოდა, მაგრამ არგენტინელი უკანახაზელების შეჩერება ჩვენებს უკვე ძალიან უჭირდათ - ერთ შეტევაში **ერნანდესმა** და **ტიესიმ** ვირტუოზულად, ორმაგი ოფლოუდით შექმნეს მეტობა, სულ ბოლოს კი ჩვენს 22-ში ბურთი გრძელ ხაზზე ჩათამაშდა - 12 ნომერი **კონტეპომი** სატყუარად გამოიყენეს, **მარტინ ერნანდესმა** კი ასევე ოფლოუდში, შებოჭილმა მიანოდა გარემარბ **ფედერიკო არამბურუს**, რომლის წინ ჩვენი ბურჯი **ავთო კოპალიანი** აღმოჩნდა. 3:31 და **ხუან ერნანდესს** ნამდვილად ეკუთვნოდა ამ მატჩში ნერტილის დასმა - სამი სამიანი, 3:33.

დავით ჩავლეიშვილი,
საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

- თავიდან ყველაფერი დასახული გეგმის მიხედვით აეწყო. ბიჭებმა თავდადებით იბრძოლეს. ძალიან კარგი შანსი გვქონდა, ამ მატჩის შედეგი სხვანაირი ყოფილიყო. ძალიან გვწყდება გული. არადა გვქონდა მომენტები, რომლებშიც სამწუხაროდ ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ.

დათო ზირაქაშვილმა ტრავმა მიიღო და ამიტომ შევცვალეთ, რის შემდეგაც შერკინებაში ვეღარ დავლაგდით, მით უფრო რომ მესამეხაზელი **გიორგი ჩხაიძე** ნატკენი ფეხით, კოჭლობით თამაშობდა. სანამ შეძლო, გაუძლო.

მეორე ტაიმში არგენტინელები საგრძნობლად გააქტიურდნენ. ჩვენზე სწრაფად დაიწყეს გადაადგილება. რომ დაინახეს, რაკში ჩვენები მეტნი ერთვებოდნენ, ბურთი უფრო და უფრო ხშირად გაჰქონდათ ხაზზე, სადაც რიცხობრივ უპირატესობას ფლობდნენ. შერკინებაც მოგვიგეს. რას შეიძლება დავაბრალოთ? ალბათ იმას, რომ პირველი თამაში იყო. ავირიეთ, ვერაფრით დავლაგდით.

ზირაქაშვილის ტრავმა შესაძლოა სერიოზული აღმოჩნდეს. მას ნეკნები აქვს დაზიანებული. ახლა სურათს გადაუღებენ და დიაგნოზი მოგვიანებით გვეცოდინება. ჩხაიძეს ფეხი კი სტკივა, მაგრამ საშიში არაფერია.

კომენტარები

როგორც მოსალოდნელი იყო, არგენტინელთა ერთ-ერთი ლიდერი **ფელიპე კონტეპომი** მატჩის შემდეგ იმათ შემოსწყრა, ვინც მის ნაკრებს ოთხდღიანი ინტერვალით ორი თამაში დაუნიშნა - მსოფლიო თასის ორგანიზატორ მასპინძლებს.

- ჩემი აზრით ძალზე დაძაბული ბრძოლა გამოვიდა, საქართველოს ნაკრები ძალიან ძლიერია ფიზიკურად და სულიერად - მებრძოლი. ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ ოთხი დღეც ვერ დავისვენეთ. ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ბოლო წუთზე მაინც მოვახერხეთ პრემიის მომტანი მეოთხე ლელოს გატანა, თან ლელო არ გაგვიშვია. არავის ეგონოს, რომ ქართველთა შერკინების მაგარი თამაში ჩვენთვის სიურპიზი იყო, ამის შესახებ თამაშამდეც კარგად ვუწყოდით. ამ ტურნირზე ფიზიკურად ყველა გუნდი ძლიერია, მით უფრო საქართველო. თანაც ეს ქართველთა პირველი მატჩი იყო მსოფლიო თასზე. კარგია, რომ ჩვენ ბოლო წუთამდე ვიბრძვივით მიზნის მისაღწევად.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **ილია ზედგინიძემ** კი ხაზი გაუსვა იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ნაკრებისთვის კარგ გუნდებთან ხშირი თამაში.

- პირველი ტაიმი ძალიან კარგად ვითამაშეთ. მაგრამ მეტი პროგრესის მისაღწევად სწორედ არგენტინის დარ გუნდებთან ხშირი თამაში გვესაჭიროება. არგანტინას დიდებული ნაკრები ჰყავს, მათთან თამაში ძალიან ძნელია, მომავალში სამხრეთამერიკელებს წარმატებას ვუსურვებ. ჩვენი მიზანი ამ ტურნირში მხოლოდ ნამიბიის დამარცხება არაა, ჩვენი მიზანი რაც შეიძლება კარგი თამაშია.

მარსელო ლოფრედა, არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: - ძალიან დაძაბული ფიზიკური დაპირისპირება გამოვიდა. საქართველომ კარგად ითამაშა, პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა. მეტოქის შეუფასებლობა არ ყოფილა - ჩვენ ველოდით ქართველთა ასეთ თამაშს. ფიზიკურად კარგად ვითამაშეთ, ბიჭებს ოთხ დღეში მეორე თამაშში დაღლა ნაკლებად შეეტყოთ, ეს კი ბევრს ნიშნავს. ტურნირის პირველი ნაწილი წარმატებით გავიარეთ.

თამაში მხოლოდ გმირებით

გთავაზობთ რამდენიმე ციტატას რაგბის ყველაზე ცნობილი ვებგვერდიდან "პლანეტ რაგბიდან", რომელიც გუშინდელ მატჩს შეეხება.

არგენტინის ნაკრებმა ლიონში ბრძოლით მოიპოვა 33:3 გამარჯვება ენერგიულ მოწინააღმდეგესთან, გუნდმა ბოლო წუთზე პრემიაც აიღო. "პუმებმა" შეძლეს 6:3 დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ ტაქტიკის შეცვლა".

"გოლიათი ქართველი ფორვარდები, მათი 10 ნომრის **მერაბ კვირიკაშვილის** ფეხით თამაშის დახმარებით, პუმებს დიდ პრობლემებს უქმნიდნენ. ქართველთა დაცვა ნაბიჯ-ნაბიჯ შთანთქავდა შემტევთა ენერგიას. თუმცა მათი უკანა ხაზი, ვერაფერს უპირისპირებდა სამხრეთელთა 10 ნომერ **ხუან მარტინ ერნანდესს** და **ფელიპე კონტეპომის** ".

"არგენტინა კი უტევდა და უტევდა განუწყვეტლივ, თუმცა მამაცი ქართველები თავს ისე იცავდნენ, თითქოს ანგარიშში ოდნავ წინ იყვნენ და თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ბოლოს საქმეში ერნანდესის ჭკვიანური პასები ჩაერთო. არგენტინამ მიზანს მიაღწია, მაგრამ "ლელოებს" დიდი პატივისცემა ეკუთვნით.

"მატჩის გმირი: ეს პრიზი რომ საბოლოო ანგარიშის მიუხედავად გაიცემოდეს, ის აუცილებლად ქართველს შეხვდებოდა. მაგალითად, შერკინების 8 ნომერ **ბესო უდესიანს**, რომელიც ყველგან იყო. ან **ირაკლი მაჩხანელს**, რომელიც ლომივით იყო დაცვაში და შეტევაშიც კარგად ერთვებოდა. არგენტინელთაგან კარგი იყო **მარიო ლედესმა**, როგორც ყოველთვის, ისევე როგორც - **ფელიპე კონტეპომი**, თუმცა პრიზი **ხუან ერნანდესს** ეკუთვნის, რომელმაც საბოლოოდ გატეხა ქართველთა გმირული თამაში - ერნენდესმა ძალიან ჭკვიანურად და დამაჯერებლად ითამაშა".

"მატჩის მომენტი: ასეთი ბევრი ლამაზი მომენტი შემოგვთავაზეს ქართველებმა, რომლებმაც თავი შეაკლეს მოწინააღმდეგეს. ჩვენ მაინც ის მომენტი შევარჩიეთ, როცა მეორე ტაიმის დასაწყისში ქართველებმა დაცვაში ბურთი ჩაჭრეს, შეუტიეს და არგენტინელების ოცნებებს კინალამ ფრთები შეუკვეცეს. როგორ მოეწონა ეს პუბლიკას!

"ანტიგმირი: ქართველთა მეორეხაზელი **მამუკა გორგოძე** რამდენჯერმე ჩხუბის წამოწყებას შეეცადა, მაგრამ მას არავინ აყვა, ან კი როგორ აყვებოდნენ - ბიჭი ნამდვილი გოლიათია.. ამ თამაშს ანტიგმირი არ ჰყოლია!

ნიკოლოზ ნეფარიძე

ირლანდიაც საუკეთესოებს გამოგვიყვანს

დღეს მსოფლიო თასზე სამი რიგითი მატჩია, ჩვენ კი ვისაუბროთ არა ოთხშაბათის, არამედ შაბათის თამაშზე. ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ედი ოსალივანმა უკვე, ოთხი დღით ადრე გამოაცხადა შემადგენლობა საქართველოსთან 15 სექტემბრის შეხვედრისთვის.

ირლანდია ქართველებთან

15. გირვან დემპსი 14. შეინ ჰორგანი 13. ბრაიან ოდრისკოლი (კაპ) 12. გორდონ დარსი 11. დენის ჰიკი 10. რონან ოგარა 9. პიტერ სტრინგერი; 1. მარკუს ჰორანი 2. რორი ბესტი 3. ჯონ ჰეიესი 4. დონჩა ოკალაჰანი 5. პოლ ოკონელი 6. საიმონ ისტერში 7. დვიდ ვოლისი 8. დენის ლიმი / 16. ჯერი ფლენერი 17. საიმონ ბესტი 18. მალკოლმ ოკელი 19. ნილ ბესტი; 20. აიზეკ ბოსი 21. პედი ვოლისი 22. ჯორდან მერფი

შემადგენლობა უძლიერესია. მწვრთნელმა ნამიბიასთან მატჩის შემდეგ მხოლოდ ერთი მოთამაშე გამოცვალა - მარჯვენა ფლანგზე დადგება **შეინ ჰორგანი**, რომელიც წინა თვეში, შოტლანდიასთან მატჩში დაშავდა და მას შემდეგ მკურნალობდა. მან **ენდრიუ თრიმბლი** შეცვალა. თრიმბლმა ნამიბიასთან თითი იღრძო.

სხვა ვითარებაში მწვრთნელი ალბათ დაასვენებდა რამდენიმე წამყვან მოთამაშეს მაინც, მაგრამ ნამიბიასთან ძალიან ცუდი თამაშის, მხოლოდ 32:17 გამარჯვებისა და სასტიკი კრიტიკის შემდეგ ოსალივანმა ძირითადი თხუთმეტეული უცვლელი დატოვა. არადა, 15 სექტემბრის შემდეგ ირლანდიას მეოთხედფინალში გასასვლელი ორი ომი ელის - 21 სექტემბერს საფრანგეთთან და ოცდაათში - არგენტინასთან.

ნამიბიასთან მატჩის შემდეგ რამდენიმე მოთამაშე დაშავებული იყო, მაგრამ მოკეთება ყველამ მოასწრო - კაპიტანმა **ბრაიან ოდრისკოლმა**, 10 ნომერმა **რონან ოგარამ** და ბურჯმა **მარკუს ჰორანმა**. ირლანდიელთა მიზანი საქართველოს წინააღმდეგ ნათელია - თამაშის გაუმჯობესება და გენერალური რეპეტიცია ძირითად მეტოქეებთან თამაშების წინ. რა თქმა უნდა, პრემიის აღებაც.

12 სექტემბერი, 16:00, A ჯგუფი

აშშ–ბონგა

მონაველიე, სტად დე ლა მოსონი

აშშ: 15. ქრის ვაილსი 14. სალესი სიკა 13. პოლ ემერიკი 12. ვაშაფოლაუ ესიკია 11. ტაკუძვა ნგვენია 10. მაიკ ჰერკასი (კაპ) 9. ჩად ერსკინი; 1. მაიკ მაკდონალდი 2. ოუენ ლენცი 3. ქრის ოსენტოვსკი 4. ალეკ ჰარკერი 5. მაიკ მანგანი 6. ლუის სტენფილი 7. ტოდ ქლევერი 8. ჰენრი ბლუმფილდი / 16. ბლეიქ ბარდეტი 17. მატეკიტონგა მოეაკოილა 18. ჰეიდენ მექსტედი 19. ინაკი ბასაური; 20. მაიკ პეტრი 21. ვალენსია მალიფა 22. ალბერტ ტუიპოლოტუ

ბონგა: 15. ვუნგაკოტო ლილო 14. ტევიტა ტუიფუა 13. სუკანაივალუ ჰუფანგა 12. ეპელი ტაიონე 11. ჯოზეფ ვაკა 10. პიერ ჰოლა 9. სოანე ჰავეა ; 1. სოანე ტონგაუიჰა 2. ალეკი ლუტუი 3. კისი პულუ 4. ლისიატე ფაასოსო 5. ჰაინო ჰეჰეა 6. ჰეილ თი-ჰოლე 7. ნილი ლატუ (კაპ) 8. ფინაუ მაკა / 16. ეფრაიმ ტაუფაკა 17. ტომა ტოკე 18. ვილიამი ვაკი 19. ლოტუ ფილიპინე; 20. სიონე ტუიპოლოტუ 21. ისილესი ტუპოუ 22. აიზეა ჰავილი

მსაჯი: **სტიუარტ დიკინსონი** (ავს)

12 სექტემბერი, 20:00, B ჯგუფი

იაპონია–ფიჯი

ტულუზი, მუნიციპალი

იაპ: 15. გო არუგა 14. ქრისტიან ლოამანუ 13. იუტა იმამურა 12. შოტარუ ონიში 11. კოსუკე ენდო 10. ბრის რობინსი 9. ტომოკი იოშიდა; 1. ტაკუკიში ნიშიურა 2. იუძი მაცუბარა 3. ტომოკაცუ სომა 4. ჰიტოში ონო 5. ლიუკ თომპსონი 6. ჰარე მაკირი 7. ფილიპ ორეიელი 8. ტაკურო მიუჩი (კაპ) / 16. ტაკუ ინოკუჩი 17. რიო იამამურა 18. ტაკანორი კუმაგაე 19. რიოტა ასანო; 20. იუკი იატომი 21. კოძი ტაირა 22. ჰიროტოკი ონოზავა

ფიჯი: 15. კამელი რატუვოუ 14. ვილიმონი დელასაუ 13. სერუ რაბენი 12. სერემაია ბაი 11. ისოა ნეიეუა 10. ნიკი ლითლი 9. მოსესე რაულუნი (კაპ); 1. გრეგმ დიუისი 2. სუნია კოტო 3. ჰენრი ქიოდრავუ 4. კელე ლეავერე 5. ვამე ლევარავუ 6. სემისი ნაეკო 7. აკაპუსი ქერა 8. სისა კოიამაიბოლე / 16. ვერენიკი საუტურაგა 17. ჯონე რაილომო 18. ნეტანი ტალეი 19. აკა რატუვა; 20. ჯონე დაუნივუკუ 21. გაბრიელე ლოვობალავუ 22. ნორმან ლიგაირი

მსაჯი: **მარიუს იონკერი** (ს.აფრ)

12 სექტემბერი, 22:00, C ჯგუფი

იტალია–რუმინეთი

მარსელი, ველოდრომი

იტა: 15. დავიდ ბორტოლუსი 14. კეინ რობერტსონი 13. გონსალო კანალე 12. მირკო ბერგამასკო 11. მარკო სტანოვიჩი 10. რამირო პესი 9. პოლ გრიფენი; 1. ანდრეა ლორენზერო 2. კარლო ფესტუჩა 3. მარტინ კასტროჯოვანი 4. სანტიაგო დელაპე 5. მარკო ბორტოლამი (კაპ) 6. ჯოშ სოული 7. მაურო ბერგამასკო 8. სერჯო პარისე / 16. ლეონარდო გირალდინი 17. მატიას აგერო 18. ვალერიო ბერნაბო 19. მანია ვოსაკი; 20. ალესანდრო ტრონკონი 21 ეძიო გალონი 22. რონალდ დემარინი

რუმ: 15. იულიან დუმიტრაში 14. კატალინ ფერკუ 13. ჩაბა გალი 12. რომეო გონტინაკი 11. გაბრიელ ბრეზოიანუ 10. იონუც დიმოფტე 9. ლუჩან სირბუ; 1. პეტრიშორ ტოდერაშკი 2. მარიუს ტინკუ 3. ბოგდან ბალანი 4. სორინ სოკოლი (კაპ) 5. ქრისტიან პეტრე 6. ფლორინ კოროდიანუ 7. ალექსანდრუ მანტა 8. ოვიდიუ ტონიცა / 16. რაზვან მავროდინი 17. ჩეზარ პოპესკუ 18. კოზმინ რაციუ 19. ალექსანდრუ ტუდორი; 20. ვალენტინ კალაფეტინუ 21. იონუც ტოფანი 22. დან ვლადი

მსაჯი: **ტონი სპრიდბერი** (ინგ)

ევროგასკეტი 2007

სმოდიში სულ სხვაა

ნესტეროვიჩის სლოვენია წინ მიინევს

ევროპის ჩემპიონატს ორი ნაუგებელი გუნდი შემორჩა და დღეს მადრიდში, სწორედ ეს ორი ნაკრები დაეჯახება ერთმანეთს. მათ უნდა გაარკვიონ, თუ რომელი მათგანი გავა ფლეი ოფში ასპროცენტიანი შედეგით და რომელს მოუწევს მეოთხედფინალში შედარებით სუსტ ოპონენტთან თამაში. ეს გუნდები არიან სლოვენია და ლიტვა.

სახელებითა და ინდივიდუალური მიღწევებით, ბალტიისპირელები სლოვენიაზე სოლიდურად გამოიყურებიან, მაგრამ სპეციალისტთა უმრავლესობა მაინც იმ აზრზეა, რომ ჯერჯერობით, ესპანეთთან ერთად, ყველაზე გამართულ კალათბურთს **რაშო ნესტეროვიჩი** და მისი მოტივირებული თანაგუნდელები თამაშობენ.

სლოვენიამ მშვენივრად იცოდა, რომ გერმანიის ნაკრები მთლიანად **დირკ ნოვიცკიზეა** დამოკიდებული. "დალასის" ოდერიც სადამდეც სწვდება, იქამდე ქაჩავს თავის გუნდს, მაგრამ სლოვენიასთან დირკი კარგად დაეტეს და მისი უსუსურობით ნირწამხდარმა სხვა გერმანელებმაც პირველ ნახევარშივე გამოაცხადეს კაპიტულაცია.

სლოვენიას წინა ტურნირებზეც საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავდა, მაგრამ გამოცდილების დეფიციტის გამო, ნესტეროვიჩი და კომპანია დამქანცველი მარათონის ბოლოში გასვლას ველარ ახერხებდა.

ამ ტურნირზე გუნდს აკლია "სან ანტონიოს" წევრი, გამთამაშებელი **ბენო უდრიხი**, თუმცა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ნაკრებში თამაშზე თანხმობა ცსკა-ს ვარსკვლავმა, ფორვარდმა **მატიაშ სმოდიშმა** განაცხადა და ამან ისედაც ძლიერი სლოვენია, კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ნებისმიერი მეტოქისთვის რთულად ამოსაცნობი გახადა.

სმოდიში აღნიშნულ შეხვედრაში დირკს კი ედგა გვერდით, მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ნოვიცკის წინააღმდეგ სლოვენიელები ოდენ პერსონალურ მეურვეობას მიმართავდნენ. არა, გერმანელის ერთი-ერთზე გაჩერებას NBA-შიც კი თითქმის ვერავინ ახერხებს, ამას ვერც სმოდიში გააკეთებდა. დროული დაზღვევებით, ორმაგი და ხანდახან სამმაგი მეურვეობითა და გერმანიის ლიდერისთვის სათამაშო სივრცის მაქსიმალურად შეზღუდვით, სლოვენიამ ნოვიცკის 18 "ცოცხალი" სროლიდან 11 გააფუჭებინა.

გერმანია ფარქვეშეთში რომ ვერ შედიოდა (იქაურობა რაშომ ჩარაზა), **დირკ ბაუერმანის** შეგირდებმა აქცენტი პერიმეტრულ ბომბარდირებაზე გადაიტანეს, თუმცა ხეირი ვერც ამით ნახეს - 19 შორეული სროლა და 16 არაზუსტად!

გერმანელებს მატჩის ბოლოს, სულ რაღაც 4 შედეგიანი გადაცემა დაუგროვდათ და დამარცხებულებმა ეს სამარცხვინო დღე 13 შეცდომითაც დააგვირგვინეს.

"სლოვენია ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, მაგრამ დღევანდელი ფიასკოს მთავარი "შემოქმედნი" მინც ჩვენ ვართ. როდესაც მეტოქეს 10 წუთში 30 ქულას აგროვებინებ, რა მოგებაზეა საუბარი?! ნოვიცკის თამაში არ წაუვიდა, მაგრამ მთელი სეზონი მარტო ამ კაცისთვის ფორმის შესანარჩუნებლად ხომ არ ვვარჯიშობდით?! ზედიზედ ორი შეხვედრის ასეთ დონე ზე ჩატარება, უბრალოდ შეუძლებელია და სწორედ ამიტომ მჯერა, რომ მეორე ეტაპის გადამწყვეტ შეხვედრას ჩემი გუნდი გაცილებით ყურადღებით, ნაკლები შეცდომებითა და მეტი აგრესიით გამართავს", - ასეთი კომენტარი გაუკეთა შეგირდების გამოსვლას ბაუერმანმა.

სმოდიში შეუდარებელი იყო. მან მოედანზე მხოლოდ 20 წუთი დაყო, მაგრამ ამ ლიმიტირებულ დროშიც კი მოასწრო სამივე სამიანის გამოყენება და 22 ქულის დაგროვება. ამასთან ერთად, მან ნოვიცკის სამწამიანიდან სამჯერ ბურთი პერიმეტრზე აატანინა და სამივეჯერ გერმანელთა შეტევა 24 წამის წესის დარღვევით დასრულდა.

"მატიაში ყურადღებით მოეკიდა დღევანდელ შეხვედრას და ძალიან კარგად გამოიყურებოდა. სმოდიში ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. ნაკრებში მას მნიშვნელოვანი როლი აკისრია და თუ დღევანდელ კონდიციებს შეინარჩუნებს, მასთან ერთად საკმაოდ შორს წავალთ", - ამბობს სლოვენიის კიდევ ერთი ვარსკვლავი **იაკა ლაკოვიჩი**, რომელსაც, სმოდიშის დარად ერთი სამიანიც არ გაუფუჭებია (2-ში 2) და მატჩი (30 წუთში) 5 შედეგიანი გადაცემითა და ნული შეცდომით დაასრულა.

■ ■ ■

უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მოიგო იტალიამ, რომელმაც მთელი თამაშის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხა **ჰედო თურქოღლუს** (16-ში 10 ზუსტი სროლა და რვიდან 5 სამიანი), თუმცა მაინც მოახერხა მეორე ეტაპზე პირველი გამარჯვების მოპოვება. ამით მას მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი გაუჩნდა.

"გოლდენ სტეიტის" ახალწვეულმა **მარკო ბელინელიმ** 17-ივე ქულა დიდი შესვენების მერე მოიმკო, თურქების ვეტერანმა მსროლელმა **იბრაჰიმ ქუთლუაიმ** (27 წუთში 3 ქულა და ამდენივე შეცდომა) კი, ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წამით ადრე, სამიანი ვერ ჩაადო და გამარჯვებულის ვინაობა დამატებითმა დრომ გამოავლინა.

ოვერტაიმი იტალიამ ზუსტი საშუალო სროლით გახსნა, რასაც **ენგინე აცურმა** შორეული გასროლით უპასუხა და თურქები 73:72 გავიდნენ წინ. ეს იყო და ეს. ამას აპენინელებმა 9:3 გაქცევა დააწიეს და "სკუადრა აძურამაც" მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

არადა, თურქებისთვის ყველაფერი მშვენივრად დაიწყო. პირველ მეოთხედში იტალიამ უამრავი შეცდომა დაუშვა, მეტოქეს კი ყველაფერი გამოსდიოდა. ქუთლუაიმ მთელ მატჩში ერთადერთი ზუსტი სროლით 15-ქულიანი უპირატესობა (25:10) მოუტანა თავის ნაკრებს, მაგრამ იტალიამ თამაშის ხარისხი გამოასწორა და დიდი შესვენებისთვის მხოლოდ 9 ქულას (34:43) აგებდა.

თურქები საჯარიმოების კატასტროფულად ცუდმა შესრულებამაც დაღუპა. თურქოღლუმ და მისმა თანაგუნდელებმა 29 თავისუფალიდან მხოლოდ 16 გამოიყენეს, იტალია კი ბოლო ტურში გერმანიას ხვდება და ამათში გამარჯვებულიც მეოთხედფინალის საგზურს მოიპოვებს. მაგარი თამაში უნდა იყოს.

■ ■ ■

საინტერესოდ უნდა ყოფილიყო ტურნირის ორი საუკეთესო გამთამაშებლის, **შარუნას იასიკიავიჩუსის** ლიტვისა და **ტონი პარკერის** საფრანგეთის მატჩიც, თუმცა თუ ვარსკვლავი ფლეიმეიქერების პრინციპული დაპირისპირება ლამის თანაბრად დასრულდა, ლიტვაში სხვებმაც იყოჩაღეს, ხოლო საფრანგეთმა კი მთლიანად ჩააგდო შეხვედრა და ალბათ, ეს უმთავრესად იმავე პარკერის არცთუ დამაჯერებელი გამოსვლის გამო მოხდა.

"სჰურსის" ვარსკვლავმა 30 წუთში მხოლოდ ცხრაჯერ სცადა ბედი თამაშიდან და მართალია, ამ დროში ერთი შეცდომაც არ დაუშვია, ლიტველებმა მის წინააღმდეგ ისეთი დაცვითი ხაფანგები დადგეს, რომ ტონის საფირმო შესვლების საშუალება თითქმის ბოლომდე მოუსპეს.

მატჩის დღეს 29 წელი შეუსრულდა **რამუნას შიშკაუსკასს**. მოსკოვის ცსკა-ს ახალწვეულმა დაბადების დღე ორივე გუნდში ყველაზე მეტი - 19 ქულით აღნიშნა, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ წინა მატჩების დარად, ლიტვამ ამჯერადაც მისცა ოპონენტს 20-ქულიანი დეფიციტის პრაქტიკულად მინიმუმამდე შემცირების შანსი.

ბალტიისპირელები 42:25 რომ დაწინაურდნენ, ამას საფრანგეთის დაცვაში გააქტიურება და ლიტველთა არაზუსტი სროლების მთელი კასკადი დაერთო. პარკერის ორიანითა და **ფლორან პიეტრუსის** სამიანით, ფრანგებმა დეფიციტი 5 ქულამდე (45:50) დაიყვანეს, თუმცა ეს იყო მაქსიმუმი, რაც **კლოდ ბერჟოს** გუნდმა გააკეთა. იმავე შიშკაუსკასმა 8 მეტრიდან ჩაუშვა ბურთი კალათში, **დარიუს სონგაილამაც** იყოჩაღა და საბოლოოდ, ლიტველებმა მოსაგები მოიგეს.

შეხვედრა ჩააგდო "ფინიქსის" ფორვარდმა **ბორის დიაომ**, რომელმაც 8 სროლიდან 6 გააფუჭა და მატჩი 3 ფოლით დაასრულა. ფრანგები მეოთხედფინალში გავლენ, მაგრამ იქ ნებისმიერთან გაუჭირდებათ. შევცდით, როდესაც პარკერის გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად დავასახელეთ, ბერჟომ კი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც ნაკრებიდან **მიკაელ პიეტრუსი** მოკვეთა.

ზურაბ თალაკვაძე

F ჯგუფი

იტალია-თურქეთი 84:75 (ოვ)

15:29, 19:14, 24:11, 12:16, 14:5

იტალია: ბელინელი (17 ქ. 4 პ. 3 მ), ჯილი (17 ქ. 10 მ. 3 დ), ბარნიანი (12 ქ. 6 მ), სორანია (10 ქ. 5 მ), ბულერი (9 ქ. 4 პ. 3 მ), მანჩინელი (9 ქ. 3 მ).

თურქეთი: თურქოღლუ (34 ქ. 6 მ. 4 პ), ფექერი (11 ქ. 5 მ. 2 დ), ოქური (10 ქ. 9 მ), გონლუმი (5 ქ. 7 მ).

ლიტვა-საფრანგეთი 88:73

19:18, 29:14, 20:28, 20:13

ლიტვა: შიშკაუსკასი (19 ქ. 5 მ. 2 პ. 2 ჩ), სონგაილა (17 ქ. 7 მ. 2 ჩ), იასიკიავიჩუსი (14 ქ. 7 პ), იასაიტისი (13 ქ), კ. ლავრინოვიჩი (8 ქ. 6 მ), იავტოკასი (7 ქ. 6 მ).

საფრანგეთი: ფ. პიეტრუსი (13 ქ. 6 მ. 2 ჩ. 2 დ), ტ. პარკერი (11 ქ. 6 პ. 2 მ. 2 ჩ), გიფა (8 ქ), დიავარა (8 ქ), ფერშო (8 ქ).

სლოვენია-გერმანია 77:47

30:9, 15:13, 18:12, 14:13

სლოვენია: სმოდიში (22 ქ. 5 მ), ნესტეროვიჩი (13 ქ. 7 მ. 4 დ), ლაკოვიჩი (12 ქ. 5 პ), უ. სლოკარი (9 ქ), ლორბეკი (6 ქ. 3 მ).

გერმანია: ნოვიცკი (16 ქ. 8 მ), იაგლა (7 ქ. 3 ჩ), ოკულაჯა (5 ქ. 6 მ).

	მ/ნ	ბ
1. სლოვენია	4-0	8
2. ლიტვა	4-0	8
3. საფრანგეთი	2-2	6
4. იტალია	1-3	5
5. გერმანია	1-3	5
6. თურქეთი	0-4	4

TV სპორტი

12 სექტემბერი. ოთხშაბათი

I არხი

21:55 რაგბი. მსოფლიო თასი. იტალია-რუმინეთი (LIVE).

რუსთავი 2

23:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. საფრანგეთი-შოტლანდია (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

06:56 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უელსი-გერმანია.
08:58 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:34 სპორტის ისტორია.
09:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-ბულგარეთი.
11:57 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მრავალჭიდი. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია.
14:58 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები, ქალები. ინდივიდუალური ფინალები. შტუტგარტი. გერმანია.
18:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:15 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
18:30 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯ ეტაპი. გერმანია-იტალია. ესპანეთი (LIVE).
20:23 სპორტის ისტორია.
20:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ნორვეგია-საბერძნეთი (LIVE).
22:54 ფეხბურთი. Barca TV.
23:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ინგლისი-რუსეთი (LIVE).
00:57 სპორტის ისტორია.
01:16 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ჩეხეთი-ირლანდია.
03:04 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მრავალჭიდი. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია.

EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
10:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. სუპერფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
12:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ახალი ზელანდია-ბრაზილია. ჩინეთი (LIVE).
15:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ჩინეთი-დანია. ჩინეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. XI ეტაპი (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
19:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
20:00 მულტისპორტი.
20:05 ცხენოსნობა. კონკური. შანტილი. საფრანგეთი.
21:05 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
21:10 მულტისპორტი.
21:15 გოლფი. US PGA-ის ტური. SAP Open.
22:15 გოლფი. ევროტური. ევროპის მასტერსი. შვეიცარია.
22:45 გოლფ-კლუბი.
22:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
22:55 მულტისპორტი.
23:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. საფრანგეთი-შოტლანდია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
02:00 მძლეოსნობა. EAA-ს ტურნირი. ლინცი. ავსტრია.
03:00 ველოსპორტი. ვუელტა. XI ეტაპი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-ნლამდელები). ფინალი. ესპანეთი-ნიგერია. ს. კორეა.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
14:00 ახალი ამბები.
16:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-პოლონეთი.
17:00 ველოსპორტი. პოლონეთის ტური. IV ეტაპი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ბულგარეთის გრან-პრი.
23:00 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მომიხილვა.
03:30 ახალი ამბები.

სხეული ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2008

Under 21

ალბანეთი-იტალია	0:1
სერბია-აზერბაიჯანი	3:2
ჩეხეთი-ლიხტენშტაინი	8:0
ბულგარეთი-ინგლისი	0:2
პორტუგალია-ჩრდილოეთ ირლანდია	4:0
პოლონეთი-ყაზახეთი	1:0
მაკედონია-ესტონეთი	1:0
ლიგა-სლოვენია	0:0
სლოვაკეთი-ავსტრია	1:1
ირლანდია-ბელგია	0:0
ლატვია-სან მარინო	2:0
მოლდოვა-ისრაელი	1:0
რუმინეთი-ბოსნია	3:0

ამხანაგური მატჩები

ავსტრალია-არგენტინა	0:1
შვეიცარია-იაპონია	3:4
ავსტრია-ჩილე	0:2
შვედეთი (U21)-გერმანია (U21)	1:2
სიმფაროპოლი-ბარსელონა	2:1

ინგლისი

კონფერენსი

გრეიმი-ოლდჰემი	0:0
პალიუალი-უოლსინგი	1:0

არგენტინა

ბიგრე-ნიუელსი	2:2

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი

მამაკაცები

რუსეთი-სერბია	83:70
საბერძნეთი-პორტუგალია	85:67
ესპანეთი-ისრაელი	99:73

ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი

მამაკაცები

ესპანეთი-პოლონეთი	3:1
პოლონეთი-ფინეთი	0:3
იტალია-ბელგია	3:0
საფრანგეთი-სერბეთი	2:3
გერმანია-სლოვაკეთი	3:0
რუსეთი-ბულგარეთი	3:0

პოლო

რუსეთი

დინამო-მეგალურგი (ნ)	4:3
სკა-ს. იულიანეი	4:6
ბორეადო-სპარტაკი	4:1
სიმიკი-ლადა	5:2
მედ-სიბირი	6:0
სსკა-ავანგარდი	3:3, დ.დ. 4:3

სლოვაკეთი

ზვოლენი-მიკულაში	3:2
მარგინი-ნიტრა	5:3
პოპადი-ქილინა	0:2
კოშიცე-კეჟმაროკი	5:3
ბრანჩინი-სკალიცა	5:1

ფინეთი

პიუკ-პპკ	3:2

ჩოგბურთი

ATP. ჩინეთის ღია

ჩილიჩი-შუტლერი	6:7. 6:3, 6:3
პაშანსკი-ლუ	6:7, 6:2, 7:6
კიფერი-სელა	6:2, 6:3
დე ვოესტი-იუნი	6:4, 7:6
გაბაშვილი-ტროიცკი	7:6, 3:6, 4:6
ლუბიჩიჩი-ნიშიკორი	6:3, 6:4
ბალდატისი-ჟენგი	7:6, 7:5
დავიდენკო-ფლიშმანი	6:3, 6:3
ცონგა-ბოპანა	6:3, 1:0 ტრავმა

ATP. ბუქარესტი

ჟიკელი-გარდი	6:4, 6:4
მონფილსი-ვოლანდრი	6:3, 7:6
მაიერი-ჰანესკუ	6:7, 6:7
როიტმანი-არმანდო	0:6, 1:6
ჰარტფილდი-შუკინი	6:7, 7:5, 2:6
ალმაგრო-ბოლელი	6:4, 1:6, 0:6
სანტორო-ბერლოკი	6:7, 1:6
სტარაჩე-ვლიეგენი	3:6, 7:5, 6:2
პაველი-ერნანდესი	7:5, 7:5

WTA. ბალი

მიულერი-პუტჩეკი	6:3, 6:3
დელაკუა-ვოზნიაჩკი	1:6, 6:1, 6:3
დიტი-სრომოვა	6:2, 6:1
მორიტა-ერაკოვიჩი	6:4, 6:4
კრისტეა-როდიონოვა	6:2, 6:4
შნიდერი-ჟანგი	6:4, 6:2
დანილიდუ-დავენპორტი	2:6, 2:6
შვედოვა-იუანი	0:6, 1:6
მედინა გარიგესი-გუმულია	6:1, 6:1
ამანმუადოვა-ერანი	3:6, 7:6, 6:7

ფორმულა 1. ინტერვიუ ფერნანდო ალონსოსთან

კონსტრუქტორთა თასი ნაკლებად მაინტერესებს

მონაცაზე ტრიუმფის შემდეგ, "მაკლარენის" პილოტმა ფერნანდო ალონსომ განაცხადა, რომ გასულ უიქ ენდზე, მას და მის გუნდს პრაქტიკულად ყველაფერი გამოსდიოდათ. ესპანელმა ავტომრბოლმა ხაზი გაუსვა ამ ეტაპზე გამარჯვების მნიშვნელობას, ვინაიდან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს აქამდე არასოდეს მოეგო იტალიის გრან-პრი. გარდა ამისა, კვირას მოპოვებული გამარჯვებით, ალონსომ სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა თანაგუნდელ ლუის ჰემილტონთან. სწორედ ამიტომაც, ესპანელი ხალისით და გულახდილად პასუხობდა საკმაოდ უხერხულ შეკითხვებს.

- ადრე მონცაში არასდროს გიმართლებდათ, გასული უიქ ენდი კი, განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა - მოიგეთ პოული, გაიარეთ ყველაზე სწრაფი წრე და ბოლოს, გამარჯვებასაც მიაღწიეთ.

- დიახ, ფანტასტიკური უიქ ენდი იყო. ხანდახან გგონია, რომ ყველაფერი კარგად მიდის, გრძნობ, რომ კარგ განწყობაზე ხარ და შენგან მხოლოდ ის არის საჭირო, რომ ამ სიტუაციით ისარგებლო. სწორედ ასე მოხდა ამჯერად. მონცაზე ადრეც გამომდიოდა კარგი სტარტი, მაგრამ ყოველთვის რაღაც მაკლდებოდა და გამარჯვებას ხელიდან ვუშვებდი. ამიტომაც მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის აქ გამარჯვება.

- გვერდიდან თქვენი ტრიუმფი საკმაოდ დამაჯერებელი ჩანდა. რბოლის დროს რაიმე პრობლემას ხომ არ შეუწუხებიხართ?

- არა, ყველაფერი ნორმალურად იყო. შესაძლოა, მხოლოდ სტარტზე მქონდა მცირედი გართულებები. სტარტზევე, უკანა ხედვის სარკეში ფელიპე მასა დავინახე და გავიფიქრე, რომ პირველ მოსახვევში მასთან ბრძოლა მომიწევდა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. მეორე მოსახვევში უკვე ჰემილტონი შევამჩნიე, რამაც ასევე ამაღელვა, ვინაიდან მასთან შეტაკების მეშინოდა.

- რესტარტის დროს, ჰემილტონი პირველ მოსახვევში თქვენ გვერდით იყო...

- დიახ, აქაც გამიჭირდა, რადგან ამ შემთხვევაში ძალიან იოლია სხვა ბოლიდთან კონტაქტი, მე კი არ ვიცოდი ეს თავიდან როგორ ამეცილებინა. ვერც უსაფრთხოების მანქანა დაგვეხმარა, ვინაიდან მის გამო, მრბოლელები მეექვსე წრემდე დიდ ჯგუფად მიდიოდნენ და ამიტომაც ვერ მოვახერხეთ პირველ პიტ-სტოპამდე ჰანდიკაპის შექმნა.

- პირადად თქვენთვის რას ნიშნავს "ფერარის" საშინაო ტრასაზე გამარჯვება? "მაკლარენის" ბოსმა რონ დენისმა ეს ტრიუმფი ძალიან ემოციურად აღიქვა.

- "მონცაზე" გამარჯვება მართლაც განსაკუთრებულია. მოგება ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ არსებობს ტრასები, სადაც რამდენჯერმე მივსულვარ ფინიშზე პირველი, იტალიის გრან-პრიზე კი, აქამდე არასოდეს გამიმარჯვია. ამიტომაც, ეს ტრიუმფი ყველაზე სასურველი იყო ჩემთვის. ყოველი ეტაპის მინიმუმ თითოჯერ მოგება მინდა. გარდა ამისა, იტალიელი გულშემატკივრების წინაშე გამარჯვებას სხვა დატვირთვაც აქვს. შეიძლება ისინი "ფერარის" ფანები არიან, მაგრამ ამავდროულად, ყველაზე ემოციურ გულშემატკივრებად ითვლებიან.

- "მონცაზე" ტრიუმფის აღსანიშნავად ცოტა დრო გაქვთ. უკვე მომავალ კვირას მომდევნო ეტაპი - ბელგიის გრან-პრი გაიმართება. რა გეგმები აქვს ამ რბოლაში "მაკლარენს"?

- ვნახოთ. იმისთვის, რომ რაიმე გეგმები მოვხაზოთ, ჯერ უნდა ვნახოთ, რა მდგომარეობაში იქნება ბოლიდი. ყოველი ეტაპი ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგალითად, თურქეთში "ფერარის" პილოტები დომინირებდნენ, იტალიაში - ჩვენ ვიყავით მთავარ როლებზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი მიზანი ჩემპიონატში და კონსტრუქტორთა თასზე გამარჯვებაა, ამიტომაც ნებისმიერ ეტაპზე მხოლოდ მოგებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

- იმის გათვალისწინებით, რაც წელს "მაკლარენის" თავს ხდება, რა მნიშვნელობა ექნება თქვენთვის წლევანდელი ტიტულის მოგებას?

- ჩემპიონობა ნებისმიერ პილოტს სურს. სეზონის სტარტზე, ავსტრალიაში 22-ივე პილოტს ერთი და იგივე უნდოდა - გამარჯვება. მაგრამ ორი-სამი რბოლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ გამარჯვებისთვის მაქსიმუმ სამი გუნდი იბრძოლებდა. ამისთვის საჭიროა კარგი მანქანა და სხვა მრავალი ნიუანსი. ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, სწრაფი მანქანა გვაქვს, ეს კი, ტიტულისთვის ბრძოლაში ძალიან ბევრს ნიშნავს. პირადად ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ხდება გუნდის გარშემო. ჩემთვის მთავარია - ჩემპიონობა და კონსტრუქტორთა თასი.

- არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ პირადად თქვენთვის კონსტრუქტორთა თასი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ლუის ჰემილტონისთვის. "მაკლარენში" ალბათ, ურჩევნიათ საპირისპირო აზრი მოისმინონ...

- კარიერაში ორი კონსტრუქტორთა თასი მოვიგე, ასე რომ, ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია "მაკლარენისთვის" გუნდური გამარჯვება. მაგრამ ჩემთვის, როგორც პილოტისთვის, ჩემპიონატში ტრიუმფი 10-ბალიანი სისტემით 10 ქულად ფასდება, კონსტრუქტორთა თასის მოგება კი - 8 ქულად. ეს ერთი და იგივე არ არის. ყველა ის ქულა მიხარია, რომელსაც გუნდი მოიპოვებს. და თუ კონსტრუქტორთა თასი ჩვენ დაგვრჩება, ამ წარმატების გამო ძალიან გავიხარებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მირჩევნია პილოტების ჩემპიონატში ვიყო პირველი.

ვარსკვლავი

დავენპორტი გამარჯვებით დაბრუნდა

დიდ ჩოგბურთს დაუბრუნდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ამერიკელი **ლინდსი დავენპორტი**. დაბრუნდა და ისე ითამაშა, გეგონებოდათ, ტრავმის გამო, თითქმის ერთი სეზონი არც გაუცდენიაო. ინდონეზიის ქალაქ ბალის ტურნირის პირველ წრეში, მან ბერძენი **ელენი დანიილიდუ** 6:2, 6:2 დაამარცხა.

31 წლის ჩოგბურთელმა ივნისში იმშობიარა, სამი თვის შემდეგ კი სულ სამი გეიმი დასჭირდა იმისათვის, რომ საჩოგბურთო ჩვევები გაეხსენებინა და 1:2-ს რომ აგებდა, ზედიზედ ოცი ქულა ისე აიღო, მეტოქეს ერთიც არ დაუთმო! რა თქმა უნდა, ეს სეტი თავად მოიგო.

მეორე სეტის მესამე გეიმში კი მეტოქის სერვისზე, მშრალად მოიგო გეიმი და 2:1 დაწინაურდა, ორი გეიმის შემდეგ კი მორიგი ბრეიკი აიღო და ამით, პრაქტიკულად, გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ამერიკელმა გამარჯვება შეხვედრაში მოწოდებული მეცხრე ეისით მოიპოვა.

"ამდენი ხნის უთამაშებლობის შემდეგ, წარმოდგენა არ მქონდა, თუ როგორ ვითამაშებდი. მე კი, პირველივე შეხვედრაში ისე ვითამაშე, თავადაც აღტაცებული დავრჩი", - რეპორტიორებს ბედნიერი სახით განუცხადა დავენპორტმა, ვინც თავისი მძლავრი მოწოდებითა და შესანიშნავი მიღებით "განაიარაღა" მეტოქე.

სხვათა შორის, დანიილიდუმ აშშ-ის ღიას წინ, ნიუ ჰეივენის ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა. დავენპორტთან შეხვედრის პირველივე გეიმში, თავის მოწოდებაზე ბერძენი 0:40 ჩამორჩა, მაგრამ შემდეგ ძალა მოიკრიბა და გეიმი თავად მოიგო. თუმცა შემდეგ, ამერიკელის ბრწყინვალე თამაშს ვერაფერი დაუპირისპირა.

"რასაც ველოდი, იმაზე გაცილებით უკეთ ვითამაშე. არადა, ცოტა ხნის წინ, ფაქტობრივად, მზად ვიყავი იმისათვის, რომ ჩოგბურთში აღარ დავბრუნებულიყავი. როცა გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, ვთქვი, ჩემი ჩოგბურთი დამთავრდა-მეთქი. ახლა რომ ვთქვა, კარგ ფორმაში ვარ-მეთქი, ტყუილი იქნება. ჯერაც რამდენიმე კილოგრამი დასაკლები მაქვს. დასახვეწი მაქვს კორტზე მოძრაობაც. ვიმედოვნებ, ყველა ამ პრობლემას მომდევნო სეზონის დაწყებამდე მოვუვლი", - ამბობს დავენპორტი.

ლინდსი დავენპორტი

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

ვალვერდეს წითელი აუნთეს

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობისთვის არ დაუშვებს ესპანელ **ალეხანდრო ვალვერდეს**. ამის მიზეზად კი ის გარემოება სახელდება, რომ ველომრბოლის სახელი მოხსენიებულია ესპანურ დოპინგსკანდალ ოპერასიონ პუერტოში.

აღნიშნული გადაწყვეტილება ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა (UCI) ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ მიიღო, მაგრამ მისი ხელმეორედ გამოცხადება მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ვალვერდეს ჯერჯერობით სამსოფლიოჩემპიონატო ნაკრებში ტოვებს.

"დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ვალვერდე შტუტგარტში ვერ იასპარეზებს", - ამბობს UCI-ს პრესმდივანი **ენრიკო კარპანი**.

უფრო მეტიც, კავშირი ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციისგან მოითხოვს, რომ ვალვერდეს წინააღმდეგ სადისციპლინო პროცედურები დაიწყოს. ამის მიზეზად კი ის ფაქტი სახელდება, რომ კავშირს ვალვერდეს წინააღმდეგ ახალი მტკიცებულებანი გააჩნია.

"თუ ესპანეთის ფედერაცია საქმეს აღძრავს ვალვერდეს წინააღმდეგ, ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელს. თუ არა, მაშინ ჩვენი გადაწყვეტილება მაინც არ შეიცვლება, მას შტუტგარტში ასპარეზობის უფლებას ვერ მივცემთ", - დასძენს კარპანი.

კავშირი ირწმუნება, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე არ გაუშვებს იმ ველომრბოლებს, რომლებიც ოპერასიონ პუერტოს სკანდალში არიან გარეულნი. მთავარია, ამისათვის ხელმოსაჭიდი მტკიცებულება არსებობდეს.

შეგახსენებთ, რომ ვალვერდემ წლევანდელი ტურ დე ფრანსი მეექვსე ადგილზე დაასრულა, შარშან კი ვუელტაზე მეორე ადგილი დაიკავა ყაზახი **ალექსანდრ ვინოკუროვის** შემდეგ.

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, მას შტუტგარტი 26-30 სექტემბერს უმასპინძლებს.

ვარსკვლავი

რედკლიფი ბრუნდება

მარათონულ დისტანციაზე ქალთა შორის მსოფლიოს რეკორდსმენი, ბრიტანელი **პოლა რედკლიფი** სპორტს უბრუნდება. თითქმის ორწლიანი პაუზის შემდეგ, სახელოვანი მორბენალი"გრეით ნორთ რანის" (დიდი ჩრდილოური გარბენი) სახელით ცნობილ ნახევარმარათონში მიიღებს მონაწილეობას.

რედკლიფს ეს გარბენი, რომელიც ჩრდილოეთ ინგლისში ტარდება, ნიუკასლსა და სამხრეთ შილდს შორის, ორჯერ აქვს მოგებული. ინგლისელმა მორბენალმა ბოლოს 2005 წლის დეკემბერში იასპარეზა, რის შემდეგაც ჯერ ტრავმის, შემდეგ კი ფეხმძიმობის გამო, არსად გამოჩენილა.

"ახლა ვგრძნობ, რომ დაბრუნება და კარგად ასპარეზობა შემიძლია. ვიმედოვნებ, რომ ადრინდელივით კარგი შედეგები მექნება და პეკინის ოლიმპიადის საგზურსაც მოვიპოვებ", - ამბობს 33 წლის მორბენალი, ვისაც ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე, 10 000 მეტრზე გამოსვლის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ მცირე ტრავმის გამო, ეს სურვილი ვერ აისრულა.

"ძალიან მინდოდა ოსაკაში ასპარეზობა, მაგრამ ამის საშუალება ტრავმამ არ მომცა. არადა, იქ ყველაფერი იყო მოსალოდნელი და გარწმუნებთ, პირველობისთვის ბრძოლა შემეძლო. ჩრდილოეთის ნახევარმარათონი იმის გამო ავირჩიე, რომ დარწმუნებული ვარ, მასზე კარგი შედეგი მექნება, რაც მომდევნო სტარტებისთვის თავდაჯერებულობას შემმატებს", - ამბობს რედკლიფი, ვინც 10 000 მეტრზე ევროპის ყოფილი ჩემპიონია. გარდა ამისა, ის მარათონში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონიცაა, მსოფლიო რეკორდი (2:15.25) კი 2003 წელს დაამყარა.

ეროვნული სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ხელშენყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ
გალახაძე, მერაბ გრძელიძე,
მამუკა ძანთარია,
ირაკლი დარცმელიძე,
ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია
ელიზბარაშვილი, ხათუნა
სამხარაძე, დავით გეგეჭკორი,
დავით შალუტაშვილი,
კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და
ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა
1934 წლის 13 აპრილს
თბილისში, სახელწოდებით
"საქართველოს
ფიზკულტურელი".
1936-39 წლებში ერქვა
"ფიზკულტურელი",
"ლელომდე" დაიბეჭდა
362 ნომერი. 1949 წლის
10 ივლისს გაზეთი აღადგინა
მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა
გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს
ოლიმპიური
ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია,
პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე.
გარდა კვირისა